

ლიტერატურული, სამეწნიერო-პოპულარული  
და საზოგადოებრივი უკრნალი

არავი

უკრნალი გამოფის  
2016 წლის იანვრიდან,  
გამოსხეტს სამწე-  
ჭავახეთის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

24

2020

## **რედაქტორი - მერაბ ბერიძე**

## **მოადგილე - მაკა ბერიძე**

სარედაქციო საბჭო:

**ლალი ბერიძე**  
ასმათ ევსანა  
**ლია ზაზაშვილი**  
ციური ლაფაჩი  
მალხაზ ლომსაძე  
**ლერი ნოზაძე**  
მაია ქუქჩიშვილი  
ნატო ყრუაშვილი  
ირინა ჯიშვარიანი

ირაკლი ვაშაყმაძე, თბილისი  
რეზო შეროზია, ზუგდიდი  
ზაირა კელოშვილი, ათენი  
ნუგება გაგნიძე, ქუთაისი

მდივანი: **ანა კორშია**

მენეჯერი: **მანანა ობოლაშვილი**

საგამომცემლო ჯგუფი: **ლია ზედგინიძე**  
**ლარისა გურგენიძე**

რედაქციის მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. №113

© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2020

ISSN 2346-83

# პოვიტი

## ავთანდილ ბერიძე

დავითადე 1950 წლის 5 თებერვალს ასპინძაში. 1957-1967 წლებში ვსწავლობდი ასპინძის საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა გავაგრძელე თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტზე.

სხვადასხვა დროს ვმუშაობდი ასპინძის სარემონტო კანტორაში მუშად, კანტორა „აპინძაგაზში“ – ზეინკლად, სოფელ თმოგვის სასოფლო ბიბლიოთეკაში – ბიბლიოთეკარად, ვარძის ტურბაზაში – ადმინისტრატორად გაზით „აპინძაში“ – ლიტერატურულ მუშაკად. 1977 წელს არჩეული ვიქენი საქართველოს აღკა ასპინძის რაიონის ჯერ მეორე, ხოლო შემდეგ პირველ მდივნად, ხოლო 1982 წლიდან 1991 წლამდე – რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომრის პირველ მთავარი გილდიერი და მოგვიანებით რამდენიმე წელი ვიმუშავე ჯერ ასპინძის პრეცედენტურის კანცელარის უფროსად, ხოლო შემდეგ გაძეგობის აპარატის უფროსად. 1995 წელს ჩემი წებით დავტოვე თანამდებობა და რამდენიმე წელი უმუშევარი ვიყავი. 1998 წელს კი მუშაობა დავიწყე საქართველოს მწერალთა კავშირის სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ ორგანიზაციიში ჯერ კონსულტაციად, ხოლო შემდეგ პასუხისმგებელ მდინარე, ამავე წელს მწერალთა კავშირის რეგიონულ ორგანიზაციასთან, შემთა რუსთაველის სახალხო მუზეუმის აღმოჩენების რესპუბლურ ფუნდთან, თსუ-ის მესხეთის ფილიალთან ერთად, როგორც კერძო პირმა, დავაფუძნეთ „ლიტერატურული მესხეთი“, რომლის რეაქტორიც დღემდე ვარ.

წლების განმავლობაში ვენევი აქტიურ საზოგადოებრივ საქმინიანობასაც, – არჩეული ვარ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად, ჩემი ინიციატივით 1987 წელს დაბა ასპინძაში შეიქმნა შოთა რუსთაველის სახალხო მუზეუმი, ასევე ჩემი ინიციატივით 2008 წელს აღდგენილი იქნა „შოთაობის სახალხო დღესასწაული“, რომელიც დღემდე უწყვეტად იმართება და ყოველწლიურად ვმართავთ ლიტერატურულ კონკრეტურებს პოეზიაში.

ქართულ მწერლობის განვითარების საქმიში შეტანილი წვლილისათვის თბილისის მერიის გადაწყვეტილებით 2008 წელს დამაჯილიდეს „ქართული კულტურის დესპანის“ მედლით, მონიქებული მაქვს „ქართული კულტურის ამაგდარისა“ და „ქართული კულტურის რაინდის“ წოდება.

აქტიურად ვენევი ურნალისტურ საქმიანობასაც. ვარ „ასპინძის სიახლენის“ გამომცემელი, სისტემატიურად ვიბეჭდები ქართულ პერიოდულ პრესაში. გამოცემული მაქვს რამდენიმე წიგნი: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“, „მესხური ფოლკლორის“ სამტომეულის პირველი ტომი, „მესხეთი ქართულ პოეზიაში“, „მარადოული ვალი“. გამოსაცემად მზად მაქვს ერევლე მეორის 300 და ასპინძის ომის



250 წელთან დაკავშირებით კრებული – „სიკვდილის ლხინი ასპინძაში“ და მესხური ფოლკლორის მეორე და მესამე ტომები.  
მყავს მეუღლე, სამი შვილი და სამი შვილიშვილი.  
ვცხოვრობ დაბა ასპინძაში.

70 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ პოეტს, საზოგადო მოღვაწეს, გაზით „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორს, დიდებულ მესხს – **ავთანდილ ბერიძეს**. ვულოცავთ ბატონ ავთანდილს ამ ლირსმესანიშნავ თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, კიდევ უფრო მეტ შემოქმედებით ღწვას და გთავაზობთ მის ახალ ლექსებს.

## სოცეტი

გული ერთი მაქვს,  
ორგულობა რატომ დამწამე,  
შენს სიყვარულში ვიცი,  
ისიც გაჭალარავდა,  
რომ არ მიყვარდე,  
ამ სიცოცხლეს რა გაათავებს,  
ნუთუ ეს გრძნობა  
შენში ასე დაპატარავდა.

რაც რომ დრო გადის,  
ეჭვები რად გაგიათკეცდა,  
უტყვი ბაგენი რად შიშობენ  
ამის გამხელას,  
თუ სიყვარული წლებთან ერთად  
ასე გაცვდება,  
მითხარი, მაინც,  
რა დავარქვათ ამას სახელად.

მე თუკი შენში  
სიყვარული ასე ვიწამე,  
ასჯერ გავზომე,  
გულის ძირში ერთხელ გავჭერი,  
უძირო ზეცა შენს ფიქრებში  
რომ დავალამე,  
ამ სიყვარულში ნეტავ ისევ  
რად მევაჭრები.

მადლიერების ნაცვლად ნეტავ ასე რად მკიცხავ,  
ნამდვილ სიყვარულს ნურასოდეს ნუ განიკითხავ.

\*\*\*

გაზაფხულს ველი,  
თუმცა, ახლა, უფრო დაზამთრდა,  
სიცივემ როგორ მოუმატა  
ძვალსა და რბილში,  
გაზაფხულს ველი,  
მაგრამ არ ჩანს,  
არა და არა,  
თითქოს ძარღვებში გაიყინა მჩქეფარე სისხლი.

გაზაფხულს ველი...  
მთებზე კვლავაც შემოდგა თოვლი,  
აქ ისევ ზამთარის სუსხლი მეფობს  
და მძლავრობს ბინდი...  
ველურ სიშმაგით აწყვეტილი თეთრი დღეები  
ლამის წყვდიადში უსასრულოდ  
მიდის და  
მიდის...

\*\*\*

თეთრო დღეებო,  
მომენატრეთ,  
თეთრო დღეებო,  
უმზეოდ როგორ ჩაიარა ამ დღემაც,  
დღესაც...  
თეთრო დღეებო,  
იმედების თეთრო დღეებო,  
გამიცისკროვნეთ საქართველოს  
უძირო ზეცა.

\*\*\*

ახლა ისე ვარ,  
სარეცელზე მკვდარივით ვწევარ,  
უსულოს ვგევარ,  
ტკივილებსაც იმიტომ ვერ ვგრძნობ,  
ახლა ისე ვარ,  
მწყერს რომ შლეგით მიუგდებ მწევარს,  
ფეხს რომ ვერა სდგამს,  
საშველადაც ვერავის უხმობს.

შენ კი, ძვირფასო,  
ანგელოზი, ფრესკად და ხატად,  
მშვენიერებას,  
სილამაზეს,  
ირგვლივ რომ აფრქვევ,  
შენდამი ლტოლვას ვერაფერით ვერ გამოვხატავ,  
და ასეთ ყოფას,  
ამქვეყნიურს,  
ვერაფერს ვარქმევ.

## ის პოესია, რაც გულმა მირჩია

დავბერდი,  
და მაინც არ ვიტეხ  
იხტიბარს –  
ნლები რომ მამძიმებს,  
არც დარდი გულს შემოწოლილი,  
ღამე რომ სულ აღარ მაძინებს.

რამდენი განვლიე ნლები და  
უკან არც მოხედვა მაშინებს,  
ისა ვარ,  
რაც ვიყავ გუშინ და  
მე ჩემი წარსულიც მამშვიდებს.

ის ვთესე,  
რაც გულმა მირჩია,  
მოვიმკე,  
რასაც რომ ვთესავდი,  
ჩემს იმედს – ცხოვრების ციტადელს  
ჭკუით და გონებით ვკვესავდი.

წარსული აწმყოში ცოცხლდება,  
დრო მოვა დადგება დაისი,  
და ჩვენი კაცური კაცობის  
დღეებიც ნელ-ნელა ჩაივლის.

## ახლა პი...

მტერი ბევრი გყავს,  
მოყვარე ცოტა,  
რამდენი ახლა  
დღეს შენ წინ ცოდავს.

წელი წელს მისდევს,  
ბერდები შენაც,  
თითქოს გაგნირა  
ბერმაც და ერმაც.

ბევრმა გინებით  
შეგამკო, რათა,  
მერე ცხოვრება  
მოეზყოთ ათად.

შენ მათ იმედად  
როდესაც დარჩი,  
მაშინ მოგეშვა  
იმედის ქანჩი.

შენი სახელი  
ჭირდებათ, თორემ,  
არვინ გამართავს  
დღეს შენთვის ომებს.

დედულ-მამული  
ვისაც რომ უყვარს,  
მათ დაატეხენ  
ვაის და ურვას.

ათასი მტერი  
გარს გერტყა, როცა,  
ვიდექით შენთან  
ლალადად, ლოცვად.

იმედით მაინც  
ვცოცხლობდით ხვალის,  
შიშიც არ გვქონდა  
მაინც ჩვენ არვის.

ლმერთის იმედით  
ვიკრებდით ძალას,  
არვის ვუხდიდით  
შიშითაც ლალას.

ახლა კი, ახლა,  
ძალაც არ შეგვწევს –  
მამულს დავუდგეთ  
მხსნელად და შემწედ.

## აქ მიცდა მოვაკვდე და დავიმარხო

აქედან გაქცევას არ ვაპირებ,  
არასდროს ვყოფილვარ უილაჯო,  
აქ ვდგავარ ბებერი მეციხოვნე,  
ჩემი საქართველოს სადარაჯოდ.

ეს მიწა ათასჯერ ნაოხარი  
არ მინდა ოდესმე დამეკარგოს,  
მე მისი ტალახი მირჩევნია,  
სხვის ეფემს, მწველსა და საარაკოს.

ბელტს ბელტზე კვლავ ისევ გადავაწვენ,  
მიწას მოვამზადებ სავენახოდ,  
მე სხვა არაფერი არ მადარდებს, –  
აქ მინდა მოვკვდე და დავიმარხო.

\*\*\*

რა ადვილია შეყვარება,  
გადაყვარება რა ძნელი,  
ნეტავი მთელი ცხოვრება  
უშენოდ როგორ გავძელი.

# პოვიტი

## მერაბ დადეშარი

### რჩეულაშვილის ქალი

„ციხეს ვზი ეზო მაღალსა თვალნი ძლივ შემოსცდება  
გზა გვირაბითა შემოვლენ, მცველნი მაზედა დგებიან,  
მაშიგან ორნი გუშაგნი ნაბადსა არ დაცდება,  
მათსა შემბელსა დახოცენ, ცეცხლუებრ მოედებიან,  
ჩემო, ნუ მოხვალ ჩემზედა სხუათა მებრძოლთა წესითა,  
ნუცა მე მომკლავ ჭირითა ამისგან უარესითა.“

ანა რჩეულაშვილის XV საუკუნის წარწერა ვანის ქვაბებზე  
„ვეფხისტყაოსნის“ ხალხური ვარიანტიდან.

ნელა შეუყვა ვაპანის ქვაბთა ვიწროებს,  
გალავნის კარი მძიმედ გაუღეს,  
ტალა-დარაჯებს თვალი დარჩათ მის შემხედვარეთ,  
ჯერ სამოსზე, მერე ტანზე, თმებზე, ბოლოს თვალებზე.  
გამოიგლოვებს ზურგს უკან დარჩენილ ცხოვრებას,  
უკვე ადვილად გამოიგლოვებს,  
არა აქეს მნიშვნელობა, როგორ ჩაიცვამს წულებს,  
ჩამოიშლის თუ არა თმას,  
დაემალება თუ არა მსტოვრებს,  
ყველაფერს ტოვებს ამქუცნიურს, მძიმედ, მაგრამ ტოვებს  
და მაინც გაურბის ფიქრი:

„ხედავ-ცა, ჩემო?!”  
აი, ჩემი გარემო, მე სხვა გარემო ალარ უნდა მეგარემოს,  
ეს არის ჩემი გარემო!  
„გზა გვირაბითა შემოდის“...  
განა ეს გზაა! ეს წვაა მხოლოდ,  
არ არის გზა,  
ცეცხლია, რომელიც მწვავს, ამატარებს გზას,  
ავალ და ჩავქრები!

შენ აიღებდი თმოგვს, ხერთვისს, შემოიხვევდი ქაჯეთს აბჯრად, სამოსად,  
მაგრამ დაიმსხვრევა ხმალი შენი ნაქები  
ვაჰანის ქვაბთა წინაშე.  
ასეა... ფიქრი ჩემიც, მხოლოდ მტკვარს ერთვის,  
მხოლოდ მტკვარს ესმის  
და წავა ასე....  
რადგან გზა მხოლოდ გვირაბითა შემოდის,  
მცველნი კი „მუნ ზედა დგებიან“,  
მე კი რჩეულაშვილთა ქალი, სიყვარულისთვის დაბადებული,  
შენთვის, ჩემო, დაბადებული,  
ვითარცა მომხდელი დიდი ვალის,  
დედალვთის ტაძარს შემოკედლებული,  
გვირაბის ბოლოს დავემხობი ლოცვად შენდა,  
გარეთ კი იქროლებს ქარი და ფიქრი მწარე  
დარჩება ფიქრად.  
გამოგიზავნი წერილს, რომელიც არ მოვა შენამდე,  
შენამდე მხოლოდ ფიქრი მოვა.  
მე დავიწვები, ჩაკეტილ კარს იქით, დავიფერფლები,  
წერილი დარჩება და ჩაბარდება ყველა ქალს,  
ვისაც უყვარდა ან არ უყვარდა,  
მეც მოვიხდი ვალს  
და ვინც ვალს, ის მივა ბოლომდე,  
მოვალ შენამდე, როგორც ცეცხლით ამოშანთული სტრიქონი  
და როცა მიპოვნი, თუნდაც საუკუნეთა შემდეგ,  
ვიცოცხლებ ისევე, როგორც ვცოცხლობ დღეს.  
ასეა! ცხოვრებისა და სამყაროს დამდეგს აქვს საწყისი,  
თუ აღდგომაა, დაე, აღდგეს ჩემი სტიქიასთან მებრძოლი  
სტრიქონი!  
და აღდგება.

## ქილდა

გინახავს ნატყვიარი ეკლესიისა?

ეს არის ქილდა!

გინახავს ნატყვიარი საფლავის ქვები?

ესეც ქილდაა!

საურმე ორღობები, ღობე ქვისა,

ნასახლარები, უადამიანო სახლები,

გამძაფრებული შეგრძნება ჯავხეთის,

სიცოცხლე რომ აღარ გინდა,

რომ ვერ უპატრონე, შენი უგულობით

მოსპე წინაპარი, დაუკარგე ძვალთშესალაგი,

რომ არც შენთვის და არც აღარავისთვის

არაფერი არ არის წმინდა

და ირონით მოსიარულე, თითქოს მომღიმარი

წინაპართა ლანდები

გაგირბიან როგორც უცხოს და ველურს,

ვინც გაწყვიტა კავშირი წარსულთან.

გინდა თუ არ გინდა, ასეა და

მახსენდება მედლებით მკერდდამშვენებული კომუნისტი,

ვინც ქილდას ცლიდა,

ქართველისაგან ათავისუფლებდა ადგილებს, ვიღაცას

ასიამოვნებდა

და თუ ვინმე მორიდებით დაიცავდა ქილდას,

კბილებში გამოსცრიდა:

- შენი დედაც... შენი ქილდაც!

ჭკუით იყავი თორემ ციმბირრს იქით მიგავლენ სამუდამოდ!

ნატყვიარები (აშკარაა, რომ კალიბრი დიდია!)

დათხრილი თვალებივით მეკითხებიან:

- რა გვჭირთ, ან იმათ რა სჭირდათ, რომ მოსპეს ქილდა?

## ცყალკურთხევა

მტკვარი კურთხეულა, თვით უფლის თვალი დასდგომია წყალს,  
ჯვარი ჩასვენებულა, მადლი გადმოსულა,  
უხდიან ვალს,  
იორდანეს უხდიან ვალს.

დაწყებულა ზევიდან და მოსულა ჩვენამდე მტკვარი,  
რომელიც იკურთხებოდა სათავეებში,  
დღეს მხოლოდ სამცხეში ჩასვენდა ჯვარი,  
ვერ გადაუხადეს ვალი ჩვენს წინაპრებს,  
მაცხოვარს მივაპყარით თვალი,  
ღვთისმშობელს მივაპყარით თვალი,  
დღევანდელი ნაკურთხი მტკვარი,  
დღეს ნაკურთხი წყალი  
იმავე სასწაულით და ძალით არის სავსე,  
როგორც იყო გაჯერებული იორდანე!  
აი, ასე!

მშვიდია მტკვარი, რადგან არის ისე,  
როგორც უნდა იყოს და როგორც იყო,  
როგორც იქნება.

მტკვარს შერთვია ფოცხვის ხევი და იკურთხა ისიც,  
მადლი დიდია.

მართალია ყველაფერი ღმერთმა უწყის,  
ღმერთისგან მოდის, ღმერთზე ჰყიდია,  
რა არის და რა იქნება ...

მაგრამ ნაკურთხი მტკვარი,  
ნაკურთხი ფოცხოვ-ქვაბლიანი  
შეერთდებიან და მათი მადლი დიდზე დიდია.

მიდიან ჩვენი მდინარენი იბერიისანი,  
მიდიან, რათა შეერთონ სხვათა

და იყოს ერთობა  
და წყალში დგანან განა წუთიერად,  
წყალში დგანან მამანი ჩვენნი,  
კურთხევა მათი წმინდაა და სახიერი.

ამ დროს მამები არიან ძლიერი,  
ძალზე ძლიერნი არიან,  
აღზევებულნი არიან, რადგან უფალი იფარავს მათ.  
... და რომ იყვნენ მუდამ ასე ძლიერნი,  
ძლიერი იქნება ღვთითკურთხეული მამული ჩვენი.  
მამათა ძალაზე უნდა დაეყრდნოს ძალა ყოველთა!

## არ ითხოვა

შიოდა და არ გაანძრია ხელი,  
რომ მოეპოვებინა პური ჩვენი არსობისა,  
სწყუროდა და დაეზარა, რომ მისულიყო წყაროსთან,  
დაუდგა უამი კვდომისა.  
... და უთხრეს კეთილთ მას როდესაც:  
ამდგარიყო, მიეღო წყალი და გაეწვდინა ხელი,  
დამდგარიყო კუთხეში ხელგამონვდილი,  
ეთხოვა ლუკმა,  
არ იკადრა.  
შეურაცხყოფილი პატიოსანი მათხოვრები  
განრისხდნენ,  
ცუდად ჰქონდათ მათ დაცდილი  
ამპარტავნება მათხოვრისა,  
სულით მათხოვრისა და არა უპატიოსნო მათხოვრისა.  
... და არ გაუყვეს საჭმელი, არ მისცეს პური,  
ეს იყო, უპირველეს ყოვლისა,  
სულით ცოდვილი, ადამიანი, რომელსაც  
მცონარობისგან აღარ ჰქონდა სურვილი განძრევის.  
შეინყალეს მზაკვარი და მისცეს პური,  
შეინყალეს მკვლელი, რადგან მოკლა მოსისხლე,  
შეინყალეს ავაზაკი,  
შეინყალეს ვაჭარი საკუთარი სხეულით,  
რადგან სხვა სავაჭრო არ ჰქონდა და შიოდა.

არ შეიწყალეს სულით ამპარტავანი,  
ვინც შიმშილით კვდებოდა, მაგრამ არ ითხოვდა,  
უნდოდა შეემჩნიათ და მიერთმიათ პური მისთვის.  
ასეთი არიან მავანნი  
და მათ სიმდაბლეს განაგებს ბოროტება,  
შური განაგებს!

## სათქმელი

- აი, რიგი დადგა, ჩემო მეგობარო, უნდა ვთქვა სიტყვა!  
არავინ იცოდა, რა უნდა ეთქვა ამის მთქმელს,  
მაგრამ ნამდვილად იტყოდა.  
არავინ იცოდა ეს იქნებოდა არავი თუ ეს იქნებოდა სეტყვა.  
ელოდებოდა მეგობარი სათქმელს და ფიქრობდა:
- ნეტავი ადრევე ეთქვა,  
რაც უნდოდა, ამდენ ხანს, ეთქვა!  
ხომ მეცოდინებოდა, რა სურდა მას,  
ან რად უნდოდა შესავალი სათქმელს?  
პირდაპირ ეთქვა და მორჩებოდა ყველაფერი.  
კარგ მთქმელს, რადგან უნდა გამგონი კარგი,  
ემზადებოდა „გასაგონად“ მეგობარი,  
მაგრამ მთქმელმა - ვიტყვიო სიტყვას და წავიდა,  
მეტყვის ალბათ, ფიქრობდა გამგონი,  
„კაცი ვარგი“ და საქმის მცოდნე, მეგობრის მცოდნე  
... და ისევ ყველაფერი დაიწყო თავიდან,  
როდესაც ნათქვამი გაიგო მესამემ.
- გეტყვის, რომ ძმები ხართ, უყვარხარ ძალიან,  
გაწირავს თავს და გიერთგულებს მუდამ,  
იქნება ბრძოლაში შენი მესანგრე.  
ზურგს უკან კი ჩაიქირქილა:
- ან მესაფლავე!
- ფიქრობდა გამგონი:
- თუ რამე გაიგო, რაც არ იცოდა

და უნდა მითხრას გულში ნადგომი,  
მოვუბოდუშებ, ავუხსნი და ჩვენს მეგობრობას გადავარჩენ,  
არჩევანი მაქვს, ხომ არ დავწერ სარჩელს!  
რა მოხდა, თუ ვცოდე რამე,  
ჩვენ ვიქნებით ისევ ჩვენ!  
დაუელამდა თვალები მესამეს,  
მე ვიციო, - თქვა და წავიდა!  
სად წავიდა, რატომ წავიდა!  
გულლრძობდა: - ღირსია ყველაფრის!  
მოისმა სირენა სამედიცინო მანქანის,  
„მთქმელს“ მიაქანებდნენ გადასარჩენად  
(ისმოდა მესამის ხარხარი),  
ვერ გადაარჩინეს.  
ამოისუნთქა ყველამ,  
შუბლზე შემოიკრეს ხელი, გვეწყინაო  
და გააგრძელეს მშვიდი ცხოვრება.

## მუზა კვდება, გაუმარჯოს პოსმოსს!

ამ პროზაულ ცხოვრებას ვუცქერ პოეტურად,  
აბა, სად ვიპვო ლირიკა და პოეზია?  
მერე წინ დავილაგებ განსასჯელად აზრთა,  
რა უფრო ლამაზია:  
ვარდის კვირტი, მჭერიარი ვარდი თუ გაშლილი კოკორი?  
ესეც შესავალი,  
გნებავთ – უვერტურა,  
ანდა კაცობრიობის ბეცი ამნეზია.  
ვუყურებ და მჯერა, განზე გადგა ღმერთი,  
ღმერთსაც უყვარს მოკვდავთა უკვდავების ილუზია,  
არა ატომი და დენთი!  
აი, ასეთია ჩვენი რუტინა და შესაბამისი პოეზია,  
ამიტომაც კვდება მუზა მუზური

და ხელში გვრჩება პირდაპირი კავშირი კოსმოსთან,  
რეალურია გაფრენები მთვარეზე, მარსზე  
და ხელი მიგვინვდება, გამარჯობის თქმა შეგვიძლია უზენაესთან,  
ასეთია დღევანდელობა!  
იწყება კაკუნი კაკუნი უაზრო  
საუბარი მასზე,  
ოლონდ ვინ არის ეს ის,  
ან ვინ მოადგა ზღურბლთან, ვერაფერს მიხვდები.  
ინტრიგანებს აქვთ მცდელობა,  
პროზაულ ცხოვრებას დაარქვან სიყვარული,  
რადგან აქვთ ფული,  
ფული, ფული, ფული,  
ფული პოეტური.  
აქ იწყება და აქ მთავრდება ყველაფერი,  
გაყოფა არის მგლური.

## დათმო დაუთმოგელი

დაემხო ვიღაც აკაცის ძირებთან,  
აკაცის შეხმობიდა ყვავილი წინა წლის,  
ვერ გაიგებდი, ხე იხმობდა მოსულს,  
თუ მოსული მიისწრაფოდა ხელგანვდით.  
დაემხო ისეთი ძალით და სურვილით,  
შუბლით გაცვითა მიწა,  
მუხლით, ჩოქვით შემოიარა უცხო ხე,  
შემდეგ კი თითქოს იქვე მიწვა.  
დაცლილი, სულმინავლებული კლდეებს უმზერდა,  
ლოცვის თავი აღარ ჰქონდა.  
რადგან მტკვარს წაეღო მისი რწმენაც და სულიც,  
გონება მისი სხვაგან ქროდა.  
ვერ მოაქცია ის, ვისთვისაც დათმო ცხოვრება,  
ვერ გაიმზადა სადილი ხორციელი,  
ვერ აღისრულა აღსასრულებელი,

თურმე ვერ იყო ისე ძლიერი,  
როგორც თავად ეგონა  
და ეგონათ სხვათა.  
თანდათან დაეცა, რის დაცემასაც არ ელოდა,  
შემოეხარჯა ყველაფერი, რაც სწამდა,  
შემოაცვდა სულისა და ხორცის სამოსი  
და თავის სიშიშვლეს ვეღარ იფარავდა.  
ამკარა იყო, რომ არ უნდა ექურდა მისი სულის პატრონს,  
მაგრამ ნახა, რომ ნამდვილად იპარავდა,  
იცოდა ვისაც ჰპარავდა,  
ვერ აეხსნა, რატომ, რატომ ჰპარავდა.  
ასეა თურმე, თხოვნით მხოლოდ უფალთან შეიძლება მისვლა,  
არავითარი სხვა თხოვნა არ არსებობს,  
არ არის ნინისვლა,  
საქმეთა შენთა, რჩმენათა შენთა,  
ვერ აღსრულდება აღსასრულებელი,  
თუ ხარ შიშველი!  
ღმერთი ერთია, მთხოვნელი - მრავალი,  
სთხოვე მხოლოდ ღმერთს.  
არ სთხოვო კაცს, თუნდ იყოს წარმართი,  
არ სთხოვო, წართვი!  
სხვა გზა არ არის, რადგან ხარ შიშველი.  
და ყველა შიშველი თან შეშლილია,  
ვისთვისაც არ არის არავინ მშველელი,  
ვერც ვერავინ უშველის.  
... და დამხობილმა და დაჩოქილმა და  
შუბლნაცემმა თაყვანისცემით  
იბრუნა პირი, ზურგი აქცია,  
რასაც სცემდა თაყვანს და რაც სწამდა.

# იმიტობრთული პოეზია

## ანასტასია შიშინაშვილი, თურქეთი, სტამბოლი

ბევრს ვერაფერს გეტყვით... დავიბადე 1977 წელს, 28 ივნისს, ამბროლაურში. ვცხოვრობ თურქეთში, ქ. სტამბოლში... ბავშვობა ძალიან უბრალო და შეიძლება ვთქვათ, განსხვავებული მქონდა... ჩემი უდიდესი მეგობარი მამა იყო, რომლის შეგონებები დღესაც მეტმარება ცხოვრებაში... მამა, რომელმაც დიდი როლი ითამაშა იმაში, რომ ვყოფილიყო ის, ვინც დღეს ვარ... მჭიდრო კავშირი ბუნებასთან...

მეოთხე კლასიდან ვწერ... ბაგშვიბიდანვე მიყვარს პოეზია... ნიგბი, ეს ჩემთვის უძვირფასესი საჩუქარია... რვეული, კალამი, სანთელი და ვარდი, მხოლოდ სისხლის ფერი...

მრავალფეროვნება მიყვარს... სულ სიახლებისკენ ვისწრაფვა და გამუდმებულ ძებაში ვარ... ზოგჯერ თავადაც არ ვიცი, რას ვეძება... ორ სამყაროში ერთდღროულად ვცხოვრობ - რეალურში და ჩემს სამყაროში, რომელიც ჩემი ფიქრების და ოცნების ფერია...

მოგზაურობა მიყვარს... სიძვლეები... ნანგრევებში ხეტიალი... ყველაფერი მიყვარს, რაც მიტოვებული და მივწყებულია ადამიანებისგან... ადამიანებიც მიყვარს, წვიმა... თოვა... მზე... ქარი... მთვარე... ვარსკვლავები... ყველა და ყველაფერი მიყვარს საერთოდ და ვამბობა: ამ სამყაროში არაფერი არ არის უგულო და არაცოცხალი... ქვასაც კი გული აქვს და ისიც სუნთქავს.... უმთავრესია ადამიანს გულის თვალით ხედვა და გულის ყურით მოსმენა შეეძლოს.....

მიყვარს სიცოცხლე სიკვდილივით... სიყვარულია უმთავრესი ჩემთვის, რომელიც ვერანაირ ჩარჩოში ვერ თავსდება, უსაზღვროა, მარად უკვდავი, უბერებელი, უჭქნობი, უზომო და უსასრულო... ხო, მე ბავშვი ვარ... დიდი, პატარა ბავშვი, რომელსაც ითლად სწყონს, უხარია და უბრძლოდ ბედნიერია... ვისურვებდი გულხრფელ ადამიანებს, რომლებიც სიყვარულით იქნებიან უქრობად ანთებულნი... ჩემი სამშობლოს მთლიანობას და ძლიერებას ვისურვებდი... ემიგრანტობის დასასრულს ვისურვებდი... უნილბო სამყაროს ვნატრობა კიდევ... მე დაუდალავი მეორობი ვარ...

\*\*\*

აღარ მოვწევ პაპიროსს და  
აღარც დავლევ აბებს,  
ნაწნავს ვეღარ დავუშლი,  
სულწანყმედილ ღამეს!

-19-

„ორა“, 2020, 5 (24)



სასმელს პირში ჩავასხამ  
ეჭვით შეშლილ მთვარეს,  
კაბის ფრიალ-ფრიალით,  
შორს გავყვები ქარებს...

გადავტეხავ კალამსაც,  
აღარ დავწერ ამბებს,  
არც სიყვარულს მოვყვები,  
აღარც ფერად ზღაპრებს...

გავიხსენებ არც ერთხელ  
ჩემ მკვლელ მაგ შენ თვალებს,  
კარს ვუნახავ სამყაროს  
და გავაღწევ გარეთ...

გავშლი შვებით მაშინ ფრთებს,  
ღიმილს მოვფენ ბაგეს,  
ფურცლებს შენზე ლექსებით,  
მიმოვფანტავ გზაზე...

მოდი, სანამ წავსულვარ,  
სულ ბოლოჯერ მნახე,  
სამახსოვროდ რომ დაგრჩეს  
ჩახუტება მკლავზე,

ჩემი ნატუჩარები, -  
წაუშლელად ტანზე...  
კოცნა შენც დამიტოვი  
ძუძუსთავთან... ხალზე...

წავალ... აღარ იეჭვებ  
არც ჩემს ქმარზე... ქარზე...  
დღეს თუ აღარ მოხვედი...  
გილალატებ ხვალე!...

ღრუბელ-ღრუბელ ბანცალებს,  
ჩემით მთვრალი მთვარე...  
ვერა, ვერ მოვარჯულე,  
სულწამწყდარი ღამე!...

\*\*\*

- არა, ეს ქალი მომცემია გულის, სითბოსი,  
როგორც ზღვაზე მზე, - განოლილა მკლავზე სხვა კაცის,  
ტუჩებზე ღიმი დარჩენია სამკაულივით,  
ვიცი, ამ ღამით მასზე ფიქრი ძილს არ დამაცდის!...

და მოშიშვლებულ, ურცხვად, მკერდზე სამყაროს იტევს,  
ძუძუსთავები ატმის ფეთქების ფერად ატყვია,  
თმები ქარია... ქარიშხლები... ყელი - ბროლია,  
ეჭვი ნდომას ცვლის... ქხლა უკვე ღამის სამია...

ფიქრობდა კაცი... გარეთ ჰაერს მზერით სერავდა,  
- ეს რა ჯანდაბად ავიტეხე, ნეტავი, შარი?  
სულ სხვა ქალაქში, სხვა ქუჩიდან, სულ სხვა სახლიდან  
სხვა კაცის მკლავზე განოლილის სიზმრებს მწყემსავდა...

- ჩემთან თუ მოხვალ, სხვისო ქალო, გრძნობებით მთვრალო  
და შენი სუნთქვით ჩემს ოთახს თუ ფერად ფერს მისცემ?  
უსიტყვოდ გულში ჩუმა-ჩუმად ლაპარაკობდა  
მხატვარი კაცი პოეტ ქალზე თავხედურ ფიქრებს...

და იყო სივრცე... უსასრულო, ვით ზეცის კალთა,  
ღამე ბანცალით დადიოდა ქუჩებში... მთა-მთა...  
ადგა მხატვარი, ხელში ფუნჯი აიღო ისევ,  
დაიწყო მერე ფიქრში ქალის სიცოცხლის ხატვა...

- არა, მომცემია ეგ ქალი სითბოსი... გულის...  
ვარსკვლავი მოსწყდა ცას უცებ და რაღაც გახაზა...  
წამოდგა ფეხზე, მოისროლა ფანქრები... ფუნჯი...  
სარკმელს მიაწყდა, ჩაიფიქრა უთქმელად ნატვრა...

და იწვა ქალი... სხვა ქალაქში... სულ სხვა ოთახაში,  
როგორც ტალღებზე გადაწოლილი მზე სავსე... ხარბად...  
- ეალერსება ქმარი ნეტავ?... თუ სძინავს ისევ?...  
ეჭვი ჭამდა და... თხელ ჭიქაში ისხამდა არაყს...

პოეტი ქალი შეუყვარდა ერთ მოხუც მხატვარს...

\*\*\*

განა იოლია შენს თავს მოერიო,  
როცა სულში გიჭერს ყველა ტკივილები...  
ჰაერს ვეღარ გრძნობ და სუნთქვა გეხუთება,  
ისე იღუპები, ვეღარც იღიმები...

განა იოლია შენ თავს მოერიო,  
როცა სულ მომკვდარან თეთრი გვირილები...  
ისე დააბიჯებ, თითქოს აღარ იყო,  
რადგან უკვე მოკვდი... ვეღარც იღიმები...

განა იოლია ფეხზე წამოდგომა,  
ძალა აღარ შეგწევს როცა სიმშვიდეში...  
ყველგან ქაოსია... ყველგან დაცემაა...  
მიწას გართხმული კი ვეღარ იღიმები...

განა იოლია ცეკვლი აალო,  
როცა დღეებია სველი ცივ წვიმების...  
სულში შეპარული ყინვა ისე გთოშავს...  
რისი სიცილი და რისი ღიმილები?  
განა იოლია?

ფიქრი შემჩვევია,  
მე კი ფიქრებს ისევ გზაზე ვეღობები...  
წამი გამეყინა... წუთს ვერ ველოდები  
და ცარიელ საფლავს ღიმით ვეტოლები...

\*\*\*

შემომაკვდები, დღეო, გულში,  
მოსილო ძაძით  
და უყოფობას გავამართლებ ყოფაში... ალბათ...  
შიზოფრენია ახლა ქარებს ისე ეტყობათ,  
როგორც თვალებთან წლები სევდით ჩემს ასაკს ხაზავს!...  
გადავათენებ სიბნელეში ღამეს ნათელით  
და სულმკვდარ დილას ცრემლს ვაჩუქებ ღიმილის ნაცვლად...  
შემომასკდება სულში გრძნობა ჭკუა შეშლილი,  
აფოფრებული, გაგიუებულ ზღვის ტალღის მსგავსად!...  
ხოდა... გაუძელ... თუ გაუძლებ არეულ ამინდს...  
ქარმა აშალა ზეცა მეტად... ღრუბლებით ხატა...  
აკანკალებულ თითებს ვახვევ ჰაერს უგონოდ  
და დამამსგავსა ამ აპრილმა სულგარყვნილ ხასას...  
ვითხოვ სიყვარულს... მეტ ვწებას და უფრო მეტ გრძნობებს,  
ხელისგულიდან გამქცევია სიცოცხლის ხაზი...  
ვერ შევიმოსე სულ-სხეული ჭინჭებით... რა ვქნა?...  
ნაბიჭვარია მარტ-აპრილი... ყალბი და ფარსი!...  
- შემომაკვდები, დღეო, გულში, მოსილო ძაძით!...  
მთვარე წამართვეს... წლებმა მაინც გამზარდეს ვერა!...  
და მე მოვკვდები ხვალ ან მერე... ზეგ... ზეგის ხვალეს,  
დაუბადებლად რომ უკვდება ბავში მის დედას,  
რადგანაც ვხედავ... უფრო მეტად ვგრძნობ და შევიგრძნობ,  
ვერ დავიბადე ამ სამყაროში მე კიდევ ჯერაც!...

\*\*\*

როგორ დაგიტირო, თავო ჩემო,  
ჩუმი ცრემლებით თუ  
ხმამაღალი მოთქმა-გოდებით.  
მუხლებზე დარტყმული ხელისგულებით თუ  
უხმოდ გულში გულის გახევით...  
როგორ დაგიტირო, ჩემო თავო...  
ხებზე ფოთლები კვდომას იწყებენ  
და ცვივიან მიწაზე უსიცოცხლოები.  
როგორ არ ვიტირო, აბა მითხარი,  
როცა მე მათ სიკვდილს ასე ვესალმები...  
მე მათ სიკვდილისას უფრო ვცოცხლდები...  
რამდენი ხანია უმდერი ნანას ჯერ არ ჩასახულს ჩემში პატარას...  
რამდენი ხანია ვარნევ ცარიელ აკვანს...  
გადავკრავ არტახს...  
ძველქართულად რომ ვფიქრობ გაზრდას იმისას,  
ვინც არ დაბადებულა...  
არც კი არსებობს...  
როგორ არ უნდა დაგიტირო, თავო ჩემო...  
როგორ არ უნდა აგიშარდე, ყოფავ ჩემო...  
რამდენი სულიერი დაიბადება...  
ყველას სამშობიარო ტკივილები მე მტკივა,  
ადამიანის თუ ცხოველის...  
ქალის თუ ძალლის... ძალლის თუ კატის და ასე შემდეგ...  
როგორ ვახშობ ჩემ გრძნობებს,  
როგორ ვკლავ ფიქრებს,  
როგორ ვიმეტებ ყველაფერს  
რაც მიყვარს და რაც მკლავს...  
როგორ არ დაგიტირო, თავო ჩემო  
ან...  
როგორ დაგიტირო, - მუხლებზე დარტყმული ხელისგულებით,  
ხმამაღალი მოთქმა-გოდებით  
თუ  
ჩუმი ცრემლებით...

\*\*\*

ქარმა მოხვეტა ფოთლები,  
ზეცას ეწყინა...  
წვიმს!...  
ქუჩა აივსო ქოლგებით,  
წვიმას უფროთხიან...  
მწყინს!...  
სიყვარულს ასე ვშორდებით  
ან თუნდაც... ვუფროთხით...  
ცრის!...  
გრძნობებს თუ დავემონებით  
გადავრჩებით და...  
ღირს!...  
ღრუბლებს მიაწყდნენ ქორები,  
სწყურიათ სისველე  
წყლის!...  
წახვალ და... დაგილონდები...  
უშენოდ ყოფა  
მშლის!...

---

ქარმა დატანჯა ფოთლები...  
ნეტავ ადარდებს  
ვის?!...  
- აქამდე რად არ მოხვედი..?  
ამბობ და ვგრძნობ, რომ  
გწყინს!...  
მაინც მიდიხარ... ვშორდებით...  
ცა გვიყურებს და...  
სწყინს!...  
წვიმს...  
უსაშველოდ  
წვიმს!...

## ქარი და ჭადრის ხე

ქროდა ქარი  
ვნებით მთვრალი,  
ჭინკით სავსე  
ქონდა თვალი,  
ქარი იყო  
მამაკაცი,  
მონდომოდა  
ტანი ქალის...  
არ უნდოდა,  
არა შარი,  
უინის მოკვლა  
სურდა მხოლოდ,  
აირჩია ხე ჭადარის,  
დროებითად  
საწაწლაოდ...  
იცოდა, რომ  
საორსულოდ  
უნაყოფო  
ჰქონდა საშო,  
ლამაზია,  
ტანადია,  
ვერ გამიჩენს,  
ოლონდ ბავშვსო...  
მივიდა და გაულიმა,  
თმები ვნებით  
დაუყონსა,  
გაინაზა ჭადარის ხე,  
აკლექუცდა,  
დაუმორცხვა...  
სულ აინთო  
ქარი ცეცხლით,  
ტანზე ძარღვი

აუტოკდა,  
მიეტმანსა ახლოს  
ჭადარს,  
ბაგით მკერდი  
დაუკოცნა...  
აკანკალდა  
ჭადარის ხე:  
- ეს არავის  
გაუბედავს...  
თქვა ხმის  
თრთოლვით,  
ჩურჩულ-ჩურჩულ,  
ქარს კი ვნება  
გაუხელდა...  
ვერ დაიცვა  
თავი ხემაც,  
ქარი ძალზე  
ძალადობდა,  
ტოტებ(ხელში),  
ფოთოლ(თმებში),  
ვნებით სავსე  
ბალახობდა...  
ბოლოს ორგაზმს  
მიაღწიეს  
და ორთავემ  
დაიგმინა,  
ხე ცრემლებით  
სავსე იყო,  
რომ დაიდო  
მასში ბინა  
ქარმა, ვნებით  
გადამთვრალმა...

\* \* \* \*

დგას ჭადრის ხე  
გაბერილი,  
უკვე თავს თვლის  
ნამდვილ ქალად,  
რადგან გრძნობს, რომ  
ორსულია,  
ქარი ხდება

მალე მამა...  
ქარმა არაფერი იცის,  
დასტვენს, დარბის  
კარდაკარად,  
ერთი ღამის  
ვნებით ტკბობა,  
დაივიწყა, ასამარა...

## გრანელისეულად...

„ახლა ისევ ხშირია შეცდომების დაშვება“ ...  
ნუხელ მკლავდი, როგორც მტერს,  
გულს მიჭრიდი ნაჭრებად,  
მაინც ველარ შევძელი ჩემგან შენი გაშვება...  
ზლვა როდესაც ბობოქრობს და შეშლილი ქარია,  
ცაზე როცა ღრუბელში არეული დარია,  
როცა ამ სამყაროში სხვა სამყაროს ზარია,  
ლურჯ სივრცეებს ვიტაცებ, მათკენ მიმიხარია...  
შენიდან ხომ ჩემამდე უსასრულო წამია,  
ჩემიდან კი შენამდე მხოლოდ ქარიშხლებია.  
გზაზე მიმობნეული ცოცხალ სისხლის კვალია,  
მინა კიდევ ამ სისხლით გალეშილი მთვრალია...  
„ახლა ისევ ხშირია შეცდომების დაშვება“,  
რადგან მკვლელი დაგტოვე, ვერ შევძელი გაშვება.  
აღარ მინდა აქ ყოფნა, სხვაგან მინდა გაფრენა,  
თან წაგიყვან შეცდომას, როგორც ჯვარის ტარებად.  
რა მძიმეა სიცოცხლე, სიკვდილი კი მშვიდია...  
ისევ დავაგვიანებ, ახლა უკვე შვიდია.  
ჩამობნელდა სამყარო, არსად აღარ მიცდიან...  
შეცდომების დაშვება? ... ახლა მართლა ხშირია! ...

\*\*\*

მიყვარდა...	ათქვირებულ
მნამდა...	კოკრების
მიხაროდა...	მსგავსად...
მწყინდა...	... და როცა
ვტიროდი...	მოკვდა...
ტკივილს	როცა
ვტოვებდი	მოვკალი...
მოურჩენელ	ყველა ლექსი
უდიდეს	გამიხდა
დარდად...	ავად...
მქონდა	ყველა ტაეპი
ოცნება,	ტკივილსა და
მრავლფერი	ცრემლის ზღვას
და ბევრი	ხატავს...
ნატვრა...	მიყვარდა...
ვგრძნობდი	მნამდა...
ზამთარში	ადრე იყო...
სისხლის ფერი	მიხარის
ვარდების	ალარ...
გაშლას...	ვხვეტავ იმედებს
შუა დეკემბერში	ბნელ კუთხეში
გაზაფხულის	გაბნეულ -
ვუშვებდი	დაყრილს...
ფარდას	ვეძებ სიყვარულს
და მე ვიწერდი	ტოტებგაშლილს,
დეკემბერთან,	ჯანმრთელს და
შეშლილი,	ახალს...
ჯვარსაც!...	ვგრძნობ,
აღარც ხდებოდა	ახლოს სუნთქვას,
სული მერე	სულ ახლოს...
გლახად და	სადლაც...
ავად...	მრცხვენია
იმედის	არა,
გარდა	სიყვარულის
არავინ	თავიდან
მყავდა....	ნახვა!...
ასე ვხარობდი	

## ტანგო სიკვდილთან

ვეფერებოდი ღამის აჩრდილებს და არ ვიცოდი,-  
აჩრდილებს შორის სიკვდილი იდგა ფერნაცვლელ ნიღბით...

ჩემთან მოვიდა კრძალვით და რიდით,-  
ცეკვა მინდაო, ქალბატონო,... შემომაგება ღიმილი თბილი...

შემომახვია წელზე ხელები... ამოიკვნესა აკორდმა ერთმა... მოპყვა  
მეორე... მესამე...  
სულ შეიშალნენ, გადაიფანტნენ ნოტები ბინდში...

ნაბიჯი წინ და უკან გადგმული... თვალებში მზერა მწველი...  
მდუგავი...  
სუნთქვა გახშირდა... არ შორდებოდა ბაგესთან ღიმი...

თითების თამაშით თეძოსაც მისწვდა... ურცხვად ვნებების  
დაანთო ცეცხლი...  
შემომაპარა უეცრად ფიქრი...

მთუთქავი სუნთქვა ყურთან შემახო... ტანი ათრთოლდა  
და აჩუხჩუხდა ძარღვებში სისხლი...

- ქალბატონო, მშვენიერო, - წამიჩურჩულა, -  
ვეღარ მიცანი?... მიყვარხარო, ნუთუ ვერ მიხვდი?...

თავდავიწყებულს აჩრდილის მკლავში, სულ დამეკარგა აზრი-  
გონება...  
გრძნობა ვიგრძენი საოცრად თბილი...

- მე სიკვდილი ვარ, ჩემო ფერიავ... და გამისწორა წელი  
ხელებით...  
არ შორდებოდა ბაგეზე ღიმი...

აბორიალდნენ აჩრდილები და გაიყინა გარშემო წამი...  
ტანგოს ჰანგების უცებ ჩაწყდა მჩქეფარე სიმი...

ხელი წაიღო სახისკენ ნელა და მოიშორა ნიღაბი მისი...  
...და იდგა ჩემ წინ გრძნობა აშლილი სიკვდილის ჩრდილი...

სულს მოსწყდა... გულში ჩამედინა... ჩამომეკიდა  
წამნამებზე ცრემლების მძივი...

ახლა მე უკვე, შენს მაგივრად, პირისპირ მდგარი  
სიკვდილის ჩრდილის ჩასახუტებლად ჩემს ხელებს ვშლიდი...

დიდხანს მიყურა თვალებში... დიდხანს...  
ვერ მომაშორა თვალები ცივი...

გულში ჩამიკრა... სტკიოდა, - მივხვდი...  
- მე რომ ძალიან მიყვარხარო, ნეტავ თუ იცი?...

...და ანაფორის, შავი ფერის, აშრიალებით, ჩქარი ნაბიჯით  
წამსვე გამშორდა...  
სიკვდილი მიდის!...

ათრთოლებული მხრების რხევაზე შევამჩნიე, თურმე ტირილიც  
შესძლებია...  
ისიც კი ტირის!...

\*\*\*

ვეფერებიდი ლამის აჩრდილებს და არ ვიცოდი, -  
აჩრდილებს შორის სიკვდილი იდგა ფერნაცვლელ ნიღბით...

ტანგო მეცეკვა შეშლით სიკვდილმა...  
მის მერე გზისკენ მზერა დამჩემდა, -  
და პაემანზე ჩემი სულით დამთვრალი მიცდის!!!!...

## ტუჩეპის შეხვედრა

შენი ტუჩები შეხვედნენ ჩემს ტუჩებს,  
სალამი უთხრეს კრძალვით...  
ჩემმა ტუჩებმა ჩაილიმილეს  
და ვეღარ უთხრეს „წადი“...  
ვერ აუარეს გვერდი ერთმანეთს,  
ვერც აარიდეს თვალი,  
მიუახლოვდნენ, მერე შეეხნენ...  
ოი, რარიგად მწვავდი!...  
მონატრებული შემოქავივნენ,  
როგორც ჭიგო და ვაზი...  
რა წაგვაქცევდა უკვე მე და შენ?...  
დაგვაშორებდა არვინ!...  
ჯერ ნელა-ნელა... მერე გაშლეგდნენ  
და გაამძაფრეს წამი!...  
გვსვამდნენ ერთმანეთს ჩვენი ტუჩები  
ვნებით, გრძნობებით მთვრალნი!...  
როგორც უდაბნო უწყალობისაგან  
არის დამსკდარი, მშრალი...  
ასეთი მქონდა ჩემი ტუჩები  
და შენ მაპუურე წყალი...  
კოცნა დავარქვით გიჟმაჟ შეხვედრას,  
ვითარც შეშლილი ქნარი...  
შენი თითები თმებში ცურავდნენ,  
როგორც ტალღებში ნავი...  
მე ალარ ვიყავი პატარა გოგო,  
არც შენ იყავი ბავშვი,  
ალარც დიდები... ალარც ზრდასრულნი..  
ალარც კაცი და ქალი...  
სულ სხვანაირნი, რაღაცნაირი...  
უფრო ვიყავით ალნი...  
ოი, რარიგად მომნატრებისარ...  
ოი, რარიგად მწამდი...  
ჩვენი ტუჩები შეხვედნენ ერთმანეთს...  
შენ მე და შენ გსვამდი...

\*\*\*

მუჭში მოქცეულ სიცოცხლის ხაზებს  
ვჭმუჭნი გზადაგზა, ვასწორებ, ვაფრენ...  
იქნებ ოდესმე მეშველოს რამე,  
იქნებ სამყაროს გავშორდე მალე...  
არ მინდა აქ და მე მინდა სადმე...

თეთრი კედლების თეთრ დერეფანში  
დაუჭერიათ წუხელი ღამე...  
თეთრხალათიან ექიმებს თურმე,  
გადაუკოჭავთ საწოლზე წამსვე...  
ათასი აჩნდა ჭრილობა ტანზე...

თოკის მარყუჟში თავგადაყოფილს  
ქარი არხევდა სულჩამკვდარ მთვარეს...  
ვეღარ ვუძლებდი ტკივილებს მეტად,  
მუჭში დაჭერილ სიცოცხლის ხაზებს  
ნელა და ცრემლით ვუშვებდი გარეთ...  
არ მაშორებდა ჰაერი თვალებს...

თეთრი კედლების თეთრი ჭერის ქვეშ,  
ჯაჭვის ბორკილი ხუთავდა ღამეს,  
დასრიალებდნენ გველები კლაკვნით,  
დრო ვერ ასწრებდა სირბილში წამებს...  
ვეღარც ამბობდა ვერავინ სათქმელს...

ნაწნავდაშლილი დერეფნის ბოლოს,  
მივადექ ერთი ჰალატის კარებს...  
ნითელთვალება, მაღალი ვინმე,  
გადამეღობა ურცხვად წინ, გზაზე  
და ხარხარებდა შემზარავ ხმაზე...

ყარდა შენობა ... ჰაერი მძიმე  
ვერ მოგიყვანდა სიცოცხლის აზრზზე...  
გადამიშოლტა ზურგზე მათრახი,  
ვიღაც უცნობი დამადგა თავზე  
და წაქცეული პირქვე, მეტლახზე,  
ვეღარ ვიჭერდი სიცოცხლის ხაზებს...

უმწეოდ გაშლილ ხელისგულებში  
ძლივ-ძლივობით დავმალე სახე...  
გარდამეცვალა მე მაშინ ლამე...  
ვერვინ ჩამოხსნა თოკიდან მთვარე...  
ვეღარც ფერადი ფერებით ვხატე...

წამომაყენეს პირველი მე და...  
მეორე მე კი სადღაც დამარხეს...  
ჰო, დავესწარი დასაფლავებას  
საკუთარ თავის... დასცხეს დაბდაფებს  
და მივაკითხე უცხო საფლავებს...

- ახლა მითხარი, შენ მე სად მნახე,  
რომ ორგულობა ასე დამწამე?....  
თეთრ კედლებს შორის ვერ დავეტიე...  
ან როგორ უნდა დავპატარავდე,  
ამ სამყაროში რომ ჩავეტიო?....  
ჰო, შენ კი... ვფიქრობ, - მე სულ ვერ მნახე...

არ მინდა აქ და მე მინდა სადმე...  
მესაიდუმლეს აქ კლავენ ღამეს,  
ღრუბლებზე კიდებს თოკს სატრფო ჩემი  
და ასე იკლავს თავს მერე მთვარე...  
სადღაც შორს მინდა... ოხ, სადმე... სადმე...  
და წაქცეული, გაშლილი ხელით,  
მე ვეღარ ვიჭერ სიცოცხლის ხაზებს...

\*\*\*

...და ახლა თუ არ გაწვიმდე...  
ნამუსი შეგირცხვეს, ზეცაო!...  
ავად ვარ... სულის ტკივილებს,  
ვერ ვუმკლავდები მეტსაო...  
იქნებ და... შენი წვეთები,  
მიმომებნიონ შვებადო...

გიყურებ... ვუსმენ შენს ხმაურს,  
ხმამაღლა ფიქრსაც ვბედავო,  
- იქნება ღმერთი ურემით  
დადის შენ გულის ზედაო...  
დარდები დააქვს და სევდა,  
ე, ამ სამყაროს ხელაო...

იქნებ და... სულებს ხორუმი  
გაუმართიათ დღესაო...  
აუუ, რა მოხდა, მიშველე,  
ჩამოდი მიწას ფეხადო...  
დაუშვი სველი წვეთების  
ფარდა, ცრემლების ფერადო...

გაწვიმდი, ნულარ აყოვნებ,  
ატირდი მალე, ზეცაო,  
თორემ ვერ ვუძლებ ტკივილებს,  
ძვლამდე დასული მტეხავსო...  
ფრთებმოტეხილი ვაგდივარ,  
ველარ შევძელი ფრენაო...

...და ახლა რომ არ გაწვიმდე...  
გავებულები მზესაო...  
გემუდარები, იწვიმე...  
ნამუსს გაფიცებ ზეცაო!...

გავიდა დრო და... მოხვედი ისევ,  
კარი ჭრიალით გაიღო ქოხის...  
მე ბუხრის პირას წარსულს ვექავდი  
და დღე ვიყავი გუშინ-ხვალ შორის...  
სუნზე გიცანი... გრძნობების სუნზე,  
ლია კარებში მეფე იდექი...  
წარსულ წამების, მე, დედოფალი,  
ლიმილმორეულ ბაგით გიმზერდი...  
მომიახლოვდი ნელი ნაბიჯით...  
თმებში ჭალარა ფიქრებს მითხრობდა  
და ქარიშხალი მუხლზე დაჩოქილს  
უტყლაშუნებდა, ღამეს, ვით მონას...  
ვნების ფერებით აივსო ტანი...  
ერთმანეთს შეხვდნენ მშრალი ბაგენი...  
ჰო, მე ვიყავი ნაწყენი ქალი,  
ქალი, სულ სავსე ფერად ამბებით...  
როგორც უდაბნოს ქვიშას წატრული  
წვეთი პატარა, მაგრამ თან ბევრი,  
მსვამდი და გსვამდი და ვრწყულდებოდით,  
და ვივსებოდი შენით... შენ ჩემით...  
საკინძეს მორცხვად შეაწყდა ღილი,  
ბუხარში ცეცხლმა ხვენეშას უმატა  
და სარეცელად სპარსული ნოხი  
და მაინც ჩუმი ხვეწნა-მუდარა...  
და კვლავ იხილე ხორბლისფერ ძუძუს  
აფეთქებული ატმის კერტები...  
შენ ზღვა იყავი, მე ოკეანე,  
ჩემში ცურავდი სველი შეფეხით...  
ალარ გინდოდა, თავდავიწყებულს,  
მერე ნაპირთან გამოგეცურა...  
ქოხს ეუცხოვე, გადაგრივეოდა,  
მხოლოდ მე ვიყავი მისი ბეღურა...

დატენიანდა სხეული შენით,  
სხვა სიცოცხლისთვის გამოიპრანჭა.  
სარკეში თვალთან ნაოჭს ვითვლიდი,  
შენი არყოფნით თმაში ჭალარას...

\*\*\*

გადამიყოლებს ეს ქარიშხლები  
(რა ვქნა, რომ არსად ალარ მაქვს ბინა!)  
და მერე როგორც თავშესაფარი,  
ფარდებს დაუშვებს ზეციდან წვიმა.

წავყვები სადღაც სველ წვეთებს ჩუმად,  
ავედევნები სულის ფორიაქს...  
მე სხვანაირი სამყარო მსურდა  
ისეთი, არვის რომ არ ქონია...

რა შემრჩა ხელში?... მხოლოდ ჰაერი  
და დაჭერილი მუჭით სიცოცხლე...  
სიმღერას ჩემსას ახლა სხვა მღერის  
ქარი კი მპარავს დაყრილ ძირს ფოთლებს...

ვარ მდგმური წამის სოფელში წამით,  
ბოლო თეთრები სასმელში ვხარჯე,  
ლექსიც დავკარგე წუხელი ღამით,  
სიცოცხლეც მერე ვეღარ დავხატე...

ალარ მაქვს ბინა... ქარიშხლებს ვეპრძვი,  
ვრჩები ფეხშველა მიწა-ცას შორის...  
ეს მერამდენედ მათხოვარს ვხვდები,  
სარკე-წყლის პირას შეშლილად მდგომი...

- ფარდა დაუშვი, ზეცაო, წვიმის,  
მომეცი სველი თავშესაფარი!....

## თანამედროვე ქართული პოეზია

(რა უდარდელად ცეკვავდა დილა  
ოქტომბრისა და ნოემბრის ფერხთით)

\*\*\*

ლამის ნამსხვრევზე ცეკვავდა დილა,  
მზეს დაეშალა თმა ოქროს ფერი  
და შემორჩენილ სურნელად იდგა  
ხსოვნად დამრჩალი თვე ოქტომბერი...

სარკისებურად ელავდა მიწა  
(ლამის სხეულის ჩამქრალი ფერფლი),  
ბოლო ფოთოლი ხტებოდა ხიდან,  
ხეები იდგნენ შეშლილი მზერით....

დრო კი სიცოცხლეს სევდიანს ხდიდა,  
არ ერთდებოდნენ არც არსად გზები...  
რა უდარდელად ცეკვავდა დილა  
ოქტომბრისა და ნოემბრის ფერხთით...

ლამის სიკვდილი არავის ფიქრად  
არც კი მოსვლია და უფრო მეტიც -  
მის ნამსხვრევებზე ამაყად იდგა  
მზე, თმადაშლილი, ოქროსფერ ფერით!...

\*\*\*

გადამიყოლებს ეს ქარიშხლები  
(რა ვქნა, რომ არსად აღარ მაქვს ბინა!)  
და მერე როგორც თავშესაფარი,  
ფარდებს დაუშვებს ზეციდან წვიმა.

წავყვები სადღაც სველ წვეთებს ჩუმად,  
ავედევნები სულის ფორიაქს...  
მე სხვანაირი სამყარო მსურდა  
ისეთი, არვის რომ არ ქონია...

რა შემრჩა ხელში?... მხოლოდ ჰაერი  
და დაჭერილი მუჭით სიცოცხლე...  
სიმღერას ჩემსას ახლა სხვა მღერის  
ქარი კი მპარავს დაყრილ ძირს ფოთლებს...

ვარ მდგმური წამის სოფელში წამით,  
ბოლო თეთრები სასმელში ვხარჯე,  
ლექსიც დავკარგე წუხელი ღამით,  
სიცოცხლეც მერე ვეღარ დავხატე...

აღარ მაქვს ბინა... ქარიშხლებს ვებრძვი,  
ვრჩები ფეხშველა მიწა-ცას შორის...  
ეს მერამდენედ მათხოვარს ვხვდები,  
სარკე-წყლის პირას შეშლილად მდგომი...

-ფარდა დაუშვი, ზეცაო, წვიმის,  
მომეცი სველი თავშესაფარი!...

\*\*\*

როგორ მინდა ვიყვირო: - სად ხართ „ლურჯა ცხენებო“  
ან და ტატოს მერანო რატომ დააგვიანე?!?

გამიყვანდით ქვეყნიდან... წამიყვანდით სხვა მხარეს!..

ვერაფერი ვუშველე ყოფას, - დრო ნაგვიანებს!...

ახლა წამი ყოველი სიკვდილი და ტანჯვაა...

სუნთქვა შვება არ არის... უფრო მეტი ვერ ყოფა...

გრანელს ვეძებ შეშლილი... გადავურჩი მარტის ქარს,

შეცვლილია აპრილი... სისხლი ცრემლად ეტყობა...

არც ხსნაა და საშველი!... ვერ და არამ იმძლავრა...

გულში მკვდარი წევს ღმერთი... პანაშვიდებს ვაგრძელებს...

არავინ მისამძიმრებს... არავინ და ვერავინ...

ვჭირისუფლობ მარტო და... ტკივილს ველარ ვანელებს...

წამებს ვებლაუჭები, წუთებამდე არ ვუშვებ...

შენ იქ დამრჩი... წამებში... დრო მინდა, რომ დამუნჯდეს!...

ჰე, „ლურჯა ცხენებო“!... ან შენ, ტატოს მერანო,

მომისწარით სულზე და...თუ კი გრანელს მაჩუქებთ,

აღარ დავენდურები ყოფას ამ უყოფობაში...

აღარც ვიტყვი საყვედურს... გავფრინდები, გავაღწევ

სადმე... მაინც მივაგნებ სამყაროდან გასაქცევს...

გავაცოცხლებ ღმერთს გულში... გლოვას სულ დავამთავრებ!...

როგორ მინდა ვიყვირო: - სად ხართ, „ლურჯა ცხენებო“,

ან და... ტატოს მერანო, რატომ დააგვიანე?!...

# პროგრესი

## გიორგი სოსიაშვილი

### გადამყვარებელი

— ვიცი, რო გიშველის... პირველარი ოთხჯერ გადაიწერა ფარსიამ, თან ცაში აიხედა, იტყოდი, რო უფალს თვალებით რაღაც მოუბოდიშა, მერე რაღაც გაურკვევლად წაიბუზებუტა და შემომხედა.

— ისეთ დღეში ვიყა, ისეთ დღეში... მოსვენებას არ მაძლევდა ის არსახსნებელი და იმ კაცმა გადამარჩინა. ხან რა უბედურება გამომიტყვრებოდა, ხან რა... სამი ცხვარი მყავდა შეთქმული. ერთი გერში, ორი არბოში. აბა, გერში როგორ ავიდოდი. ომის მერე იქ ფეხი აღარ დაგვიდგამს და ვიფიქრე, სამივეს არბოში დავკლავ-მეთქი. აი, დღესა — აი ხვალა, რაღაცა მიშლიდა ხელსა. სიტყვის კაცი ჯერ ღმერთან უნდა იყო და მერე კაცთან. შევუთქვი და ვერ შევასრულე. — წითელი ცხვირი მოისრისა და მხრები აიჩეჩა, — ღმერთის მოტყუება ყველზე მეტად გვეიოლება. ძან თუ არ გაგიჭირდა, არც გახსოვს... მამაოსთან მივედი, ასე და ასეა საქმე - მეთქი. მამაომ რო არ გითხრას, შენ არ იცი, რა უნდა გააკეთო? მაგრამ დასტური გინდა... მამაომ მითხრა, მაგ ცხვრების დაკვლას და ტაშ-ფანდურს ჯობია, ეგ ფული გაჭირვებულებს დაურიგოო. ვაპირებდი, რო ორი კაპიკი, რაც მივაწებ-მოვაწებე, ჩემი მეზობელი ჯემოსთვის მეჩუქებინა. შვიდი შვილი ჰყავს, გაჭირვებულები, უი... ცოდვით დაინვები. ის ჩემი შეთქმული ცხვრების ფული გადავკეცე, შევინახე, კაპიკი არ მომიკვლია. ჯემოსთვის ვაპირებდი მიმეცა. რო არ დაგიმალო, — თითქო ენა დაება ფარსიას, — ნახევარი მივეცი, სულ ვერ გავიმეტე, ის ნახევარი შემომეხარჯა. ფულს რო ვაძლევდი, ჯემო გაკვირვებული მიყურებდა. არაფერი მითქვამს, რო ცხვრები მყავდა შეთქმული და შესანირში დასახარჯ ფულს ვაძლევდი. შეიძლება, ისე არც გახარებოდა, იტყოდა: „ფარსიამ კი არ მაჩუქა ფული, ღმერთმა გამომიგზავნაო“ და ჩემი ნაჩუქარი ფული, ჩემი გაკეთებული სიკეთე, მეორე დღეს აღარც

ეხსომებოდა. იფიქრებდა, „მაინც უნდა შეეწირა ღმერთისთვის და მე არ ვიქნებოდი, სხვას მისცემდაო“. მადლის კეთებაშიც იმდენი რამე ჩაიხლართება ხოლმე... მივეცი, ვერაფრით იჯერებდა, ბოლოს ხელებზე დამინყო კოცნა.

– მტვერი ფქვილი აღარ მქონდა, ვედრით დადიოდა ჩემი ცოლი და დედაჩემის პენსიამდე არავინ გვასესხაო. – ლამის ტირილი დაინყო, – მე და ჩემი ბიჭები ვენახს დაგიბარავთო. კაი-მეთქი, დავთანხმდი, თან ვფიქრობდი: „ეკლესიის სახელზე რო ვაკეთებ, სალოცავის ამბავზე, ხომ არ ვუთხრა-მეთქი“.

მაინც არ ვუთხარი. თითქოს მინდოდა, რო სიკეთე მხოლოდ ჩემგან მიეღო და არა სალოცავისგან. ცხვრების ფულის მეორე ნაწილი შემომეხარჯა. რა გამოვიდა? გამჩენს ფული მოვუტეხე. ეგ ამბავი იყო და იმის მერე გავწამდი სიზმრებში. სულ ერთი და იგივე მესიზმრებოდა. სალოცავთან მივდიოდი, ჩემი ცოლი და ბიჭიც თანა მყავდნენ. სამ-სამ ცხვარს მივიყვანდით, როგორც კი ეკლესიის გარშემო შემოვლას დავიწყებდით, ატეხავდნენ ყურის-ნამდებ კიკინს ცხვრები და უკან გამორბოდნენ. სულ ესე გრძელდებოდა... გაზაფხულზე მომადგა ჯემო და თავისი ბიჭებიც მომაყენა. ბარები დაელესათ, შენ ვენახს ორ დღეში დავბარავთ, აბა ამათ შეხედე, მგლებივით არიანო, – ამაყად გადახედა თავის მოყვინჩილებულ ბიჭებს. ერთი სიმაღლისები იყვნენ. იდგნენ და უდარდელად ილიმებოდნენ. – შენ ისეთი კაცი ხარ, ისეთი პატივი ეცი ჩემს ოჯახს, როდის გადავიხდით ამ სიკეთესაო.

ვიუარე, სხვა დროს დავბაროთ-მეთქი. ვერ ვუთხარი, სალო-ცავის სახელზე შეთქმული ცხვრების ფული გაჩუქე-მეთქი.

– რას ამბობო, შეიცხადა, წავედით შვილო, - უთხრა თავის ბიჭებს და გასწიეს ჩემი ვენახისკენ.

გამოვეკიდე. აქეთ მე, იქით ჯემო და თავისი ბიჭები. ვენახში არ ვუშვებდი. ვერ იგებდნენ, რატომ არ ვუშვებდი.

– წელს არა ვბარავ, ვენახს-მეთქი.

- როგორც შენ გვეცი პატივი და დაგვიდექი გვერდით, ისე ჩვენ გვინდა, რო ჩვენებურად გცეთ პატივი. ერთს ავიქროლ-ჩავიქროლებთ და ეგ არის შენი ვენახიო.

არაფრით არ შევუშვი. მიყურა, მიყურა, საწყალი თვალები ჰქონდა. ალბათ იფიქრა: „ის ფული უკან არ მომთხოვოსო“.

– იმ ფულზე ნუ ფიქრობ. ის ფული ღმერთმა გამოგიგზავნა-მეთქი.

უფრო დაიბნა.

– ეგრეა, ღმერთმა გამოგიგზავნა და მოდი, ამ საკითხზე ნულარ ვილაპარაკებთ-მეთქი.

აიჩეჩა მხრები, კარგა ხანს მიყურებდა და დაბნეული წავიდა.

ისევ ისეთი სიზმრები დამეწყო... მამაო ალარ მინახავს. წავედი და სამი ცხვარი ჩამოვიყვანე. ერთი ერედველი კაცისგან ვიყიდე, სახელი დამავიწყდა, თუმცა... მაგას რა მნიშვნელობა აქვს. ის „მოტეხილი“ ფულიც შევაკონინე და წავედი სალოცავში. წმინდა გიორგის კარზე გავუშვი ცხვრები. იდგნენ ეგრე გაყუჩებულები და წმინდა გიორგის კარზე ყოფნით ტკბებოდნენ. სიჩუმე იყო, ჩემი ბიჭი ხან ერთს ეფერებოდა, ხან მეორეს, ხან მესამეს. ჩემი ცოლი რაღაცებს ბუტბუტებდა... ლოცულობდა. შევედი სალოცავში და ჯემოს რო ფული მივეცი, იმის ნახევარი, რაც „მოტეხილი“ მქონდა, შესანირში ჩავუძახე. თან ვფიქრობდი, „ცხვრები ხომ ამოვიყვანე და ეს ფული რო არ ჩამეყარა რა დაშავდებოდა-მეთქი.“ რამ მაფიქრებინა? მაგრამ ხომ გითხარი, შემოჩენილი იყო ის არსახსენებელი.

იქაურებმა წაიყვანეს ჩემი შენირული ცხვრები. ვითომ გულზე მომეშვა, რაღაცნაირად ამოვისუნთქე. თითქოს ჩემი ცოდვები მოეძოვოთ და თან წაეღოთ შენირულ ცხვრებს. თვალმართალივით ავყურებდი ცას. წამოვედით, მეგონა წმინდა გიორგის ჩემზე გული მოუბრუნდებოდა და ყველაფერი კარგად იქნებოდა. არაფერი გამოვიდა. მაინც არ მასვენებდა სიზმარი... ავიყვანდი ცხვრებს სალოცავის კარზე, მაგრამ გამორბოდნენ.

სიზმრებს ალარ ვჩიოდი, ხან ბიჭი მიხდებოდა ავად, ხან ცოლი. არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. მერე მითხრეს იმ კაცზე, ყველანაირ ავადმყოფობას კურნავსო, – პირჯვარი გადაიწერა – საოცარი კაცია... იქ ისეთი ავადმყოფები მოჰყავდათ... – ორთავიანი ადამიანიც კი ვნახე...

– როგორ თუ ორთავიანი?

- ჰო, ორთავიანი იყო. თვალებს არ ვუჯერებდი. მეგონა, რო მეჩვენებოდა, გაბეცებული ვუყურებდი... ერთი თავი ჩემსკენ ჰქონდა მოტრიალებული და შემომცექეროდა, თვალს არ მაცი-ლებდა, რაღაცნაირი, გაყინული გამოხედვა ჰქონდა. შუშისთვალა მეზობლის ქალი მყავდა ხოლმე, ბავშვობაში გამოითხარა, იმნაირი თვალებით მიყურებდა, გეგონებოდა ვეცნობოდი და ვერ მიხეს-ნებდა.

მეორე, შედარებით უფრო პატარა თავი ეკლესიისკენ ჰქონდა მიტრიალებული, ტაძარს მისჩერებოდა. იქითა მხრიდან რო შემო-მევლო და მეორე სახეზე კარგად შემეხედა, ვერ შევძელი. მიხვდა და პირველი თავიც მიატრიალა. ბერთან შესახვედრად ვეება რიგი იყო განელილი. ყაყანი ისმოდა, ერთი-მეორეს ეძიძგილავებოდნენ. იქ ბედნიერი არავინ იყო, ყველას რაღაცა უჭირდა, მაგრამ გაჭირ-ვებაშიც ვერ დაევიწყებინათ ერთმანეთის ღრენა. ვის აღარ ნახავ-დი... თითქოს გააკანკალა ფარსიას, თვალები დახუჭა და ისევ გაახილა. - წელმოწყვეტილები, სინათლედაკარგულები, ენაჩა-ვარდნილები... ის ორთავიანი კაცი დამამახსოვრდა ყველაზე მე-ტად. ვიღაცამ თქვა: „კიბო აქ მაგ კაცსო“. მერე გავიგე, იმის კიბო მეორე თავი ყოფილა. მეორე თავმა ამოხეთქა. ვინ იცოდა, ნამდვი-ლი რომელი იყო, მეორედ ამოსული, თუ პირველი.

ამას ის სასწაულთმოქმედი ბერი გაიგებდა, ეშმაქს ჰქონდა თავი ამოყოფილი თუ ანგელოზს. რამდენნაირი ადამიანიც არი თურმე, იმდენნაირი სატკივარი არსებობს.

სასწაულებით არის სავსე ეს დალოცვილო სამყარო. გამჩენი რას არ დაგანახვებს, რას არ გაჩვენებს, თვალი გინდა ამისთვის, ღვთის საქმეების დამნახავი თვალი.

ბოლოს ალალი მზერით შემომხედა ფარსიამ და მკითხა:

- შენ რაღა გაწუხებს? კაჟივით იყავი... .

რა მეთქვა, არ ვიცოდი, დავიბენი. სიმართლე, რო ვთქვა, რაც მე მაწუხებდა ვერც ვიტყოდი. რას გამიგებდა, შეიძლება ჭკუდან გადასული ადამიანის შთაბეჭდილება დამეტოვა. უცბათ მომა-ფიქრდა:

- სიცილი დავკარგე-მეთქი.

ვერ მიხვდა. მიყურებდა ეგრე მზერაგაურკვეველი თვალებით.

– ჯერ ისე რა არის ცხოვრება და გაცინება რო აღარ შეგიძლია, სიკვდილი ჯობია-მეთქი.

მიყურა, მიყურა და გაელიმა.

– რას არ გაიგებ კაცი, – ჩაიბუტბუტა. მერე შემომხედა, ჩემს გაკერპებულ სახეს აკვირდებოდა, – მაშ სიცილი დაკარგე.

თავი დავუქნიე. უცბათ დასერიოზულდა და სახეზე უფრო გულდასმით დამაკვირდა.

– დიდი ხანია ეგრე ხარ? – ისევ მომაჩერდა თვალებში, აშკარად შევეცოდე.

– რამდენიმე თვე იქნება-მეთქი.

– რაანაირად დაგემართა ეგ ამბავი? – უფრო ჩამეძია, თან სიბრალულით ევსებოდა ჭროლა თვალები.

– გავილვიძე ერთ დილით და... ვიგრძენი, რო გაცინება აღარ შემეძლო... – სიმწრით კბილები გავაკრაჭუნე.

მხარზე ხელი დამადო.

– იქნებ სალოცავია გამწყრალი?

მხრები ავიჩეჩე.

– სად აღარ ვიყავი, შემოვიარე მთისა და ბარის სალოცავები, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა. ერთი სიტყვით, დავრჩი სიცილის გარეშე. ვფიქრობდი, იქნებ ისევ დამიბრუნდეს-მეთქი, მაგრამ... ამაზე ძნელი არაფერი ყოფილა, ყველანაირი ინტერესი და ხალისი დაკარგა ცხოვრებამ.

– ეგეთი რამე მართლა არ გამიგია, – თქვა და ჩაფიქრდა, - სულ არ გეცინება?

თავი გავაქნიე უარის ნიშნად.

– აღარ მეცინება.

– ძნელია, მაგრამ... – შენ კი არა, ვიღას ეცინება, ისედაც სიცილის გარეშეც მიგათრევთ ამ წუთისოფელს. – ჩემს დასამშვიდებლად თქვა და მერე დააყოლა, – რა გვაქვს ისე სასაცილო, ჩვენთვის რო ვთქვათ. რო გვეცინება ჩვენს თავს არ დავცინივართ? დასაკლავი, შეთქმული ცხვრებივით მივყავართ ცხოვრებას. უეჭველად გიშველის ის კაცი, მონასტრიდან რომ გამოხვალ გემრიელად გაგეცინება, - თქვა და ღიმილით შემომხედა.

\*\*\*

– მგონი გავგიუდი-მეთქი, – ჩემს თავს წავჩურჩულე. ორეულს თვალებდაჭყეტილი შევცქეროდი სარკეში. „ის” კაცი უცნაურად მაკვირდებოდა. გული ამიდულდა. ჩამოვჯექი და ტირილი დავიწყე. ზუსტად იმ ხმით ვტიროდი, როგორც ბავშვობაში, დიდი ხნის წინ ვზღუქუნებდი ხოლმე... კი, ის ხმა იყო. ვტიროდი და ჩემს ბავშვობისდროინდელ ხმას ვუსმენდი, რომელიც არსადაც არ იყო გამქრალი. ყველა უბედურებას, ხო რაღაც ბედნიერება მოაქვს და ტირილმა, ჭკუიდან გადასვლის გამო რო დავიწყე, ერთი ბედნიერება მომიტანა, სადღაც მივიწყებული, სადღაც დატოვილი ჩემი თავი გამახსენა. გული ამოვიგდე, ისე ვტიროდი. იტყოდი, რო ყველაზე საყვარელი ადამიანის ცხედარი მესვენა წინ და იმას ვაპატიოსნებდი. ჩემი მეგობარი ვალოდია გამახსენა ამ მოთქმა-გოდებამ, ბავშვობის მეგობარი ვალოდია, რომელსაც თავის დრო-ზე ლენინის საპატივსაცემოდ დაარქვეს მშობლებმა ეს სახელი. ალბათ შემთხვევითი არ იყო, რო მაინცა და მაინც ვალოდია გამახსენდა. იფიქრებთ, რო რაღაცებს ვბოდიალობ. ალბათ ასე იწყება სიგიფე. მალე სხვებიც შემამჩნევენ, სხვებიც დაინახავენ ჩემს შეშლილ სახეს და არეულ სულს. კი, სულსაც დაინახავენ. ეხლა აღარაფერი იმალება, ყველაფერი ჩანს. უცბად გავიფიქრე, რო ჩემი შიშველი სულის დანახვა ყველას შეეძლება და გამაკანკალა. ნეტა როგორ გამოიყურება ჩემი სული? ვინმე მეტყვის?

ვტიროდი, თითქოს ცხედარი მედონ წინ. მაგიდას თავს ვურტყამდი და ისეთი შეგრძნება მქონდა, რო ფერფლად ქცეული ფიქრით გამოტენილ თავის ქალას კუბოს კუთხეს ვახეთქებდი. მოკლედ, ვალოდია გამახსენდა, ჩემი სამჯერ ნასამართლევი მეგობარი, რომელიც ციხიდან გამოსვლის შემდეგ ჩავარდნილ დედას უვლიდა.

თითქოს ადგილები გაცვალეს. ბედნიერი იყო ვალოდია, რო უფალმა დედის მოვლის საშუალება მისცა. ჩემ მეგობარს, რომელიც ჩავარდნილ დედას დაჰგურგურებდა, ნახევარი ენა აღარ აქვს და ვეღარ ლაპარაკობს. ციხის ჯალათებმა ცემა-ტყებით რაღაც უბედურება დამართეს და მალ-მალე გონება ეკარგებოდა,

კრიჭა ეკეტებოდა და ხან სად გადავარდებოდა, ხან სად. ერთ-ხელაც კრიჭაშეკრული რო წაიყვანეს საავადმყოფოში, აღმოჩნდა, რო ნახევარი ენა ალარ ჰქონდა, თავისივე კბილებით მოიჭამა ენა და სამუდამოდ დამუნჯდა. თავიდან, რაღაც რო ვკითხე და ხმა ვერ გამცა, მეგონა, რო მაიმუნობდა.

- მმმ... - უცნაური ბგერები გამოსცა.
- ხმა ამოიღე, რას ზმუიხარ-მეთქი.

ცრემლები წამოუვიდა, პირი გააღო და ვაი დედაჩემო! გული ლამის გამისკდა. გრაფინით წყალი ედგა. ხელის კანკალით ავიღე, ვსვამდი და ნახევარი მექცეოდა. ვუყურებდი, მეგონა, რო მეჩვენებოდა. სახეზეც შევისხი წყალი, გონება მებინდებოდა. ვუყურე, ვუყურე ვალოდიას და თავი ვეღარ შევიკავე, ავზლუქუნდი. მოვეხვიე, ჩავეხუტე, ისიც ტიროდა. მინდოდა გამემხნევებინა, რაღაც სანუგეშო მეთქვა, მაგრამ რა უნდა მეთქვა, ის ვეღარასოდეს ვეღარ დამელაპარაკებოდა. ცრემლიანი თვალებით მიყურებდა და ხმას ვერ იღებდა. თითქოს სამუდამოდ დამეუბრა. რო მოვკვდა-რიყავი, ის მერჩია. ვუყურებდი და ვამჩნევდი, რო დამუნჯებას, უენობას სხვა ადამიანად გადაექცია. ფურცლები და კალამი გვერდით ედო, რაღაც დაწერა და მომაწოდა, ისევ ისეთი ბატიფეხურით წერდა. რუსული სკოლა ჰქონდა დამთავრებული, ქართული წერა უჭირდა.

„იცი? განსაწმენდელივით მომინყო ღმერთმა, ჩემივე ცოდვების მონელება, ჩემი მოკებეჩილი ენით დავიწყე. ვიგრძენი, როგორ გადამეყლაპა მოჭმული ენის ნაწილი. ფიქრი გარეთ აღარ გამოვა, ჩემშივე დარჩება, აქვე იტრიალებს. ბევრი ფიქრის დრო გამიჩნდა. ფიქრს დუშმილი უნდა. მართალია, ჩემს ხმას ვეღარავინ ვეღარასოდეს გაიგებს, მაგრამ დიდი არაფერი დააკლდება სამყაროს, რომელსაც იმით შევენიე, რომ მის ღრიანცელს ჩემი ხმა გამოაკლდა. სამყაროს მდუმარებით უფრო დავეხმარები. დედამიწას მარილივით აკლია ფიქრი“. - გამომინდა ფურცელი და ულიმდამო ღიმილით მომაჩერდა.

მერე სხვა ფურცელი აიღო და მიაწერა: „ენის მოჭმისას ტკივილი არც კი მიგრძვნია, თითქოს სხვისი სხეულის ნაწილი მომძვრა, გულისამრევი გემო კი ჰქონდა. მოგლეჯილი ენიდან სისხლი

თქრიალით მომდიოდა და ღორლივით მოჰქონდა სიტყვები, რომ-ლებიც დაგროვილი იყო და თქმა ვეღარ მოვასწარი. ჩარეცხა სისხლმა ის სიტყვები.“

შევყურებდი ვალოდიას. უფრო დაბერებული მეჩვენა, გატე-ხილი. დედის სურათებით გაევსო კედლები, სადაც გაიხედავდი, სულ ცხონებული ლიზიკოს ფოტოები იყო.

მიყურებდა, ენეოდა და მაკვირდებოდა. მატყობდა, რო ვერ ვიყავი კარგად.

ფურცელი აიღო და დაწერა: „რაღაც დაგემართა, ისე არ გამოიყურები, როგორიც იყავი“. გრძნებულივით თვალები ჰქონდა. უენობით მზერაც სხვანაირი მისცემოდა.

რა მეთქვა, არ ვიცოდი. ვგრძნობდი, რო შემოდიოდა ჩემში და ხედავდა რა კორიანტელიც მიტრიალებდა ტვინში. ჩაღველფილ ცეცხლს რო სულს შეუბერავ და ფერფლი პეპლებივით აიშლება, ოლონდ მკვდარი პეპლებივით, ეგეთი კორიანტელი იდგა. იტყოდი, რო ვიღაცამ ჩემს ჩანაცრულ, ჩამნვარ მოვონებებს სული შეუბერა და ფერფლად ქცეული ცხოვრების წუთები წამოშალა.

მიყურა, მიყურა, მერე აიღო ფურცელი და მიაწერა: „რა დაგე-მართა, ძალიან არეული ჩანხარ“... შემომხედა და ფურცელი წინ დამიდო.

არაფერი მითქვამს, ოთახს უაზროდ მოვავლე თვალი, თითქო ფერფლში იყო ყველაფერი გახვეული. ვალოდიას ვეღარ ვხე-დავდი, უბერავდა და უბერავდა ვიღაც უჩინარი ნაცრად ქცეულ ნაცეცხლარს. ფერფლით იფარებოდა ყველაფერი. მაგიდაზე ნაც-რისფერი თოვლივით დადო. ამას მხოლოდ მე ვხედავდი. რამდენ-ჯერმე ვცადე ფერფლის ნაფლეთები მუჭში მომექცია და ჩემი ცხოვრების დაფერფლილ ფრაგმენტებს დავკვირვებოდი. ვერ მოვიხელთე, ონავარი პეპლებივით დაფრინავდნენ.

ისევ აიღო ფურცელი, თავისი მოჭმული ენით რაღაც უცნაური ბგერები გამოსცა. სახეზე შევატყვე, რო ძალიან შევეცოდე. თვა-ლები აუწყლიანდა. არადა, დედის მერე მისი თვალები აღარ დას-ველებულიყო, დედის სიკვდილით გათავდა მისი ცრემლი. „ცხოვ-რებას როცა კარგად ჩაწვდები, ის უსათუოდ მარცხდება შენთან.“

სულ რო უპოვარი იყო, სულ რო მიტოვებული, დავიწყებული და მარტოსული, მაინც გამარჯვებული ხარ. რთულია, ადამიანად ყოფნა. თითქოს ვეება აბლაბუდა გაუბამთ სულში და ყოველი ტკივილი, ზედ გენებება. სევდით ივსები, სევდა ჭამს. თუმცა სევდა ბედნიერების წყაროა.“

ჩაფიქრდა, მერე იქვე მიაწერა: „ვინმე გიყვარს? მე ეს არასოდეს მიგრძნია, მაგრამ გუმანით ვხვდები, მაგ შენი არეული თვალებიდან სხვა ვიღაც მიყურებს“.

ფურცელი გამომიწოდა. წავიკითხე, სისხლი მომაწვა სახეზე. ლაწვებზე ქავილი ამიტყდა. რაც კი სისხლი მქონდა კაპილარებიდან ერთიანად დაიძრა და თვალებზე მომასკდა.

თავი დავუქნიე. თვალებს ისე ვარიდებდი, თითქოს რაღაც დიდი დანაშაული ჩამედინოს ამ კაცის წინაშე. ან თითქოს მისი ძალზე ახლობელი შემიყვარდა და სირცხვილით ვიწვოდი. თავჩაღუნული ვიჯექი. მერე როგორც იქნა, თვალი გავაპარე ვალოდიასკენ. ისევ წერდა. მცირე პაუზა გააკეთა, კალამი პაპიროსივით მოიქცია ბაგეებში და ჩამოძონძილი ფარდით შემოსილ ფანჯარას მიაშტერდა. მცირე ხანში წერა ისევ გააგრძელა, ჩემთვის არ შემოუხედავს. ბოლოს უცნაურად გამომხედა და ფურცელი გამოაცურა მაგიდაზე. ოდნავ უფრო გაკრული ხელით დაეწერა. გეგონება ჩქარობდა: „თითქოს არც უნდა გეკითხებოდე, ძალიან მიმდიმს, მაგრამ რო არ დაგიმალო, მაინტერესებს, შენს შეშლილ თვალებს რო ვუყურებ... მაინც რას განიცდი, რო გიყვარს? შენს სულში ხელის ფათური კი არ მინდა, უბრალოდ... ძალიან, ძალიან მაინტერესებს, რას გრძნობა...“

რა მეთქვა, არ ვიცოდი. ვფიქრობდი, როგორ ამეხსნა ის, რასაც განვიცდიდი.

ვალოდიას წინ ცარიელი ფურცლები ელაგა, რაც მისთვის ენის ფუნქციას ასრულებდა. შეიძლება ფურცლები ენაზე მეტიც იყო. საუბრით ცველაფერს ვერ იტყვი, ფიქრის ნაწილი მიზეზთა გამო ენიდან გიქრება. შენს ბაგემდეც ვერ აღწევს ტვინში შობილი აზრი... სადაც იწყება, იქვე მთავრდება თავისუფლება...

ფურცლები ავიღე. კალამი გამომიწოდა. მიყურებდა, მე ვებრალებოდი, თუ საკუთარი თავი, ვერ მივხვდი, ისეთი მზერა ჰქონდა.

ცარიელ ფურცელს ჩავაშტერდი. მერე ვალოდიას შევხედე და წერა დავიწყე.

„არ ვიცოდი, რა იყო სიყვარული, თორე ახლოს არ გავეკარებოდი, დამიჯერე, მართლა, არ გავეკარებოდი. უსიყვარულობა უფრო დიდი ბედნიერება მგონია. ტკივილი, ტკივილი, ტკივილი... სული ეკლიან ბუჩქში ჩაიხლართა. ოდნავი შეტოვება და სულის ნაგლეჯები ეკლებზე რჩება. თავიდან მეგონა, რო საკუთარი თავი ვიპოვე, ჩემს სულში ბედნიერების კუნძული აღმოვაჩინე და იქ დავსახლდი. თითოეული წამი და წუთი, საათი, დღე, კვირა და თვე... სულ ის... სულ მისი ხმა, მისი სიცილი, მისი სუნთქვა... ბოლოს მივხვდი, რო დამლალა სიყვარულმა, გონება ამირია. არ ვიცი, როგორ გამოვხატო, მე უცნაური აჩემებები მაქვს და ალბათ ეს გრძნობაც სხვა რაღაცაში გადამდის. შველა მინდა, დახსნა მინდა ამ ყველაფრისგან, შევხვდი მას და ეს ყველაფერი ვუთხარი. მიშველე რამე, შენგან გამათავისუფლებეთქი.

ყველაფერი დაგწვი, ყველაფერი გავანადგურე, ჩემი ლექსები, ჩემი ბარათები. ამ ლექსებით და ბარათებით ვსუნთქავდი და ვერც კი წარმომედგინა, რო ოდესლაც ჩემი ხელით აგებული ტაძრის დანგრევას მე თვითონვე დავიწყებდი.

თავის მოკვლაც ვიფიქრე, მაგრამ არ გამომივიდა. ის იყო თოკი მოვძებნე სახლში და სწორედ იმ დროს ჩემი შორეული ნათესავი მამა ლუკა მესტუმრა... ბავშვობის მერე თვალი არ დამეკრა. წმინდა გიორგის ხატი მოაპრძანეს მეზობელი სოფლის ტაძარში და მამა ლუკაც მომლოცველებს ჩამოჰყოლოდა. ბარედამ აქ ვარო და სახლი მიკურთხა. ცას ავხედე და ჩემი მფარველი ანგელოზი მიღიმოდა. არ მომჩერებია, მართლა მიღიმოდა.

მერე ფსიქიატრიულმი გადავწყვიტე რო წავსულიყავი. გადაგწყვიტე რა, წავედი, მაგრამ ადგილი არ იყო.

- რა გჭირსო, - ექიმმა.
- ეგ რო ვიცოდე, ჩემთვისაც კარგი იქნება-მეთქი.
- ეგრე არ არის, ვისაც მოეპრიანება ყველა აქ მოვიდეს და დაწვესო.

ქვების სროლას ხო არ დავიწყებდი. ამ ექიმთან დალაპარაკებას აზრი არ ჰქონდა. თვალი ჩამიკრა:

- ერთი-ორი კაპიკი გაიღე და ცნობას მოგცემო.
- რა ცნობას-მეთქი.
- ხო გიუს ცნობა გინდაო.

ვერ მივხვდი, ცნობა რა ჯანდაბად მინდოდა.

- ისე, არ შემიძლია, სხვებსაც უნდა მივცე თავიანთი წილიო.

წამოვედი. იმ ექიმს კიდევ ჰქონდა მოლოდინი, რო ფულს ჩავუ-ტენიდი თეთრი ხალათის ჯიბეში და ფსიქიურად დაავადებულის ცნობას მომცემდა.

ვისთვის რა უნდა მეთქვა, ვისთვის რა უნდა შემეჩივლა. ბევრი ვიფიქრე, ბოლოს წავედი და ის ადამიანი ვნახე, ხომ მიხვდი, ვისაც ვგულისხმობ, მე „იმ ადამიანად“ ვიყავი ქცეული, ის ვიყავო.

ვიცი, გიუურად გამომდის, მაგრამ რასაც განვიცდი, ხო უნდა აგიხსნა, არ ვიცი, როგორ გაიგებ ამ ყველაფერს, თითქოს ასეთი სიყვარული მხოლოდ ჩემზე გამოსცადა იმ დალოცვილმა ღმერთმა, არა მგონია, ოდესმე ვინმეს ასეთი რამ განეცადოს. კაცი, შეყვარებულ ქალში ჩასახლდეს, მასში ცხოვრობდეს, მისი სუნთქვით სუნთქვდეს, მისი სხეულის ყველა ნაწილს გრძნობდეს, მისი სევდა და ტკივილი, მისი სიხარული, ყველაფერი შენს ტვინში ხდებოდეს...

კიდევ რა დავწერო არ ვიცი“.

ჩაიკითხა, ჩაფიქრდა, მერე ფურცელს დაწვდა ვალოდია. კალა-მი გავუნიდე, თითები ისე აამოძრავა, გეგონებოდა, რო დაბუზული ჰქონდა. მხოლოდ სამი სიტყვა დაწერა: „მიდი, მიდი, გააგრძელე“.

ვუყურებდი, მის მზერიდან მინდოდა რალაცები ამომეცენცა, მაგრამ ვერ შევძელი. თითქოს ცხრაკლიტულში მიეჩემალა ფიქრი.

ისევ ავიღე ფურცელი და კალამი.

„რა დავწერო, ველარ ვიგებ ვინ ვარ, „მე,“ თუ „ის“, როგორ აგიხსნა, შეუძლებელია ამის ახსნა.“

მინდა რო გადაყვიყვარო, გადაყვარებაც ხომ შეიძლება. უსიყვარულოდ ყოფნას რა მანატრებინებდა. ისეთ სიყვარულზე ვოცნებოდი, თავს რო დამაკარგვინებდა, ყველას და ყველაფერს რო დამავიწყებდა. ამისრულდა ოცნება, ვიპოვე ისეთი სიყვარული და აპა, ხო აგიხსენი რა დღეშიც ჩავვარდი. სუნთქვაც აღარ მაქვს

ჩემი, ალარც სიცილი, ალარც სიზმარი, ჩემი ალარაფერია. იქნებ ეს არის ბედნიერება, იქნებ ეს არის ის, რაზეც ყველა ოცნებობს, მაგრამ... მოკლედ, მე ვეღარ ვუძლებ და გადაყვარება გადავწყვიტე. რაც კი მისთვის ბარათები მქონდა დაწერილი, ერთიანად მოვხვეტე და დავწვი. აი, ის ბარათები, რომლებსაც ვწერდი და ჩემთვის ვინახავდი. ყოველივე მათგანის გადაკითხვით ჩავლილ დღებს, წუთებს, წამებს ხელახლა ვაცოცხლებდი. გადიოდა ცხოვრება, მაგრამ ამ ბარათების წაკითხვით განვლილი დრო ხელახლა მემატებოდა. დრო თითქოს იმ ბარათებით ამოტენილი უჯრებიანი მაგიდის ფეხზე, შეთქმული ცხვარივით მყავდა გამობმული.

დრო დავაბი. ამ აუხსნელმა, სიგიურმდე მიმყვანმა სიყვარულმა დრო გამაჩერებინა და ჩემი თავის გარეთ გამიყვანა. ვეღარ გავუძლი, ამიტომ... ვეძებ..."

წაიკითხა და ჩემდა გასაოცრად ტკივილებით დაშრამული თვალები ცრემლებით აევსო. ორი სიტყვა მიაწერა ფურცელზე: „ვის ეძებ?“

იმავე ფურცელზე მივაწერე: „გადამყვარებელს ვეძებ. ბევრი ვეცადე, მაგრამ დავიწყება ვერ შევძელი. იმ ბარათებით დიდი ჭიაკოკონა ავანთე. სიტყვებს ტკაცა-ტკუცი გაუდიოდა, ცეცხლი მოშიებული მგზავრივით ჭამდა ქალალდზე გადატანილ ფიქრებს, განცდებს. მეგონა დაიწვებოდა და ამით გათავდებოდა ყველა-ფერი. თუმცა, კი არ გათავდა, დაიწყო. ქარმა გაიტაცა ფერფლად ქცეული ბარათები. ეგრე მიმოფანტა, გამოვლელ-გამომვლელებს შავი ფანტელებივით ეყრდნობათ. ნაცეცხლარზე ფერფლის ნამცეცები დარჩა. დაყურებდი, მეგონა რო გავთავისუფლდები-შეთქი, მაგრამ უფრო უარესად ვიგრძენი თავი. მთელი ლამე თეთრი თვალით გავათენე, ჭირის ოფლში ვცურავდი. ნამოვდექი, სხეული მიცახცახებდა, სინათლე ავანთე, წურწურით ჩამომდიოდა ყინულივით ცივი ოფლი. საწერ მაგიდას მივუჯექი. გამოვალე უჯრები, სიცარიელემ შემომღრინა. გიუივით ვაკვირდებოდი ცარიელ უჯრებს და ვბუტბუტებდი: „წერილები, ჩემი წერილები, ღმერთო! სად გაქრა ჩემი წერილები“. თითქოს ჩემივე ხელით არ გამენადგურებინოს.

უცნაური წრიპინი მომესმა. კედლის საათს შევხედე და გული გადამიქანდა, ელვის სისწრაფით ბრუნავდნენ ისრები. ვიგრძენი როგორ დაიძრა ჩემს ოთახში დატბორილი დრო. ოთახის კუთხეებიდან მწერები გამოცოცდნენ. ბარათებში შენახული წუთები და წამები, თითქოს ამ უცნაურ არსებებად გადაიქცნენ და შეჭმას მიპირებდნენ.

ფურცელი ავიღე, ცარიელ უჯრაში ერთადერთი ფანქარი ვიპოვე და ბარათის წერას შევუდექი, თან ხმამაღლა ვლრიალებდი. მივხვდი, რო უარესად შემიყვარდა და ამ ყველაფერს თავს ვერა-სოდეს დავაღწევდი“.

ვალოდიამ ჩაიკითხა, სიგარეტს მოუკიდა და ცრემლშერჩენილი თვალებით მთხოვა, გააგრძელეო. თითქოს საკუთარ დაკანრულ სულზე ვწერდი ისეთი შეგრძნება მქონდა.

„ყველაზე უცნაური ის იყო, რო ლამე ალარ თენდებოდა და ვერც საათს ვიგებდი. ისრები ისე სწრაფად ტრიალებდა, დღე და ღამე ერთმანეთს გადაება. ბარათში რაღაც აბდა-უბდა აზრები გადავიტანე, მერე უჯრაში ჩავდე და წამოვდექი. საწერ მაგიდას ისე ვუყურებდი, თითქოს გილიოტინა იყო.

ჩავიცვი, გარეთ გამოვედი, თავბრუ მეხვეოდა, მციოდა, ზაფხულის ცხელ ლამეში მაბაბანებდა. სახლში შევპრუნდი, ტანსაცმლის კარადა ლამის ამოვაყირავე. პალტო ჩავიცვი, მამაჩემის ნაქონი პალტო, გამოვედი და ქუჩას გავუყევი. გზადაგზა უფრო მიღრმავდებოდა აზრი, რო წამდვილად შევიშალე. ვიღაცეები მხვდებოდნენ, მისტვენდნენ, დამცინოდნენ... შუა ზაფხულში პალტოთი რო კაცს დაინახავ...

ერთი სიტყვით, ასეთ საშინელ დღეში აღმოვჩნდი, არ მეგონა თუ...“

ფურცელი გავუწოდე. იმაზე მეტი ხანი მოუნდა წაკითხვას, ვიდრე ველოდებოდი. საფერფლეში ჩასრესილი სიგარეტი ხრჩოლავდა. თითქოს საგულდაგულოდ ჩაექრო, მაგრამ კვამლი სწორ-ხაზოვნად, ძაფივით ამოდიოდა და მერე უცნაურად იკლაკნებოდა.

„ცხოვრებასავით არის ამ ჩამქრალი სიგარეტის კვამლი“, – გავიფიქრე ჩემთვის, – „თავიდან თითქოს სწორი გზაა, მერე კი აითართება, დაიკლაკნება და ბოლოს კვამლივით იფანტება“.

თითქოს ჩემი ფიქრები ამოიკითხა. ჩასრესილი სიგარეტი უფრო გულმოდგინეთ ჩააქრო. მერე წერას შეუდგა. ერთი-ორჯერ შეისვენა, თვალებში ჩარჩენილი ცრემლები ამოინმინდა. მცირე ხნის შემდეგ წყალი მოსვა, სევდიანად გამიღიმა და ფურცელი გამომინოდა.

„რისგანაც შენ თავის დაღწევას ცდილობ, რასაც შენ გაურბიხარ, მე მთელი ცხოვრება უშედეგოდ დავეძებ და ველოდები. რა უცნაურია ცხოვრება. ვერ იტყვი, რო უსამართლოა, იმიტომ, რომ რა უკეთესია და რა უარესი, ეს ჩვენ არ ვიცით. ცხოვრების უსამართლობაზე წუნუნი არა მგონია სწორი იყოს. შენ ეტყობა ზედმეტად იოცნებე... სიმართლე გითხრა, მე არასოდეს მიოცნებია, ამის უნარი არ მქონდა, ბავშვობიდანვე მესმოდა ხოლმე: ნატვრის ასრულება, ჩემთვის ეს უცხო იყო, როგორ უნდა მენარტა ისიც არ ვიცოდი, ან ნატვრა რა იყო საერთოდ. მოკლედ, ოცნებები რო არ გაქვს, კარგიც არის და ცუდიც. კარგი იმიტომ, რო ღმერთს არ აწუხებ, მაგრამ ცუდი ის არის, რო ადამიანი ოცნებების და ნატვრის გარეშე ადამიანად ვერასოდეს იქცევა.

თავისუფლება ნატვრაშია, ოცნებაშია, ფიქრშია, უკიდეგანო ფიქრში. ფიქრს, ნატვრას, ოცნებებს მოაქვს სიყვარული, შენ რო ასე გაურბიხარ, უფრო სწორად ძალიან რო დაგლალა. მე კი საერთოდ არ განმიცდია. არასოდეს არავინ მყვარებია. შენ გადამყვარებლის ძებნაში ხარ, მე კი ერთი მისხალი სიყვარულიც არ მღირ-სებია... სიყვარულს ის დალოცვილი ანაზილებს, ეხლა რო მაღლიდან დაგვცექრის და ჩვენს ამ უცნაურ „საუბარს“ ისმენს. მან ასე მოინდომა. ორი კასრივით ვართ, ერთი ამომშრალი და ამოხახულია, მეორე კი ისე სავსეა, იქცევა უკვე.

მე შენ ვერ გაგიგებ და შენ – მე, იმიტომ რო არც ერთს გვიგრძენია ერთი-მეორის სულში არსებული რაღაცები.

რო შეიძლებოდეს ადგილების გაცვლა... მაგალითად სულები რო გავუცვალოთ ერთმანეთს. უსიყვარულო სული რო მომეცა შენთვის და შენ კი... უსიყვარულო სულს მიჩვეული სხეული როგორ შეეწყობა გადამყვარებლის ძებნაში მყოფ სულს, არ ვიცი. მინდოდა ვინმე შემყვარებოდა, ბოლო-ბოლო იმას მაინც გავიგებდი როგორი გრძნობაა, ადამიანს თავს რო აკარგვინებს, მაგრამ...“

– თითები გაატკაცუნა, შემომხედა, მერე ისევ აიღო ფურცელი და მიაწერა: „ვინ გაგვაცვლევინებს სულებს“, – გამომიწოდა და შემომლიმა.

დამე ისე გაგვეპარა, ვერც ვიგრძენით. გამომაცილა ვალოდიამ, რაღაც დაიზმუკუნა, მერე ხელით მანიშნა, შემომიარე ხოლმეო. ოთახისკენ შემოვბრუნდი, მაგიდისკენ გამექცა თვალი, სადაც ჩვენი მიწერილ-მოწერილი ფურცლები ეყარა.

– აიმ ქალალდებს წავიღებ-მეთქი, – ვთხოვე.

თვითონაც მიაჩერდა მაგიდას, მერე თავი დამიქნია.

ავკრიფე ფურცლები და გულის ჯიბეში ჩავიდე. მაცილებდა ჩემი უენო მეგობარი და მის თვალებში ფიქრმა გამოუონა: „მართლა ვეღარ გცნობ, უცნაური ისედაც იყავი, მაგრამ... მაშ გადაყვარება გინდა! ეს ფურცლები... დაწერ რამეს ალბათ, ისე როგორ მოისვენებ, მოთხოვბაში სახელი შემიცვალე!

\*\*\*

ვერ მივხვდი ცხადი იყო, თუ სიზმარი. ჩემ თავს მივდევდი, მაგრამ ვერაფრით ვეწეოდი.

– მოიცა, მოიცა-მეთქი, – მაგრამ თითქოს არც გაუგია, ფეხს აუჩქარა. ისე სწრაფად მიდიოდა... გავჩერდი, სული მოვითქვი, ღვინთილა ამომვარდა. ცას ავხედე, ვერ გაიგებდი, თენდებოდა თუ ბინდდებოდა. ყველა უბედურება მე რატო მჭირს! – საცოდავად ამოვიზმუკუნე და ქვაზე ჩამოვჯექი, პაპიროსს იშვიათად ვეწეოდი და ბედად ჯიბეში ერთი გასრესილი ღერი აღმომაჩნდა. ზუსტად ისეთი პაპიროსი, როგორსაც ვაღლოდია ეწეოდა.

მოვუკიდე და ისე ღრმად ჩავისუნთქე, მეგონა პაპიროსის კვამლს შებინდული ცაც ჩავაყოლე.

მცირე ხნის შემდეგ ავდექი და გზა გავაგრძელე. სად მივდიოდი, არ ვიცოდი, თითქოს არც დასაწყისი ჰქონდა ამ გზას და არც დასასრული. უაზროდ, უმისამართოდ მივუყვებოდი ბელ ქუჩას და ჩემიგან გაქცეულ კაცზე ვფიქრობდი. ვიარე, ვიარე და ვიღაც შევნიშნე. გზის პირზე იჯდა და ეწეოდა. ახლოს მივედი, დავაკვირდი, მე ვიყავი. არც შემოუხედავს, უფრო სწორად ვერ დამინახა. ხელში ფურცლები ეჭირა და კითხულობდა. ჩემი ბარათები

ვიცანი, მის გარშემო ფურცლები იყო მოღავებული. დავიცუცქე, ფურცლების აკრეფა ვცადე, მაგრამ როგორც კი ხელს შევახებდი, ჩიტებივით მიფრინდებოდნენ. ვერც ერთს ვერ წავკიდე ხელი.

— ვინ მოგცა ეს ფურცლები? — შევეკითხე.

ჩემი ხმა არ ესმოდა. რაღაცას ჩურჩულებდა. სათითაოდ კითხულობდა ბარათებს და გულის ჯიბეში იდებდა.

— ვინ მოგცა ეს ფურცლები? — ხელები ამიკანკალდა. ისევ თავისთვის ჩურჩულებდა და ყურადღებას არ მაქცევდა.

— ხომ წატრობდი ამ რაღაცებისგან თავის დაღწევას, დამთავრდა, წავიდა შენგან ეს კაცი, თავისი დარდით და ტკივილებით, თავის სიყვარულითა და სევდიანი ბარათებით. ხომ წატრობდი, როვალოდიასავით ყოფილიყავი და იმ ეკლებისგან გათავისუფლებულიყავი, სულ რო გიკანწრავდა. დაანებე ეხლა ამ კაცს თავი და მონახე შენი გზა.

ამ კაცმა დაიჩურჩულა, თუ სხვა დამელაპარაკა, კარგად ვერ გავიგე. ერთი ეს მახსოვეს, ტირილი დავიწყე, ოღონდ ვგრძნობდი, რო სხვისი ცრემლები მომდიოდა, ჩემი არ იყო. ვისი ცრემლი იყო ნეტა... იმ გაქცეული კაცის გარდა იქნებ კიდევ არსებობდა ჩემში ვიღაც და არ ვიცოდი. წაცემი ძალლივით გამოვბრუნდი, ძვლები მტკიოდა. ცას რამდენჯერმე ავხედე. ისევ ისეთი იყო, ვერ გაიგებდი, თენდებოდა, თუ ღამდებოდა.

გზაში რაღაც სიხარული ვიგრძენი. თითქოს მართლა გავთავისუფლდი ტკივილებისგან, სიყვარულზე ფიქრიც კი აღარ შემეძლო.

მივიხედე, წარმოიდგინე, სახლიდან რო მიდიხარ, თითქოს უკეთეს ადგილზე, კარგი ცხოვრების მოლოდინში და შენი საცხოვრებლის კედლები თან მოგდევს. ოჯახის წევრების თბილი, ცრემლით ავსილი თვალებიც უკან მოგყვება, ისეთი შეგრძნება მქონდა. ის კაცი, ჩემგან წასული, ბარათებთან ერთად გაქცეული, აღარ ჩანდა.

\*\*\*

ოთახში შევაბიჯე და ვფიქრობდი, როგორ წარიმართებოდა ჩემი ცხოვრება. თვალწინ წარმომიდგა: დაცარიელებული უჯრები,

გაფანტული ბარათები და ჩემგან გაქცეული „მე“. თითქოს მსუბუქად ვგრძნობდი თავს. რაღაც უსაშველო ტვირთი მოვიშორე და მტანჯველი ფიქრებისგან გავთავისუფლდი. ისეთი შეგრძნება მქონდა, ნიავი რო ამოქროლილიყო გამიტაცებდა. ვეღარ ვიგებდი, ეს ყველაფერი მიხაროდა, თუ არა. სიგიჟის შიშმა ისევ დამიარა.

ჩამოვჯექი და ახლა იმაზე ვფიქრობდი: ნადვილად მე ვიყავი, თუ ვიღაც სხვა.

ჩემს თავს დაველაპარაკე და უცნაური ხმა ამოვუშვი. ჩემივე ხმაზე შევკრთი. სხეულს ისე ვითვალიერებდი, თითქოს ვიღაცისგან მქონდა ნათხოვარი და ხო არაფერი დავუზიანე-მეთქი. არ ვიცი, ასე რამდენი ხანი გაგრძელდა. იქნებ ერთი წუთი, იქნებ ერთი საათი, ან რამდენიმე დღე, იქნებ სულაც ცხოვრების ერთი დღიდი ნაწილი.

სხვა არსებად გადავიქეცი და ამას ვერაფრით ვიჯერებდი. არადა, თავისუფალი ვიყავი. აღარც ბარათები, აღარც მტანჯველი ფიქრები, აღარც ეს გაუთავებელი სიყვარულობანა. გაიქცა ჩემგან ის კაცი, ვინც ასე მტანჯავდა, მაგრამ რამდენი ხანი გავძლებდი ასე. თავი მისკედებოდა, კისერი ჩემდაუნებურად ტრიალდებოდა და საწერი მაგიდისკენ მახედებდა. მზერას ვერ ვიმორჩილებდი, თითქოს საწერ მაგიდაზე დაცვივდა ბუდიდან ამომხტარი თვალები.

იტყოდი, რო ვიღაცამ ქეჩოში წამკიდა ხელი და წამომაყენა. მივიხედ-მოვიხედე, არავინ იყო. თითქოს სხეული გამიშეშდა, ნაბიჯების გადადგმა მიჭირდა. დაბრუუჟებული ფეხი რო გადაგიდგამს და წაფორხილებულხარ, ეგრე დამემართა, ლამის პირქვე წავემხე. სკამს ჩავებლაუჭე, მაინც ვერ შევიმაგრე თავი და მუხლებით მივხოხდი საწერ მაგიდასთან. დიდი ხნის წვალების შემდეგ წამოვდექი როგორც იქნა. საწერ მაგიდაზე ალაგ-ალაგ ცეცხლის კბილებს გადარჩენილი თითო-ოროლა სიტყვაშერჩენილი ქალალდების ნამწვავები ეყარა. ავკანკალდი, ჭირის ოფლმა დამასხა. ჩემი თავი მომენატრა, ისე ძალიან მომენატრა, რო ცრემლები წამსკდა. ჩემგან გაქცეული ჩემი თავის მიერ დაწერილი სიტყვები ამოვიკითხე დამწვარ ბარათებზე, „მიყვარხარ“... „დამღალე“... „მაინც მიყვარხარ“... საიდან გაჩნდა, ამ მაგიდაზე ცეცხლს გადარჩენილი

ბარათების ნაგლეჯები, სულ რო არ დამავიწყდეს ჩემი თავი... ალბათ...

ცრემლიანი ვიჯექი და თითქოს წინა ცხოვრებაში ვიქექებოდი. მოხერხება უნდა საკუთარი თავის დავიწყებას. უჯრები გამოვწიე და დიდი ხნის წინ დაკარგულ ყველაზე ძვირფას ნივთს რო იპოვი, ისე გამიბრნებულდა თვალები. ჩემი ბარათები ხელუხლებელი ეწყო. უჯრებში ჩურჩულებდნენ ჩემი სასიყვარულო წერილები, რომლებიც ყველა ერთნაირად იწყებოდა: „შენ ხო იცი...“

სკამზე დავეშვი, ვეღარ ვიგებდი, რა ხდებოდა ჩემს თავს. სიზ-მარსა და ცხადს შორის ყოველგვარი ზღვარი წაიშალა. ვერ ვხვდებოდი, ვინ ვიყავი და რა მინდოდა.

„ნუთუ ასე დაგამძიმა და დაგამწუხრა სიყვარულმა“. ჩემი ნამდვილი ხმა ჩამესმა. ბარათები ამოვალაგე უჯრებიდან, მაგი-დაზე გავშალე და თითქოს საკუთარი ნატანჯი სული მეფინა წინ, ისე დავცეროდი...

\*\*\*

ვეღარ ვუძლებ, ეს ის არ არის, რასაც სხვები განიცდიან. ჩვეულებრივი შეყვარებულები, არც კი ვიცი როგორ გადმოვცე. ტანჯვა? წამება? უფრო უარესია. თან მინდა, თან არა. ცარიელი უჯრები სიკვდილია ჩემთვის, ახალი ბარათების წერაში ვარ და იტყვი, სადაცაა სული ამომივა. ვეღარ ვუძლებ. დაორსულებულმა ტვინმა ლამის არის გადმოანგრიოს თავის ქალა. დავიწყება მინდა, გადაყვარება მინდა... თითქოს ადვილია, მაგრამ ვერაფრით ვახერხებ. საკუთარი თავი არ მემორილება. შეყვარება თუა გადაყვარებაც ხო იქნება. სათითაოდ ვეხები ბარათებს. უცნაური ხმები ჩამესმის, თითქოს კვნესიან. ვერ შევირგე სიყვარული, ვერ გავუგე საკუთარ გულს, ვერ გავუძლი, რა ვქნა... არადა, ვერ წარმომედგინა ეს წუთები, თუ ამას ვინატრებდი – გადაყვარებას.

თვალები დავხუჭე, თითქოს ვიღაცის ლანდი დადიოდა ოთახში. ისეთი შეგრძნება მქონდა, რო ფეხაკრეფით მომიახლოვდა და თავზე დამადგა. უცნაური სითბო და სუნთქვის მონაბერი ვიგრძენი. ის იყო, მისი ამონასუნთქი მეხებოდა ღვინობისთვის თბილი ნიავივით. მასთან გატარებული თითოეული წამის აღდგენა ვცადე.

ტვინში გაბნეული მოგონებების ნამსხვრევები წამოვცენცე. წარმოიდგინე, ფიქრით შეკონინებული ალბომი, დაახლოებით... თი-თოვეული წამი გაცოცხლდა, სადაც კი დამენახა, სადაც კი თვალი მომეკრა, სადაც კი შევხვედროდი. უფრო მძაფრად ვიგრძენი მისი სიახლოვე, მისი ამონასუნთქით გაბრუებული ვიჯექი. მერე სიზმრებიც გავიხსენე, სათითაოდ ჩამოვყევი. მივხვდი, რო არაფერი იკარგება. სიზმარი რო სიზმარია, ისიც არ ქრება და შენშია შენახული. თუ მოინდომებ, ყველა სიზმარს გაიხსენებ. არადა, სადღა მახსოვდა სიზმრები, მეგონა ყველაფერი მავიწყდებოდა, თუმცა... აღმოვაჩინე, რო თურმე სიზმრებიც კი შენახული მქონდა.

— აქ ხარ? — ხმამაღლა ვიკითხე. პასუხი არავის გაუცია. სუნთქვა ისევ მესმოდა და მისი ფილტვებგამოვლილი ჰაერი მეხებიდა, — ვიცი რო აქ ხარ და ხმა ამოიღე, — წამოვდექი, ხელების ფათური დავიწყე. არავინ იყო, მხოლოდ მე ვიყავი, — ხვალ წავალ მონასტერში, შევხვდები იმ სასწაულმოქმედ ბერს და ვეტყვი, რაც მჭირს. შევხვდები, იქნებ გადამაყვაროს როგორმე და გაგიშებას გადავრჩე.

თანდათან დამშორდა, სუნთქვაც აღარ მესმოდა.

ბარათებს დავცექეროდი, ყველა ერთნაირად იწყებოდა „შენ ხოიცი...“

ერთიანად მომაწვა მოგონებები და სიზმრები, თავის ქალა თი-ხის ქოთანივით სკდებოდა. ყველა მოგონება და სიზმარი ერთად, ღმერთო!

\*\*\*

დავრდომილთა და სხეულთა რიგი ტაატით მიიწევდა ბერის კელიისკენ. ვიღაცას სული ჰქონდა აშლილი, ვიღაცას კეთრი ეყარა, ვიღაცას სიცოცხლისმჭამელა სენი გაჩენოდა და დღეებს ითვლიდა, ვიღაცას ეტლით მიაგორებდნენ. თითოეულ მათგანს თვალებში ვაკვირდებოდი, საოცარია სიცოცხლის წყაროზე მიმავალი ადამიანების მზერა.

მონასტრის მაღლა, ვეება მუხების ქვეშ ადამიანებისგან გაქცეული და სულში ჩაყურყუმელავებული არსებების საცხოვრებლისკენ მიიწევდა რიგი...

ვიღაცას სული ჰქონდა აშლილი, ვიღაცას კეთრი ეყარა, ვიღაცას სიცოცხლისმჭამელა სენი გაჩენოდა და დღეებს ითვლიდა, ვიღაცას ეტლით მიაგორებდნენ. საოცარია სიცოცხლის წაყროზე მიმავალი ადამიანების მზერა. მე, მე რისთვის მივდიოდი სასწაულმოქმედ ბერთან...

\*\*\*

ბოლო აღმოვჩნდი. ის იმხელა რიგი ისე დამთავრდა, ვერც კი მივხვდი, რო პირისპირ ვიდექი, შუახნის ანაფორიან კაცთან, რომელიც სასწაულებს ახდენდა და უამრავ ადამიანს კურნავდა. ოთახის ზღურბლთან დაუბატიუბელი სტუმარივით ავიტუზე და ნაბიჯის გადადგმას ვეღარ ვახერხებდი.

შევხედე და ცოტა არ იყოს შემეშინდა, ისეთი მზერით მომჩერებოდა. თითქოს დედამიწაზე ყველა უბედურების მიზეზი მე ვიყავი. კარგა ხანს მიყურა, მერე თავისთვის ბუტბუტი დაიწყო, მთქნარება აუტყდა. იტყოდი, რო რამდენიმე ლამე თეთრად გაეთენებინა. ჭაღარა წვერს მალ-მალე ისწორებდა.

ხატებით მორთულ კედლებს აკვირდებოდა და ისეთი სახე ჰქონდა, მეგონა, რო ქვითინს დაიწყებდა. ქანდაკებასავით ვიდექი და უაზროდ მივწტერებოდი. ჩემსკენ რამდენიმე ნაბიჯი ისე გადმოდგა, რო არ შემოუხედავს, მომიახლოვდა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მაშ გადაყვარება გინდა... — თავი გააქნია, ჩაცვენილ თვალებში მჯიღი ამოისვა, ისეთი მზერით შემომხედა, თითქოს მიცნოდა თვალებს არ უჯერებდა, თუ მე ვიყავი.

— მეც მინდოდა... — თქვა და სიტყვები ყელში გაეჩირა.

იგრძნობდი, რო მის თვალებში ჩამარხული სევდა, ტკივილი, არასოდეს არავის ამოეკითხა.

— ვერ შევძელი ეგ ამბავი, — ჩაილაპარაკა და კელიის კუთხეს მიაშტერდა. — ვერ შევძელი და წამოვედი. სადღაც მივატოვე ჩემი დასწებოვნებული თავი და ჩემს მეორე „თავს“ ანაფორა გადავაცვი. შენ კი... — ისევ ჩაეღიმა, — შენ კი უნდა მთხოვო, გადამაყვარეო...

თითქოს ენა წამერთვა.

— ვიცი... ამას ვერანაირი ლოცვა და მეტანიები ვერ შველის. მაგის წამალი უფალს ჯერ არ მოუგონია, ის არის და მორჩა. ამ კედლებს შევაძერდი, ჩემი სული გამჩენს მიუუძღვენი, მაგრამ საკუთარ თავს მაინც ვერ გავექეცი. უკან მომყვა, მეგონა ვერ მომაგნებდა, მაგრამ ერთ დამესაც შემომილო სენაკის კარი. როცა მეგონა სხვა არსებად გადავიქეცი, სწორედ მაშინ მომიწვა გვერდით, ვითომ მივიწყებული... აქედან წასასვლელი აღარსად მქონდა.

ჩ--გა და ყვა რე ბა... — დამარცვლით თქვა ბერმა, გაელიმა და თავი გააქნია, — ჩაჰკიდე შენს თავს ხელი, ნუ მიატოვებ. ნეტარებაზე მეტი ნეტარება, ის ტანჯვაა, რასაც შენ განიცდი. ნერე ბარათები და გადაყვარებას ნულარ შეეცდები.

მცირე ხანში ისევ ბუტბუტი დაიწყო და მთქნარება აუტყდა. მერე პირჯვარი გადამსახა, დამემშვიდობა და სენაკიდან გავიდა.

ბერის ოთახში დარჩენილი, ქანდაკებასავით ვიდექი და დაბლობში, მთავარი ტაძრისკენ მიმავალ ანაფორით შემოსილ სასწაულშოქმედ კაცს მივშტერებოდი. თითქოს ისევ მესმოდა მისი საუბარი, თან სულ ერთი და იგივე: „ჩაჰკიდე შენს თავს ხელი! ჩაჰკიდე შენს თავს ხელი! ჩაჰკიდე შენს თავს ხელი!“

\*\*\*

სადარბაზოს ავუყევი, საშინელი ტკივილი ვიგრძენი მკერდში, ისეთი შეგრძნება მქონდა, რო გული ატამივით გადაიხლიჩა და მისი ნაწილები ცალ-ცალკე ფეთქავდნენ. მოაჯირს ჩამოვეყრდენი, კიბეს დაღლილი თვალებით ავხედე, მომეჩვენა რო ცამდე უზდა მევლო. კიბის საფეხურები აღარ მთავრდებოდა და ჩემს საცხოვრებელ კორპუსში კი არ ვიყავი, არამედ ცისკენ მიმავალ გზას მივუყვებოდი. ჭირის ოფლი მასხამდა. პირი გამიშრა, ძლივს ამოვისუნთქე და წვალებით, დიდი ხნის ნაავადმყოფარივით გავაგრძელე საფეხურების ავლა.

„რა ფასი აქვს იმის გარეშე შენს ცხოვრებას. ის არის შენი არსებობის წყარო. თუ გადამყვარებელს ეძებ, ერთადერთი - სიკვდილია ყველაზე დიდი გადამყვარებელი, ამიტომ...“

ვგრძნობდი, რო ჩემი ტანჯვა ისევ გაგრძელდებოდა. ბარათების წერაში, ცრემლში...

„შენ ვერც კი წარმოიდგენ, რა ბედნიერი ხარ. არადა, ამისგან გათავისუფლებას ესწრაფვი...“ – ჩემივე ხმა ჩამესმა.

უცბათ იმ ადამიანის სურნელი ვიგრძენი, ვისგან თავის დაღწე-ვასაც ასე გულმოდგინედ ვცდილობდი. ის იქ არ იყო, ბნელ სადარ-ბაზოში, მაგრამ მაინც ვიგრძენი მისი სიახლოვე, მისი თმების სუნი და მივხვდი, რო დიდი ხნის გადაკარგული, დიდი ხნის ნაწანწა-ლები, საკუთარ თავში დავბრუნდი. სიხარულის ცრემლები წამო-მივიდა. ერთი სული მქონდა ჩემს საცხოვრებლამდე მიმელნია, საწერ მაგიდასთან დავმჯდარიყავი და ბარათის წერა დამეწყო, რომელიც უსათუოდ ასე დაიწყებოდა:

„მაპატიე, რა... მითხარი, რო მაპატიებ ამ ჩემი აკვიატებების გამო. იმის გამო, რო შენს გადამყვარებელს ვეძებდი ამდენი ხანი, უნდა გამიგო, სხვა გზა არ არის...“

ნაბიჯს ავუჩქარე, ძალა მომეცა. ასე მეგონა ცამდე სწრაფი ნაბიჯით ავიარე კიბის საფეხურები და ჩემს თავს ვუთხარი „რა ახლოს ყოფილა ზეცა-მეთქი“. გულის ტკივილმა გამიარა, თავი-სუფლად ვსუნთქავდი.

ჩემი ბინის წინ, კართან, საფეხის ქვეშ გასაღების მოსახებნად შევყავი ხელი და რაღაც ფურცელი მომხვდა. დავხედე და ენამოჭ-მული ვალოდიას მიერ გამოგზავნილი წერილი იყო.

„არ მეგონა, თუ კიდევ შეიცვლებოდა რამე ჩემს ცხოვრებაში. უენობამ, მდუმარებამ საკუთარი თავი უკეთ გამაცნო, მაგრამ არ მინდოდა ისე დამთავრებულიყო ეს ჩემი ვითომცხოვრება, რო ის არ მეგრძნო, რასაც ადამიანები სიყვარულს ეძახიან. სულ არა-ფერი ვიცოდი, არასოდეს არაფერი მიგრძნია. ვითხარი, უფრო სწორად დაგინერე მაშინ, როცა ჩემთან იყავი და გადამყვარებელს დაეძებდი, რო შენ მოჭარებული სიყვარული ტანჯვად გექცა, მე კი საერთოდ არ ვიცოდი, ეს როგორი გრძნობა იყო. შენ სიყვა-რულით გაჩენილ ტკივილებს გრძნობდი, მე კი უსიყვარულობით გამოწვეული ტკივილით ვიტანჯებოდი. ცარიელი ვიყავი, ოლონდ ამას მერე მივხვდი. როცა აივსები სიყვარულით, მერე გრძნობ სიცარიელე რას ნიშნავს.

ერთ დღეს, ჩემს მეზობლად ქმარს გაშორებული, მცირე-ნლოვანი ბავშვის პატრონი ქალი ქირით დასახლდა. ჩემს ცხოვრებაში რაღაც უნდა მომხდარიყო და ერთ წამში, როცა კიბეზე ერთ-მანეთს შევეფეთეთ და თვალებში ჩავხედე, მივხვდი რო... მას შემდეგ სიზმარიც შემეცვალა და ცხადიც. თითქოს სულ ერთად ვიყავით მთელი ცხოვრება, თითქოს სულში მყავდა ეს ქალი. მის სუნთქვას ვგრძნობდი და მისი სურნელით ივხებოდა ჩემი ოთახი.

ღმერთო! რამდენი რამ მაკლდა და არ ვიცოდი.

მინდოდა მივსულიყავი, მის წინ დამეჩოქა და ჩემი უსიყვარულო ცხოვრების გამო, ბოდიში მომეხადა. მეთქვა, რასაც ვგრძნობდი, მაგრამ მე ხომ ლაპარაკი არ შემიძლია. ეს იმას ნიშნავს, რო მე მას ვერასოდეს ვერაფერს ვეტყვი, მხოლოდ თვალებით მოვეფერები. თითქოს შენმა სტუმრობამ სიყვარულის... როგორ დავწერო, არც ვიცი, ეს რო არ მეგრძნო, ვერასოდეს გაგიგებდი. ტანჯვა ჯობია სიცარიელეს, დამიჯერე. ბარათების წერა დავიწყე. ვწერ და უჯრაში ვინახავ. სადღაც არსებობს ყოველი ადამიანის ბედნიერება. ვიღაცაში არსებობს, მთავარია, რო ვიპოვოთ, მთავარია რო მოძებნის უინი არ მოკვდეს ჩვენში. დამალობანას თამაშის დროს რო დავიხუჭებოდით ბავშვობაში და ერთმანეთს ვეძებდით, ჩვენი წილი ბედნიერება ისე უნდა ვიპოვოთ. შეიძლება ძალიან შორს იყოს და დიდი ხნის ძებნა დაგვჭირდეს, შეიძლება სულაც აქვე იყვეს, ჩვენს გვერდით და ვერ ვამჩნევდეთ.

მე არ მიძებნია, ის მოვიდა და ჩემს გვერდით დასახლდა. არც ისე უიღბლო ვყოფილვარ, როგორც მეგონა. მადლობა, რო თვალი ამიხილე. ხომ გითხარი, მოგბაძე და ბარათების წერა დავიწყე. მოვა დრო და ამ ბარათებს ჩემი ხელით გადავცემ, წაიკითხავს და იქნებ შევუყვარდე“.

23 მიოქანი, 2019 წელი  
დიცი

# ՅՈՒԹՈՅ

## ցոհիա նատենածյ

დაიბადა 1960 წლის 17 ივნისს. 1977 წელს დაამ-  
თავრა ახალციხის პირველი საშუალო სკოლა. 1982  
წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი.

ლექსებს სტუდენტობიდან წერს, თუმცა ცხოვრე-  
ბის უძლი წესი და დროის სიმცირე საშუალებას არ  
აძლევდა მუდმივად, უწყეტ რეჟიმში ეწერა ლექსები.  
ბოლო ორი წელი პოეზიას მიუძღვნა და თან წარსდგა  
მკითხველის წინაშე, სოციალური ქსელის მეშვეობით,  
ფსევდონიმით „մდგმურ პროვინციელი“.

ցոհիա նատենածის ლექსები სიკვდილ-სიცოცხლე-  
ზე დაფიქრებული კაცის ნაწერებია. ღმერთისადმი  
დამოკიდებულება, სულიერი მდგომარეობის წინა  
პლანზე წამოწევა და ყოველგვარი მატერიალურის კითხვის ქვეშ დაყენება  
ორიგინალურობის ბეჭედს ასვამს მის შემოქმედებას. პესიმიზმი, რომელიც  
საკუთარი ქვეყნის ყოფით არის გამოწვეული, ტეივილიანი ფონითაა გან-  
პირობებული. აქა-იქ პბტმისსტური, ცხოვრებისეული ხალისის ნიშნები გაჩნდა,  
რაც პრძოლის უინსაც გულისმობას (20192806). სიცოცხლე მაინც მშვენიერია,  
ამიტომ იქმნება პოეტის იმედიანი განწყობა: „გავცურაც გაღმა და გავუყვები  
გზას მწვანე ველზე“. არ შეიძლება არ ითქვას ძალიან საინტერესოდ დამიფრული  
სათაურების შესახებ. საბოლოოდ, როდესაც სათაურების გასაღებასაც მიაწვდის  
მკითხველს ავტორი, კიდევ უფრო წათლად წარმოჩნდება სათქმელი.



## 20190106

გაიხსენ ცაო,  
ცაო გაიხსენ,  
ეს მე ვარ,  
მიცნობ,  
ვდგავარ  
შენს ზღვართან,  
ნუ შეშფოთდები,  
არავინ მახლავს,

არც მე ვარ სხვასთან,  
შენი ქმნილება  
ისევ იქ არის  
და ყოველ დილით  
ისევ გაისმის  
სიცოცხლის ხმები,  
ყოველ ღამით კი,  
ბნელის ლანდებთან  
ერთად როკავენ  
უხმოდ ჩრდილები,  
იბადებიან  
ყოველდღიურად  
განსაცდელისთვის  
შენი გზავნილი  
თოთო სულები,  
პირველ ცოდვამდე  
უცოდველები,  
ზოგი, ცოდვებით  
დამძიმებული,  
განსაკითხავად  
შენთან მოდიან,  
ეს ყველაფერი  
შენ უკეთ იცი  
და ამიტომაც  
მე დავდუმდები  
და ვდგავარ  
ზღვარზე  
შენს სამყაროსთან,  
დიდია ღამე,  
მთვარესაც უჭირს  
ნათება ღამის  
და ისევ გიხმობ,  
გახსენ ცის კარი,  
მომეცი სივრცე

სხვა სამყაროში  
და კიდევ გეტყვი,  
უბრალოდ გეტყვი,  
იქ აღარ მინდა,  
მანდ კი არ ვიცი...

## 20193006

მკვდარი დღის შემდეგ  
ლამის სიშლეგე...  
აწყვეტილია  
ზმანებები  
და ჯოჯოხეთის მოციქულები,  
თვითონ სიკვდილიც,  
დასრიალებენ  
ციდან მინამდე,  
მთვარე არ იმჩნევს  
და დამათრობელ  
სხივებს ასხივებს  
ყველა ზმანებას,  
სიკვდილს,  
სიცოცხლეს.  
დღეს მშვიდად წვიმდა,  
ახლაც მშვიდად ცრის  
და ამ სიმშვიდემ  
დაამშვიდა  
ყოველი სული,  
ამღამინდელი  
ზმანებები  
ატეხენ ქარებს,  
დაილეწება  
ხის ტოტები,  
თვითონ ხეებიც...  
ეს მე ვარ ლამე,

მძიმე, მშფოთვარე  
და შლეგი ღამეც....  
უმანქოების  
და ცოდვის ღამე,  
ის თქეშიც მე ვარ,  
ხვალ რომ იქნება,  
და არ იქნება  
მშვიდი წვიმა  
და მშვიდად მყოფნი,  
შეშფოთებულნი  
ილოცებენ  
დაღამებამდე...

## 20192806

აღარ მაღელვებს  
და აღარ მინდა  
მშვიდი წვიმები,  
მრავალ მარტოსულს  
წუხილს და სევდას,  
სულს რომ უმშვიდებს,  
ახლა მე მინდა  
დიდ ქარიშხლების  
სიშლეგე ერთად  
და ამ ქაოსში  
წვიმა ზეციდან,  
თავსხმა ციური,  
ახლა მე მინდა  
წვიმა სასჯელად  
წვიმა სიგიჟედ  
სულს რომ შეუნჯლრებს,  
შიშით დაზაფრავს,  
აქ ყოველ ცოცხალს,  
ოკეანეში

თავზიარდამცემს  
ნამოშლის ტალღებს  
და მეზღვაურებს  
დაუხევს აფრებს,  
უფრო მეტნი  
და უფრო მეტად,  
დასველდებიან  
სანაპიროზე,  
მდუმარე ქვები...  
აღარ მაღლვებს  
მე წვიმები,  
არც ქარიშხლები...

## 20192707

ისე უბრალოდ  
მიყვარდა ეს ცა,  
ისე უბრალოდ  
მიყვარდა მიწა  
და ვფიქრობ ახლა  
ისე უბრალოდ  
და ძლიერ, ძლიერ  
არსებობს სადმე?  
აქ თუ გიგრძვნია  
მარჯვნივ  
სხვა სუნთქვა,  
მარცხნივ კი –  
სულ სხვა?  
და კიდევ, კიდევ,  
ველურ ცხენების  
ჩაქროლებისგან  
ამოვარდნილი  
ქართან ჭიდილი?  
თუ გიფიქრია,

რომ მოგენატრა,  
და გინდა ისევ  
ამ დროებითი  
საცოდვეთისგან  
მარადიულში,  
შენს საცხოვრისში  
დაბრუნება  
სამარადისოდ,  
გარდა მიწის  
და გარდა ზეცის,  
მოგენატრება,  
გრძნეულ მთვარისგან  
მოჯადოებულს  
სევდა და მთვარე

## 20192706

და ეს ქვეყანა,  
სამშობლო ჩემი,  
ამ ცისქვეშეთში  
დროით დაღლილი,  
სამშობლოსათვის  
უამრავი სისხლით  
დაღვრილით  
სისხლდაშრეტილი,  
არ აცდენილა  
თუნდ ერთ წამით  
გზას უფლისაკენ  
და უბრუნებდა  
უფალი ლოცვას,  
როგორც წყალობას,  
იბრძოდა, ქმნიდა  
და მიწის ქშენას  
მკერდით ისმენდა,

სიმღერით, ცეკვით,  
სიტყვით და რწმენით  
ფეხზე დგებოდა,  
და ფენიქსივით,  
ამირანივით,  
ძალას იკრებდა,  
მერე კვლავ სისხლი,  
ღალატი ბევრი  
და ისევ ისე  
ფეხზე დადგომა.  
კამარას შეჰკრავს  
და ფენიქსი,  
სრულყოფილი,  
ცად აიჭრება,  
ძალას მოიკრებს  
ამირანი,  
დაწყვიტავს ჯაჭვებს....  
სამშობლო ჩემი,  
ჩემი ქვეყანა,  
კვლავ თავის სივრცეს,  
მარადიულს  
დაუბრუნდება...

## 20192406

შენ მეუბნები,  
რომ არ მოსულა  
ჯერ ჩემი უამი,  
უნდა შევება  
ისევ დემონებს,  
გასავლელი მაქვს  
განსაცდელები,  
თუ დავეცემი,  
უნდა წამოვდგე

და კვლავ ვიარო,  
და ახლა ვფიქრობ...  
კვლავ შევერევი  
მე მგლების ხროვას  
და არ დავინდობ  
არც მგელს,  
არც აფთარს,  
ყველა ტკივილს  
და ყველა ჭრილობას  
ყმუილს გავატან,  
ეჭვიან თვალებს  
არ მოვაცილებ  
მე მგლების ხროვას,  
მთვარის ამოსვლას  
შევახვედრებ  
სისხლიან მზერას,  
და გრძნეულივით  
მარტოდ მარტო  
ვიხეტიალებ  
შიშველ კლდეებში...  
გაშლილ მინდვრებში...  
ეს შენ მითხარი,  
რომ ვერ გადავალ  
უამის სივრციდან  
სხვა სამყაროში...

## 20192006

ცრუ პლანეტაზე  
მეფობს სიცრუე,  
შევეხე ყვავილს,  
მიწას და ბალახს,  
გაქრა ყოველი,  
წყალი მომწყურდა,

წყაროს ვენაფე  
და მყისვე დაშრა,  
გავხედე ზეცას,  
კამკამა სივრცეს  
და ზეცა ჩაქვრა,  
მზემ თვალი მომჭრა  
და მივეფიცხე  
და მყის შემცივდა,  
კაცი შემომხვდა  
პირით მცინარე,  
მომიახლოვდა  
ცბიერი თვალი,  
ლხინში მივედი  
და ვნახე კაცნი  
მრავალი სახის,  
მრავალი ნილბით  
სიცრუე მეფობს,  
მთელი პლანეტა  
ჩაძირულია  
დიდ სიცრუეში,  
ცრუ ყვავილები,  
ცრუ სიყვარული,  
ცრუ კაცნი, ქალნი  
და მხოლოდ ერთი,  
ერთადერთი,  
შენირული სიცრუის  
კერპს,  
ციური სხივი.....

**20190530**

არ დაიღალნენ  
ჩემი ცხენები  
ფლოქვების ცემით,

დასაბამიდან  
გაფრენა უნდათ,  
მე კი, მიჭირავს  
მათი აღვირი  
და ძლივსლა ვიჭერ,  
ბოლოს და ბოლოს  
მოვიდა ის დროც,  
როცა გადავჭრი  
მე ყველა აღვირს  
და შევუძახებ –  
დიდი ხანია,  
თქვენი დროა,  
მიდით, გაფრინდით...  
არ მწყდება გული,  
დაუბრუნდებით  
თქვენს ადგილებს  
ბრწყინვალე ცაში...

## 20191306

ნაქცეული ვარ,  
მიჭირს ადგომა,  
მტკივა სხეული  
და ეს ტკივილი  
მბოჭავს და მახვევს  
ნისლით ნაქსოვი  
ობობას ქსელში,  
ჯერ კიდევ იქით,  
სივრცეებს შორის,  
ექოდ გაისმის  
ის განწირული,  
თავზარდამცემი  
კივილი სულის.  
მოსწყურდა რკინას,

სწყურია მირაჟს  
გამომშრალი ვარ მეც,  
როგორც ქვიშა,  
მესმის ჩურჩული...  
დაცემულია,  
ის ველარ დგება,  
დროის მონები  
აქილიკებენ  
მარადისობას,  
თუმც მოკვდა  
გვამი,  
ჯერ მაინც,  
გმინავს  
ტკივილისგან  
გაჰკივის სული  
და მასთან ერთად  
იტანჯება რაღაც მთავარი,  
ამ განსაცდელში  
თანდათანობით,  
და წვეთწვეთობით,  
განმეორებით  
იბადება,  
თავისუფლება...

## 20192106

ამ ძველ ბაზარში  
იყიდება სულები ბევრი.  
ვინ ალარ ჰყიდის,  
წილში თვით სული,  
მყიდველი ერთი...  
დადის სატანა  
მზრუნველი სახით,  
ყველას ყიდულობს

და წილსაც იხდის...  
და ამ ბაზარში  
ყოველდღიურად  
ახალ-ახალი  
შემოდის სული,  
სულ უფრო მეტი,  
ზოგი წინასწარ  
აქ მოსვლამდე  
თავის სულს ყიდის,  
სულს წილიანად  
და სულ მთლიანად  
ცოდვებიანად...  
შენ ალარ გამჩნევს,  
არც გელოდება...  
შენ კი დადიხარ  
და უკაცრიელ  
ქოხებში ეძებ  
სულებს, რომელიც  
არ იყიდება,  
და გაერიდა  
ყველა ცდუნებას  
შენს მოლოდინში...  
და მოდი მალე,  
მოდი და ხელი  
მომკიდე ხელში,  
შენი სულია,  
გაურყვნელი,  
შენი ნაწილი,  
მოდი უფალო...  
შემეხე ხელით  
და წამიყვანე...

**20191906**

აქაფებული  
და აწყვეტილი  
დიდი მდინარის  
ვდგავარ ნაპირზე,  
როგორ მსურს ახლა,  
გაცურო გაღმა,  
მაგრამ არ მიღებს  
და იმუქრება,  
მწვანე ველებიც  
და ის დიდი გზაც,  
უფრო მშორდება,  
მე ნირნამხდარი  
გავყურებ ნაპირს,  
რომელიც არ ჩანს,  
მაინც მგონია,  
რომ დამშვიდდება  
დიდი მდინარე  
და გადამავლებს  
მძლავრ ტალღებს  
თავზე,  
გაცურავ გაღმა,  
და გავუყვები გზას  
მწვანე ველზე....

# პრიზი

## ნათელა მელიქიძე

### ზღაპარი სიყვარულისა

„დროს თავისი მიაქვს“... წუთისოფელი შენეული ჭაპან-წყვეტის გარდა გამორჩეულ ადამიანებთან ყოფნასაც თუ გარგუნებს, ამაზე მეტი რა უნდა ინატრო... ისეთი ნეტარი ცოლქმრობა ჰქონდათ დედას მშობლებს, სხვისი რა უნდა გამკვირვებოდა, მაგრამ სიყვარულის ზღაპარი ხომ უკიდეგანოა და ორგორას მცხოვრები უხუცესების – ვარდო ქეროფიანისა და გრიშა არგანაშვილის სიამტკბილობა პოეტური ცეცხლივით მომედო და ამაგიზგიზა. კაფიაობა უცხო ხილი არ ყოფილა გრიშა პაპასთვის და ფშაველი გოგობიჭების ამბავსაც ხალისით გვიყვებოდა: „—ქალავ, მაჩუქე, მაჩუქე, ახატულ-ჩამოხატულ! – ჩვენმა მურიამ გაჩუქოს კუდის ძირ გამოხატული!“

– შეირობა იცოდი, პაპა, უკრავდი ფანდურზე ახალგაზრდობაში? - ვკითხე. მარტო ბებერთან ვუკრავდიო, - ცოლზე მიგვითოთა, - მაჩუქეს ვუმდეროდი, მაგრამ განა მაჩუქაო.

ნალვარევში გაზრდილა, მთიულეთში.

საიდან სადაო?

– რათ წამომიყვანეს? დასანიშნად! - ხუმრობს, - იქ კარგიაო. რო ჩამოვედი, ვთქვი, ქართველები არ გამამყვებიან, ავდექ და სომეხი მოვიყვანე. მირაშხანში ვნახე. ახჩიაში ვიყავ ცხვარში. ეგ გაღმა იყო. იმაზე მამენონა, რო ძაან ტკბილი იყო. მერე წავედით ბეის მისატანად.

– რა მივუტანე? საყურები და რაც უნდოდა, რაც ესიამოვნებოდა. ეგენი კარგად ცხოვრობდნენ მაშინ, ღორი დაკლეს, კარგი პურმარილი, სასმელი, საჭმელი! წავიდა სმა-ჭამა, პურმარილი რამე და... დაგვსვეს ერთად, ცოტა რაღაცა ბრძოლა დაიწყო, ესიამოვნა, გვერდი რო გაუთბა, - მეუღლეს გადახედა ღიმილით, - ქორნილი არ იყო, პატარა პურმარილი გვქონდა, ცხვარი დავკალით, ეგ იყო ჩვენი ქორწილი!“

გასახლებული გამაჰმადიანებულების სახლებში დაუბინავებიათ. არც ძროხა, არც ცხვარი. ჰპირდებოდნენ, დახმარება გექნებათო... ნიალაში წასულან, მთაში, ფერმაში. ქოხებში წვიმა ჩამოდიოდა. არც - საწოლი, არც - საგებელი!

„ბეი გავცვალეთ და როგორც იქნა გამითენდა – დაგვაწვინეს ერთად! ღრუბლიანი იყო, მერე მოიწმინდა! - იცინის პაპა და ჩვენც გულიანად ვიცინით. უნდა დავვიცეთ... შარვალი მეცვა და საცვალი არ მქონდა. ცოლი მეუბნება, რო გაიხადეო. რო გავიხადო, სუტიტველა ვრჩები! მერე ისე დავწექ შარვლიანი. დადგა მტლაშამტლუში!...“

შვილიშვილები და შვილთაშვილები ჩვენთან ერთად კისკისებენ.

– აი, შენმა მზემ! – გაუჯავრდა ვარდო ბაბო, – რასაც ეგ არ იტყვის!

– იტყუება?

– ტყუის, აბა რა! ეხლა ვკოცნი, მაშინ არ მიკოცნია.

– მაშინ სირცხვილი იყო?

– სირცხვილი იყო, აბა რა! როცა მარტოკები ვიქნებოდით სახლში და ხიზანი გავიდოდა, მეგონა, რო სუყველა ჩემზე იცინის, გზას ველარ ვნახავდი, რო გავსულიყავ. სირცხვილი იყო, შვილო, სირცხვილი! განა ეხლანდელი დრო იყო?! ბალლი რომ გადაბჟირებულიყო აკვანში ტირილით, ახლოს ვერ მივდიოდი, თუ მამაჩემი იქ იჯდა. ეხლანდელმა ბავშვებმა ყველაფერი იციან. ვიცოდით რამე? ჩემ მამა-პაპას ეყურნა ეხლა!...

ვარდო ბაბო ბავრაში დაბადებულა, იქიდან კარწახში გადაუსახლებიათ, „თათრები რომ წავიდნენ“, მერე ოკამში ამოსულან. ქართული სკოლიდან სცოდნია, ცოტა-ცოტა. „მოველ და აქაც, ზოგი აქეთ, ზოგი-იქითა...“

და გაიხსენა გრიშა პაპას ოხუნჯობანი, ქართულის არცოდნით რომ სარგებლობდა და თავბრუს ახვევდა ვარდო ბაბოს ახალგაზრდობაში.

„ახალი პატარძალი ვარ, ჩემო გოგო, წავედით მე და ჩემი კაცი ყანაში. ეს თიბავს, მე ვხვეტავ. დაჯდა ერთ ადგილას და ზის! რა არის, ბიჭო, რატომ არ მუშაობ, ადე, გათიბე! ცელი არა სჭრისო. წადიო იმ კაცთანაო, დამანახა, უთხარი, სალესავი მათხოვე,“

კომბლე ძიაო. ვანო ჰქვია მაგ კაცს თურმე, დასცინიან კომბლეს, გაიგე? ჰოდა, წადიო და უთხარიო. ეხლა მივდივარ და მე ეს კომბლე არ გამიგონია სახელი და მაგან არ იცოდეს მეთქი. კომბლე, კომბლე, – ვიძახი გზაში. რო დავბრუნდი, კვდება სიცილით.

- რატომ იცინი?
- როგორ უთხარო?
- ვუთხარ, სალესავი.
- კომბლე ძია არ უთხარო?
- დამავიწყდა-მეთქი.
- იტყოდიო და დედიშენისა იქნებოდაო!“

„ერთხელ ჩემი დედამთილმა მეზობელთან გამგზავნა, - ვისმენთ სულგანაბულნი მოხუცის ნაამბობს, - წადიო, უთხარიო, ფიჩვი მათხოვოსო. მე რა ვიცი, რა არის ფიჩვი. არც ვიცი, რისთვის სჭირდება. მივდივარ, ვიძახი: ფიჩვი, ფიჩვი! წავედი. ბებერი შიგან ბოსელში იყო. დედა, დედა! - დავუძახე. სანამ გარეთ გამოვიდა, მე ფიჩუხაი დამავიწყდა. მოვიდა.

- რა გინდა, შვილო?
- ფიჩუხა მინდა.
- რა გინდა?
- ფიჩუხაი.
- ქალო, რა არი ფიჩუხაი?
- აბა, რა ვიცი, დედამთილმა მითხრა, რო ფიჩუხაიო.

მერე მეუბნება: მოდიო, რა არი ფიჩუხაი, აიღე და წაიღეო. მე რა ვიცი, რასაც მომცემენ, იმას წავიღებ. გამოვიდა გარეთა, კარიკარში ვიყავით, გრიშაიც დიდ ქვაზე იჯდა, კარებზე. – ბიჭო, ეს შენი პატარძალი ხაჩიკასა მთხოვს, მე საიდან მივუყვანო ხაჩიკაიო.“

„ერთი ჯერაც კიდევ აესე ვწევართ, ახალმოსული ვარ. ჭოტი კიოდა გარეთ. მღვიძია, ამას სძინია. კარები სულ ღია გვაქვს ღამე, რო ჰაერი შემოვიდეს, მიწური სახლებია. ზაფხული იყო. რაღაცა კივის. რა არის ნეტაი? ვეუბნები: გრიშა, აბა, გაიღვიძე! – რა არის? – აი, გარეთ, რაღაცა კივის და რა არის ეგა? დადგა, დადგა და – ეგაო მაციაო. – რა არის მაცი-მეთქი? – მგლების ბიძაშვილიაო. – შენ კიდევ რასმე მატყუილებ-მეთქი. – წადიო და აგე,

ჰეთებე ბაბოსთანაო... დედამთილსაც გაუკეთებია ქადები, თავა-და სჭამეს და ჩემთვის შეუნახიათ. არ მიჭამია. ვუთხარი: თუ მამა-ტყუე, ისე გცემ, რო ნულარ იტყვი, თუ არადა, ჩემ ქადასაც შენ მოგცემ. წავედი იქა. დასანიშნავი ბიჭი ჰყავდა სახლში, ვალიკო და თვითონ იყო ეგ ბებერი. ოდნავ თენდება, გამაგდო ლოგინიდან: წადი, ჰეთებეო! წავედი, კარებს ვაკაკუნებ, ვწვალობ. გამოვიდა შეშინებული: რა არის, შვილი? – რა არი მეთქი და გრიშამ გამომგზავნა, ესე-ესე მითხრა, რომ მგლების ბიძაშვილია მაციო. დედაა! სიცილით ვალიკო გადმოვარდა ლოგინიდან. მოველი და ე ქადაც შეეჭამა, მე გამაგდო მშრალადა და კიდეცა დამცინა. იმდენს რასმე მამატყუებდა რო... სახნისის სალესავიო და დიდ ქვებს მაზიდინებდა.“

– ბაბო, ჯვრისწერის ამბავიც მოგვიყევი, – შეეხვენა ნაილი.

„ხარაგაულში ვიყავით, ჩემი რძლის ქვეყნაში, შვილიშვილის ცოლისა, - გააგრძელა ვარდო ბაბომ, - ამასაცა ჰყავდა ჩენი სწორი ბებია-პაპა. ხატობა იყო, ჩვენც წავედით ხატობაში. პურმა-რილი, აქეთ-იქეთ... ამათ თქვეს ეხლა, ეს ბებრები ჯვარი უნდა დავწეროთო, ამათი პაპისა და ბებიისა. ახლა ჩვენც გადაგვე-კიდნენ, თქვენც უნდა დაიწეროთ ჯვარიო. ჰოდა, მოვემზადენით, უნდა წავიდეთ ორი მანქანით. წავედით. ეს პატარძალი აქ არის, მეფე არ არის! თურმე სოფელში დარჩა. ჩვენ რაიონში წავედით, ჯვარი უნდა დავწეროთ. ეძებენ, სად არის გრიშა პაპაი? არ არის! მამაომ რა უნდა თქვას? დედოფალი არის, მეფე არ არის! რა ვქნათ, ვის დავუწეროთ ჯვარი? წავიდა ეს კაცი (მასპინძელი), ხელმეორეთ დაბრუნდა, ეძება, ნახა და მაიყვანა. – მე რათ გინდოდითო, აპა, ორივენი ბერიკაცისთვის დაეწერათ ჯვარი და მერე გავინაწილებდითო...“

მღვდელმა ჭიქით ლვინო მამიტანა, რო ორი წვეთი, სამი წვეთიო, - ჩაერთო გრიშა პაპა, - მე სულ გადავსანსლე! – რა მაგრა გნეურებიაო! ორი წვეთი რაგორ უნდა დამელივა? გავცალე და მივაწოდე. ტკბილი კი იყო. ზიარებააო! იმან რა იცოდა, რა ხანია ნაზიარები ვიყავ!...

მართლაც, რა ხანია ნაზიარები იყო გრიშა პაპა, სიყვარულს, სათნოებას, ტკბილ სიტყვას ნაზიარები... სულგრძელობა და დღე-გრძელობა მომადლა უფალმა ორივეს.

მოვიდნენ, იცხოვრეს, იწვალეს, უფრო უჭირდათ, ვიდრე ულხნ-დათ, ვინ იცის, რამდენი რამ აკლდათ, მაგრამ ყველაზე დიდი რამ ასაზრდოებდათ – სიყვარული!

ვერავინ იფიქრებდა, თუ ოდესმე გამოელეოდა ოინები გრიშა პაპას, ვარდო ბაბოს წასვლამ დაადუმა ეს ენამზიანი მოხუცი, გააქვავა, ლანდად აქცია.

და დარჩა ლეგენდად, ზღაპრად ამბავი სიყვარულისა, გაუხუ-ნარი, მარადიული.

## ერთ ზამთარს

გვიანი იყო. მამა დასაძინებლად დაწვა. დედამ ერთ ხანს კიდევ იფუსფუსა. მე ლამფის შუქზე რაღაცას ვკითხულობდი. ნოდო მეორე პირ სიზმარს ნახულობდა. ღუმელიც მინელებას აპირებდა. ჩემი ოთახის მხრიდან, რომელიც ნიჯგორს გაჰყურებს, უჩვეულ „მასპინძელომ“ გამომარკვია. მშობლებთან შევედი, ვიღაცა გვეძა-სის-მეთქი. მამამ გახედა. ჩვენთვის დილას, საღამოს ან ლამით ვინმეს დაძახება უცხო სულაც არ იყო, ვინ აღარ გვაკითხავდა საშველად, ხან პატარას მოლოდინში, ხან გულის უქმარისობის, ხან ფილტვების ანთების, ხან გადაგლევილი წვივის და ვინ მოთვ-ლის... თანასოფლელები ხუმრობდნენ, ლაზარეთი უნდა ერქვას ამ სახლს, ტარიელას სახლი კი არა (ჩვენებს დღემდე აქვთ რკინის-თავებიანი ერთი საწოლი, რომელსაც გადასხმის მოწყობილობა ეთვისებოდა. მერე ჩემმა ძმამ ამ ოდესლაც საპატიო წევრს სარ-დაფში მოუქებნა ადგილი). უჭირდა ქვეყანას, უჭირდა ხალხსაც: ერსა და ბერს, ინტელიგენციას, სტუდენტობას, გლეხს, მშრომელ ადამიანს და რა გასაკვირია, რომ ექიმ-ექთნის ოჯახი მასპინძლობდა ავადმყოფებს, რომელთა უმრავლესობა ჩემი დედულეთი-

დან, მამულეთიდან და მეზობელი სოფლებიდან იყო. მამას ამბულატორიის ექთნები მიღახევში გადმოსვლის შემდეგ (ტოლოშს სამი კილომეტრით დავმორდით) აღარ შეუწუხებია და ყველგან დედა დაჲყავდა. შეიძლება ითქვას, ავადმყოფებს მარტო თეთრხალათიანი ჩვენი მშობლები კი არა, ჩვენც ვუთევდით დამეებს, თან ისე, რომ ამის შესახებ არავინ იცოდა; საწოლში წამომჯდარნი ველოდით დედ-მამის დაპრუნებას და კარებიდანვე შემოძახილს: მადლობა ღმერთს, უკვე კარგადაა! ძალიან ბევრმა ახალშობილმა დედას ხელებში შეიგრძნო სამყაროს ფორიაქი, ძალიან ბევრმა უიმედომ მამას მკურნალობით გააგრძელა ცხოვრება...

ეს გვიანი სტუმრებიც არ გაგვკირვებია. უჩვეულო ის იყო, რომ დამძახებელმა მამას ან დედას სახელით არ გვიხმო, ჩვენ კი, აწყვიტა-ტოლოშის საზღვარზე მცხოვრებთ, ყველა გვიცნობდა. ბნელოდა, ძალიან. მე აღარ გავსულეარ, მაგრამ ლაპარაკით მივხვდი, რომ ვიღაც კაცებს ელაპარაკებოდა მამაჩემი, აივნის წინ გაატარა და მერე ხმაც მინელდა. ცოტა ხანში ისევ მობრუნდნენ და კიბეებს ამოუყვნენ. ის უცნობი უხერხულობდა და მამა რაღაცას აძალებდა. დედას შემოსძახა, ჩემი ტანსაცმელი გამოგვაწოდე, უნდა გამოიცვალონ.

ბათუმიდან ჯავახეთს მობრუნებული ერთ-ერთი სოფლის თავჯდომარე და მისი თანასოფლელი შევიფარეთ იმ ღამეს. საქონელი წაესხათ გასაყიდად და მაგიერში ფქვილი შეეძინათ სოფლელებისთვის. აღარ მახსოვს, რის გამო ეჩქარათ. ფქვილს მოგვიანებით ამოგვიტანენ. ფიაში გვინდოდა ღამის გათენება, მაგრამ გზა ველარ გავიგნეთ, უკუნი მტკვარს მივადექით და გვარიანადაც დავსველდით, აქეთ ბუუტავდა სინათლე და თქვენ მოგაკითხეთო. მამამ: წყალში კი არ ვდგავართ, გათენდეს და მერე გაგაცილებთო.

პური სამსეთ გვექონდა. დედამ ცომი მოზილა და მამას რაღაც გადაულაპარაკა. მამამაც: მეუხერხულება, მაგრამ უნდა გკითხოთ, ღორის ხორცს თუ მიირთმევთო (ვიცოდით, აჭარელთა უმრავლესობა პირს არ აკარებდა). ყველა მტკაცელ მიწაზე ქრისტიანული სალოცავები გვიდგას, ძალით თავს მოხვეული ბევრს ფანატიზმად ექცა, ნელ-ნელა ისევ მამაპაპეულ რწმენას ვუბრუნდებით, არც

ღორის ხორცს ვეკრძალვითო. დედამ ხინჯლის მოხვევა დაიწყო. დასველებული ტანსაცმელი ღუმელს მიუფიცხეს.

ძია ალექსი (თუ ზუსტად მახსოვს) ისტორიკოსი გახლდათ, წლების წინ აჭარაში მცხოვრებს, შვილი მოსტაცეს, სტუდენტი, ჯან-ლონით სავსე, ათლეტური აღნაგობის, გონიერი და უშიშარი. ორი წელი ეძება, ცა და დედამიწა შეძრა, ჩარია შავიც და მოშაოც... იმედი საბოლოოდ გადაეწურა, ცოლს მაინც ვერ გაუმხილა - ნულარ ელოდებიო. თვითონ ხალათის ქვეშ შავი მაისური ატარა. მერე ისევ ბიჭმა ივაჟკაცა, რუსეთის რომელიდაც ოლქიდან მამას ხმა მიაწვდინა. ადვილი არ აღმოჩნდა მოლაპარაკების გამართვა კრიმინალებთან. ურის ვალი აიღო და გამოგლოვილი შვილი დაიბრუნა. მერე ჯავახეთს გადმოვიდა ოჯახით, ძმებით, სანათე-საოთი. წლების მანძილზე სოფელს თავკაცობდა, პატრონობდა. ფქვილი და ბენზინი ჩვენც ყველასავით გვიჭირს, წიალ-წიალით ყიდვა-გაყიდვას ასე ვარჩიეთ და დროდადრო ბათუმში მიგვყავს სოფლელების პირუტყვი, ვყიდით, ვცვლით პროდუქტზე, ფქვილ-ზე და უკან ვუბრუნებთო. ისეთი დროა, თვალი თვალს არ ენდობა, ზოგჯერ სიკეთეც სიავით გიბრუნდება, ამიტომ ყველა წასვლაზე თითო ახალგაზრდა მიმყავს, რომ ისწავლონ, რა და როგორ უნდა აკეთონ, ინვალონ, რომ ლუკმაც დაუტკბეთ და შეიგნონ, ჰაერიდან არ მოდის არაფერიო...

ბევრი კარგი სადლეგრძელო დაილია იმ ღამით ჩვენთან. ბოლოს უმთვარო ღამის წყალობით აბნეულ გზაზე ნაპოვნი იმედი დალოცეს მამამ და ძია ალექსიმ.

შემოგვათენდა...

## ნატო

ენამნარეს და სხვის საქმეში ცხვირჩარჭობილს რა გამოლევს ამ ქვეყანაზე და ნატოსაც შეაპარეს სიმართლე: სხვისი ხარო!

არადა, დედისერთაც არ იყო...

ეჭვმა გული დაუღრნა პატარა გოგოს. პატარა ეთქმოდა, აბა რა, ჯერ სკოლა არ ჰქონდა დამთავრებული. ბევრ რამეზე აიცრუა

გული, სწავლაზეც. მშობლებისა და თეონას ალერსს უსაფრდებოდა, თავისას ადარებდა...

არაფერი ჰქონდა საეჭვიანო, მაგრამ მაინც. დედ-მამა გადაყოლი იყო. რამდენჯერ ნატოს განერვიულებისთვის პატარა დაიკოს გვარიანად მოხვედრია. ვერა და ვერ მოისვენა, მაინც ჰქითხა დედას, შენი არა ვარო?

ელდანაკრავმა გულში ჩაიკრა. ცრემლმორეულმა და სიტყვა-გამშრალმა: მე გაგზარდეო.

მორჩა! დამთავრდა! გაქცევა უნდოდა და ვერ გაიქცა, ღრიალი უნდოდა და ვერ ღრიალებდა, ცრემლებიც სადღაც გაიპარნენ...

უშველა იმან, რომ მეგობრობდა მამასთან.

ქუდბედიანი რომ დაიბადებიიი! სადაც არ უნდა იყო, იქ მოგახვედრებს ბედისწერა, სადაც შენი ადგილია. ბევრს არ გაუმართლა, მაგრამ ნატოს ნამდვილად! ყურის გემოც კარგი ჰქონდა და თვალისაც. სხვა ოჯახებიდან თუ გინების კორიანტელი ზეცას აღწევდა, ნატოს მამამ გაბრაზება თუ იცოდა, ისიც საკითხავი იყო. ჩუმკარგი ოჯახის შვილობა სანაცრელი არ არის განა?

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ მამაჩემი თავქუდმოგლეჯილი გააქანეს ავადმყოფთან, თავის დაბანა არც აცალეს. მერე მანქანა დედას ნასაყვანად მოვიდა: ტარიელ ექიმმა, აქ მე არაფერი მესაქმება, ეთერი მოიყვანეთო!

დედა მართლა გაფრინდა. საერთოდ ასე იცოდა, თუ ვინმეს უჭირდა, წამებში იქ გაჩინდებოდა.

აფორიაქებული ბინადარნი და გასისხლიანებული საწოლი დაახვედრეს დედას. ჭიში მოსჭრა და ალპათ, ბეჭნიერი მომავალიც უსურვა გოგონას, რომელიც ის ის იყო მოვლენოდა ქვეყანას, მაგრამ ოჯახის უფროსებისაგან უარყოფილს რა მოელოდა, არავინ იცოდა.

- მოაშორეთ, მოაშორეთ! - გაჰყვიროდა ბებია, რომელსაც ასე-თი მოულოდნელი ნობათი რამდენიმე წლის წინათაც მიართვეს და გამწარებულს ერთი სული ჰქონდა, ეს უსუსური სადმე მოესროლა.

გაირკვა, რომ ნაპარევად ჩაისახა, მუცელშეკრულ დედას ვერ შეატყვეს ფეხმძიმობა და გაუსაძლისი ტკივილებიც თირკმლებში კენჭის გავლად ჩაუთვალეს.

რახან დაიბადა, უნდა დაბადებულიყო!

ეთო რისი ეთო იყო, მელოგინესაც მიხედა, იქაურობაც მოაწეს-რიგა, ბავშვის ბებია-პაპაც დაამშვიდა - ამისი მოკვლა როგორ იქნება, იმდენი მომლოდინეა პატარას აყვანის, თქვენ სიტყვასაც არ დაგამთავრებინებენო, დედის ნებართვაც ითხოვა და გააქანა საავადმყოფოში, ძუძუმტეს რძის წილის იმედად.

ტარიელ ექიმმა შეურჩია სახელი: ნატო დაარქვეს.

მთელი სამშობიაროს შვილობილად იქცა.

ეთოს ყველა მორიგეობა ნატოთი იწყებოდა და ნატოთი მთავრ-დებოდა. მისხალ-მისხალ ვიცოდით, რამდენი გრამი მოიმატა, რო-გორ გაიღიმა, რა ჩაიღუდუნა...

მერე აყვანის მსურველებიც გამოჩნდნენ. დედამ შებედა, იქნებ თქვენც ნატო დაუძახოთო. როგორ აწყენინებდნენ?...

გაიზარდა ჩვენი ნატო. მამამ სიმღერა ასწავლა, დედამ - ხატვა. ათი წლისამ დის სიყვარულიც იგემა. გონიერი და ენამოსწრებული გოგო დადგა. ისწავლა, სამსახური დაიწყო, გათხოვდა და კარგი ბიჭიც გააპედნიერა.

ახლა დედობის მოლოდინშია და ვიცი, აკვანთან მიმჯდარი უფრო მეტად შეიყვარებს გამზრდელ მშობლებს.

**პ.ს.** დედა მოულოდნელად გარდაიცვალა, ძილში გააგრძელა საიქიო ცხოვრება. არ დაუკვნესია, არავინ უხმია საშველად. თუ ადამიანს ამქვეყნიური სიკეთები უნათებს სამოთხის კარს, ეთოს შემთხვევაში ნატოს წილი მადლიერებაც ურევია.

## ვატი გებო

ბედმა აგვშალ-დაგვშალაო, - ამბობს სოფელ რუსთავს მცხოვ-რები, „გეგმიური ჩამოსახლებისას“ ხულოდან გადმოსული ფატი ბებო, რომელიც ახლა 90 წელს გადაცილებული, ხუთი შვილის, ოცდაორი შვილიშვილის, ჩვიდმეტი შვილთაშვილის და ერთი შვილთაშვილისშვილის პატრონია. წასულ დროს ახლანდელს რომ ადარებს, „აფერში არ ედრებაო“, უფრო სერიოზული, წინდახე-დული ცხოვრება იყო, დიდ-პატარაობა იყო, სიყვარული იყო.

პირველში ქამადაძეებში ყოფილა გათხოვილი. ნენიდან წასული დიდგვარის შვილები იყვნენო, კარგი ხალხი. ცხაკაიაში გაუგზავნიათ ფატი ბებოს ქმარი სასწავლებლად, ავარიაში მოყოლილა და მერე მისი ბედი მოწყვალე ღმერთმა „აქეთ გადმოადინა“. ესენი ძირკვაძეები არიანო, - მითითებს ოჯახობაზე. დანახვედრი გოგობიჭი ჰყოლია. არ მიგრძვნია, რომ ისინი სხვა დედის შვილები იყვნენო. ბიჭი ასე პერანგს გამომინევდა და მეტყოდა, რო შევძრები და მომათბილეო. კარგი ქმარი ჰყოლია, კარგი შვილები ჰყავს, „დიდ ღმერთს დიდი მადლობაო“.

თვითონ კურცხალიდან არის, ხულოს რაიონიდან. მამამისს დიდი ცხოვრება ჰქონია, დიდი ოჯახი. „დეიდივნენ ძმები, დედმამა, სახლიც გაქრა“. კურცხალში გაუცვნია მომავალი მეუღლე. ჩემზე ხნიერი იყო, მაგრამ ძვირფასი: ოჯალისთვის, შვილებისთვის არნახული კაციო.

სამი რძალი მყავსო, არცერთიდან მომდურავი არ ვარო. ხან მაბრაზებენ, ხან ვაპრაზებ, ხო იცი, ცხოვრების საქმეაო. დედა-შვილი ხარ და ყოველთვის ერთმანეთთან არ ხარო!

ამ ცხოვრებამ ეს მისვლა-მოსვლა დააშორავაო. იქ, ხულოში, საერთოდ ჩემი აღარავინ ცხოვრობსო. „ახლა რაცხა ვეღარ წავდივარ, არც ვარ ისე დავრდენილი“, მაგრამ ვერ ვბედავ, შორ არი და მეშინიაო.

გული შემტკიცა ბევრ რამეზეო. ბევრი კარგი გზა მაქ გავლილი, დუუშვენარი, დუუშვენარიო. ომიანობა იყო, ხალხი შეირი იხოცებოდა, მამაჩემი, დაფქვავდნენ ჭად-პურსა, მეზობლებში გვარონიებდა კასრებითო; საქონელი ბევრი გვყავდა, პური ბევრი გვქონდა. ბევრი ოჯალი ისე გვყავს გაზრდილი და გადარჩენილიო. ძელი ცხოვრება ძლიერი იყო, ნატურა იყო ყველაფერიო. ახლა ბავშვი დაიბადება - წამალი! მე, ჰალბათ, ის ჯამრთელობა მომყვაო.

დედამისი, ფედიე, 100 წლისა გარდაცვლილა. აქ მყავდაო, ქვიშნა ბლები მქონდაო. ერთი დღე დავკარგე, ვეძებ, ვერ ვნახეო. „რას ცუქცუქობო და ნუ წუნწურობო, აგერ ვარ ბალზეო“. ოთხი ვედრო ბალი მიეკრიფაო. რაც გინდა ნევსი ყოფილიყო, ააგებდაო. იმფერი სიარული იცოდაო, ვიტყოდი, ცხენი რო წავიდეს, ვერ დაეწევაო.. მეტყოდა: „რას გავხარ, ვო, ხელები დალრეკილი გაქ,

მოკურქული იარებიო, თვალები აგტკენიაო“.  
ჩხირა ქალი იყო,  
სუსტი, ჯანმრთელი, კაცები ხელ ვერ გადუღუნებდნენო. ბოლო  
წუთამდე მაგისთვის ვინძეს ლოგინი არ გაუსწორებია, ბალიში არ  
გაუსწორებია. იმ ჩემ დედის ძალ-ღონე ღმერთმა თქვენც მოგ-  
ცეთო. კარგი და-ძმები მყავდა. ბლაყვი კაცი მისას აქებდაო, არ  
ვაქებ, მარა ჩემი იყვნენ და კარგი მეჩვენებოდნენ, დედ-მამა რო  
კარგი მყავდა, მაგას ნამდვილად დავიკვეხიო. ახლა დავჩაჩანაკდი,  
ჩემ დროში მე ქალი მერქვა და ახლა ღმერთს მადლობა, რო ჭკუა  
მაქ, ენა მაქ, ჩემ ხელ-ფეხ მიმაქ-მომაქ, არავის ამარა არ ვარო.  
ყველა კაის კაი მომავალი მისცეს ღმერთმა და თქვენაც ჯამრ-  
თელობაო.

## უსუცესი

ერთი წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩემს თავზე, თორემ  
არაფერი დამაკლო ცხოვრებამო, რომ იტყვიან, სწორედ ასეთ  
მოხუცს ვესტუმრე სოფელ ჭობარეთში.

ლოგინში წამომჯდარი, მუხლებზე შალმოხვეული დამხვდა  
თამარ ბაბო. გამომკითხა, ვისი ვიყავი, სადაური, რა მაინტე-  
რესებდა. წლოვანებით რომ დავინტერესდი, ასი წლისა დაბადების  
დღე გადამიხადესო, მეხსიერება მღლატობსო, მავიწყდება რაღა-  
ცეებიო. შვილმა გულის ოპერაცია ვერ გაიკეთა და სამოცი წლისა  
დამეღუპა, მე რათ მინდა თავი ცოცხალიო. მაინც გაიხსენა წვითა  
და დაგვით მოტანილი ცხოვრება.

დიდი ოჯახობა იცოდნენ მესხეთში, რამდენიმე ძმა ერთად  
ცხოვრობდა. მე რომ მოვედი, ოცი სული ხიზანი ვიყავითო. სწორედ  
ამის გამოძახილია, მაზლშვილები თამარ ბაბოს დედას რომ ეძა-  
ხიან ახლაც. წინათ ეგრე იყო, მამამთილს უნდა დაუმძრახებოდიო,  
არ შეიძლებოდა ხმის გაცემა არც დედამთილისთვის, არც მამამ-  
თილისთვისო, ის წლები წავიდეს და ნულარ მოვა! - თქვა უზუცესამა.  
„უმძრახობა“ სიტყვის ამოუღებლობას ნიშნავდა და შეიძლება რამ-  
დენიმე წელი გაგრძელებულიყო. ამას ძველი ხალხი უხერხულობის

აცილების მიზნით ხსნიდა, პატარებს ათხოვებდნენ და რამე არ წამოსცდეთ უფროსებთან, რამე სისულელე არ თქვანო.

ისეთი დღეები გაუვლია, მტერს აშოროს! - შიშველ-ტიტვლობა, შიმშილი. ოთხი წელი ჰყოლია ქმარი, მერე ომში დაღუპვია, წასულა მოხალისედ და აღარ დაბრუნებულა. ხუთი თვისა დარჩენია ელიკო. ხუთი თვისაც თვითონ დაობლებულა, ჭობარელ ბაბოს გაუზრდია. მერე მამამისს მოუყვანია დედობილი და თამარიც აფინაში წაუყვანია. პაპასა და ბებიას აქ გამოუთხოვებიათ - ჩვენ ვიქწებით შენი პატრონიო. „ბაბოიც წავიდა, პაპაც, ბიძებიც... ახლა ესენი მხედებენ-ხოლმე, ესენი მგდებულობენ ყურსა: ბაბო, რა გინდა, ბაბო რა გინდა? ძალიან პატივს მცემენ“ (მიმითითა ამირან ძიას ოჯახობაზე).

„დიდი ობლობა გავიარე, დიდი ტანჯვა. მამაჩემის მხარეს კევრზე ვიყავით, შეახვავებდა, გაანიავებდა. მოვიდოდა მამასახლისი, წაგვართმევდა და დავრჩებოდით მშიერი. მამასახლისი პურ რო გვართმევდა, პური აღარ გვრჩებოდა. მამიდაჩემი იყო მეჯვრის-ხევში, შვილი ჰყანდა და მოუკვდა. მამაჩემმა ადგა და წაგვიყვანა იქა. ერთ ბებერ-ბერიკაცთან მიმაბარეს, ბათიევი ერქვათ. შვილოო, გიშვილანთო, იყავით ჩვენთანაო. ერთი ზამთარი მიგდეს ყური. მამაჩემი ჩამოვიდა. ვუთხარი, ესენი მუშაობენ და მე მარტო ვარ ტყვესავით. წამიყვანა უკან“.

„წინათ ქერის პური იყო, გენაცვალე, იმდენი იყო, რო გამოვმტკიცენდით. წივას შევურთენდით, თუჯის ფეჩი იყო და მაგაზე ვაცხენდით ბაზლამას. პატარ-პატარა თონიები გვქონდა. ერთი-ორი ფურნე იყო მეზობლებში. შეშის ხსენება არ იყო, არ გვაძლევდნენ შეშასა. კოუას ბილა არ გვაკრეფინებდნენ. იქ (ჯავახეთში) ზათი არ იყო ტყე, სუ წივა, წივა. საკერებელი არ გვქონდა, რო გამოგვეკერებინა. რო გითხრა, როგორ გავძელით, რომელ ერთი დარღი გელაპარაკო...“

„პატრები რო ვიყავით, არაფერი გვქონდა, საცოდაობა იყო, გაგვაზავნიდნენ ბატებში. კენჭაობა ვიცოდით, ვკენჭაობდით. წინათ არ იყო, ახლა რო არი მისვლა-მოსვლა, აღარ ირჩევა, არც გვარი, არც ოჯახი. კოლმეურნეობაში ვაფოცხენდით, ორთითით ბუნულებს ვაკეთენდით, ზვინებს ვდგენდით. გაღმა კალოები იყო,

იქ ლენავდნენ. ორი ბრიგადა იყო, საღამიენდი კევრზე ვშემდებოდით და წყალი არ იყო, რო დაგველია. იქ, ჯავახეთში, საკიდებით მოგვქონდა წყალი, აქ - ვედროებით. ჩემი ბიძაშვილი იყო ლადონი, მასწავლებელი, ვეტყოდით, რო მიდი, შენ უოჩერედოთ მოგცემენ წყალსა. სტუმარს პატივს სცემდნენ.“

როგორ გაათხოვეს?

„ერთი კაცი მოდიოდა აქა, კვერცხი ამოჰქონდა. კევებ ხდიდნენ არყისა და ცვლიდნენ. თითო კვერცხზე ვუყიდიდი. დედამთილი-სათვის ეთქვა, რო იქაო ობოლი გოგოაო, ნიკოლ პაპაი და ეთერ ბაბონ არიანო, უთხარი და გაგირიგამსო. არც ბიჭ ვიცნობდი, არც რამე, ამოვიდა ნიკოლ პაპაი, ეგრე გამირიგეს. აქ გვქონდა ნიშნობა. წინათ ჩირალდანი იყო შეემაზული, ნათლიას ეჭირა და მოჰქონდა. ზველში იყო ღვდელი, ზველში ვიწერდით ჯვარსა“ (მეზზობელ სოფელზე მიმითითა).

დრო შეიცვალა:

თამარ ბაბოს თაობა ჭაკულით წყალს ეზიდებოდა, კევრზე იდგა, ბატებს მწყემსავდა, კენჭაობას თამაშობდა, ბაზლამას აცხობდა, უმძრახობდა დედამთილ-მამამთილთან, უცნობ გოგო-ბიჭს აქორწინებდა, მახარობელს აგზავნიდა, რომელიც ჩირალდნით ხელში მაყრულს შემოსძახებდა...

ახლა? კომპიუტერულ თამაშებს თვალს ვერ აცილებს ახალგაზრდობა, ქორწილს „სამეფო“ დარბაზებში იხდის... რა კენჭაობა, რის „დამალობანა“, რა „წრეში ბურთი“ და რა ლახტი- მახტი...

არა, გენაცვალე, „ის წლები წავიდეს და ნულარ მოვა!“ (როგორც თამარ ბაბო იტყოდა).

ერთი რამ ნუ მოშლოდეს ჩემს ქვეყანას მხოლოდ: შრომის, სწავლისა და ხალხის სიყვარული!

# ტრიტიტ

## ექთინო გრძელიშვილი

### ციცო მაისურაპის პოეზია

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ერთმა ქართველმა მწერალმა საოცარი ფრაზა გვისახესოვრა: „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ...“ დღემდე ეს ფრაზა წარსულის, აწმყოსა და მომავლის მრწამსს განასახოვნებს. აქ წარმოჩენილია ლირებულებათა წყება, რამაც ქართველ ხალხს შეუნარჩუნა ყველაზე მთავარი, თვითმყოფადობა. ამ ფრაზას არც ოცდამეტრთე საუკუნეში დაუკარგავს თავისი შინაარსი. 2018 წელს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში დაიბეჭდა ლექსების კრებული სახელწოდებით „ვიცი, ვისი გორისა ვარ“.

წიგნის ანოტაცია გვაუწყებს: „ამ კრებულით საშუალება გეძლევათ, გაეცნოთ ერთი შესანიშნავი, მესხეთზე უზომოდ შეყვარებული ქალის - ციცო მაისურაპის შემოქმედებას. იგი ბავშვობიდანვე ეზიარა პოეზიის მადლს და მისი ლექსები სხვადასხვა უურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა. ამ ლექსებიდან სულში იღვრება სიკეთის, სიყვარულის, ყოველივე ამაღლებულის, დიადის ნათელი ფერები. უდიდესი სითბოთი და ქალური სინაზითა სავსე ყოველი სტრიქონი. ძალუმად შეუგრძვნია ყოველივე ზეამაღლებული და ქართული სიტყვის მადლით თქვენამდე მოუტანია სამშობლოს დიდი ტკივილი, სიყვარული და განცდა, მეტად ინდივიდუალური, განუმეორებელი და განსაკუთრებული. ეს ლექსები გულის სიღრმეში ვერდატეული უდიდესი სიყვარულის გაბმული მელოდია... (ნ. ყრუაშვილი )“.

აღნიშნული კრებული თემატური მრავალფეროვნებით ხასიათდება. მასში ერთმანეთს ენაცვლება სამშობლოს სიყვარული, ადამიანის ამქვეყნად მოსვლის ისტორიული მისია, წუთისოფლის თემა, სიყვარული... და მაინც წარმმართველი მამულის სიყვარულია. ქვეყნის წარსულს, აწმყოსა და მომავალს, როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, ერთდროულად განიცდის პოეტი. ლექსში,

რომლის სახელწოდებასაც ატარებს კრებული, ლირიკული გმი-  
რისთვის ანტყო წარსულის პირმშოა, მომავალი კი – ორივესი.  
პოეტმა იცის „ვისი გორისაა“, ამიტომ გასაგებია მისი მრწამსი, თუ  
საჭიროება მოითხოვს მსხვერპლად შეეწიროს ქვეყნის კეთილ-  
დღეობას. სიამაყითაა აღსავსე მისი სიტყვები:

ვიცი, ვისი გორისა ვარ,  
ვისი ქვა და ფიქალი,  
ისევ ისე იზრდებიან,  
აღგეთს ლეკვნი მგლისანი“.

ავტორი ლექსში „არ ვიცი, საიდან იწყება სამშობლო“ კიდევ  
უფრო მძაფრად განიცდის მამულის სიყვარულს:

„არ ვიცი, საიდან იწყება სამშობლო,  
ქურანი ცხენიდან, დამკალოს ველიდან,  
იქნებ რიყიდან ან ბებრის ციხიდან,  
დედის ცრემლიდან თუ გლეხის ცელიდან.“

ყველაფრიდან: ბალანთიდან, ერის ბარაქიდან, მთა კოდიანი-  
დან, არაგვიდან, ალაზნიდან, მთათა ქარაფიდან, ლამაზ არაკიდან,  
რუისის ნისლიდან, იშხნიდან, ხახულის ციხიდან, წარსულის ლე-  
ლოდან, ოშკიდან, ცრემლიან ნოსტედან, პაპების ჭაღარა თმები-  
დან... დიახ, ყველაფრიდან, ყველაფრიდან იწყება სამშობლო.

კითხულობ პატრიოტულ მოტივზე დაწერილ ლექსებს და  
გაოცებს პოეტის გულწრფელობა და უბრალოება. მისი ფიქრი  
სამშობლოს დასტრიალებს. მას სურს ჩასწერების ქართველთა  
ხასიათს. ლექსში „რა ვიყავით“ გაოცებას ვერ მაღავს ავტორი:

„ღმერო ჩემო, ნეტავ უნინ,  
ვინ ვიყავით, რა ვიყავით,  
ერთი ციდა საქართველო  
რატომ ვეღარ გავიყავით“.

მამულის სიყვარულს ორგანულად ერწყმის მისი მშობელი  
კუთხის, სამცხე-ჯავახეთის, სიყვარული. ყოველი გოჯი ახლობე-  
ლია მისთვის, ეფერება, ესათუთება შემოქმედი მშობელ მიწას:

„ხიზაბავრა, ნიჯგორი, ერკოტა და სარო,  
ჩემო სულის ძალავ, უნდა გაიხარო.“

მოზღვავებულ გრძნობას ვერ იტევს სხეული და იძერწება საოცარი სტრიქონები, რითმას რითმა მოსდევს, სიტყვას-სიტყვა, რიტმს - რიტმი, მელოდიას - მელოდია.

„წყალი დოლაბს აბრუნებსო,

გულო ჩადი საგულესო,

სარეკელა რეკავს გაბმით,

თვლის დოლაბის სწრაფ ბუქნებსო“.

ლექსთა მელოდიური მრავალფეროვნება მკითხველს თავბრუს ახვევს, ავტორთან ერთად იძირება მამულის სიყვარულის ნირვანაში, იძირება და ესთეტიკურ ტკბობას განიცდის. ფაქტია, მხატვრული პროცესი სახეზეა, რაც მაუწყებელია იმისა, რომ ციცო მაისურაძე, როგორც პოეტი, სიყვარულით მიიღო მკითხველმა. „ობოლ მარგალიტში“ საოცარ მხატვრულ სახეებს ქმნის ავტორი.

„თქვენი ვარდის ბუჩქი აყვავდა,

ჩიტები განთიადს ხვდებიან,

მიტოვებული აკლდამები

სამშობლოს სიყვარულზე მდერიან...“

მამულის სიყვარულის გარდა ც. მაისურაძის პოეზია ადამიანის ამქვეყნად მოსვლის ისტორიულ მისიასაც ეხმიანება. რა არის ეს მისია? პირველ ყოვლისა, ქვეყნის სამსახური, მისი კეთილდღეობი-სათვის ზრუნვა, სიკეთის ქმნა, სიცოცხლის სიყვარული... „ნუ დაივიწყებ მშობლების ამაგს: საჭრეთელს, წერაქვს, ხმალსა და კალამს“, - აცხადებს ავტორი.

კიდევ ერთი თემა, რასაც ც. მაისურაძის პოეზია წარმოაჩენს, სიყვარულია. ეს გრძნობა ამაღლებულია, თუმცა ცალმხრივი. სიყვარულის თემას ეძღვნება ლექსები: „მარტმა შემახსენა“, „მე შენ გნახავ“, „მარტის ფიქრი“, „უბრალოდ“, „ისევ მარტო“, „რა ჩემი ბრალია“. ამ უკანასკნელში ავტორი წერს:

რა ჩემი ბრალია,

თუკი შემიყვარდი...

თუ ჩემი გრძნობები

შენთვის ღრუბელია,

ჩემთვის ხომ დარია“.

კრებულში გვხვდება ლექსები, რომლებიც ეხება ბიბლიურ თემებს. ლექს „ნათლისლებაში“ ავტორი საეკლესიო დღესასწაულის, ნათლისლების, დადგომას ორიგინალური მხატვრული სახეებით გვიხატავს:

„თოვლის ბილიკზე შავი ლანდები,  
მიმოდიოდნენ ხელში სანთლებით,  
სამეფო ტახტზე იჯდა სიჩუმე,  
სიო დაქროდა ხევში ამ დილით.  
ანდრიანმინდას ზარებს რეკავდნენ,  
ღრომის სალოცავს მზე ეპყრა ხელში,  
ბერთას ბერები სანთელს ანთებდნენ,  
ნათელი იდგა ფულუროს ხევში“.

საინტერესო მხატვრილი სახეები გვხვდება ლექს „შობაშიც“. „ცაზე ვარსულავი ბრწყინავს, მზეზე მანათობელი. სირინზნი ჩამომსხდარან ისმის საგალობელი“.

ბიბლიურ მხატვრულ სახეებთან ერთად ციცო მაისურაძის ლექსებში უხვად გვხვდება მითოსური მხატვრული სახეებიც: ჭინკები, ალები, დევები... მაგალითად: „ტყვედ პაპაჩემს ალი ჰყავდა...“, „ორი დევი კევრში ება..“ ეს მხატვრული სახეები გადმოგვცემს ავტორის განცდებს, რომლებიც უკავშირდება როგორც ნარსულს, ასევე ანმყოს:

„კლდეს დევებივით წამომართულა  
ციხეები და ნასოფლარები,  
ჩაჰერნებიან მიწას მადლიანს  
მონასტრები და ნასაყდრალები“.

ლექსის წერა, პოეტობა, არ არის იოლი, პირიქით, დიდი ტემირთია, დიდი პასუხისმგებლობაა, დიდი მოვალეობაა. ციცო მაისურაძეს გასიგრძეგანებული აქვს ეს ტვირთი. მან კარგად იცის, რომ პოეტი ანთებული სანთელივითაა, იწვის და ბნელს ასხივოსნებს; იცის, ვისი „გორისაა“, „ვისი ქვაა და ფიქალი“. მის ლექსებში კარგად ჩანს პოეტის მისია, დიდი პასუხისმგებლობა, დიდი მოვალეობა. ვუსურვებ კიდევ მრავალი კრებულის გამოცემას, სუბიექტური განცდის კიდევ უფრო ლამაზი და შინაარსიანი პოეტური სახეებით წარმოჩენას, რითმის და რიტმის კიდევ უფრო მეტ სიუხვეს, მეტ ტრადიციას და ბევრ ინოვაციას.

# პოვიტი

## ციცო მაისურაძე

### უთქმელობამ

ცოტა უთქმელობამ,  
ცოტა სულგრძელობამ,  
თავმოყვარეობამ ამაყმა,  
ამას არ ეწყინოს,  
იმას არ ეტკინოს,  
სიმართლის გასჭირდა დანახვა.  
როცა გვათქმევინა,  
ცრემლი გვაღვრევინა,  
უკადრებელი გვაკადრა,  
მომთმენთ და გულუხვებს,  
მშიშრებს და ყოყოჩებს  
მორჩილთა უღელი დაგვადგა.

### გახსენებად

ნასახლარებზე  
მოგონების გაწვა აჩრდილი,  
თვალანაცრემლი,  
მერმის უმზერს ბედკრული აწმყო,  
დრო კი ბედშავი  
ამ ფურცელსაც გადაშლის მწყრალად,  
ნარსულს დარჩება,  
გახსენებად ფიქრები, მარტო.

## მარტის მზე

მე მიხარია,  
რომ გნახე ისევ.  
შენზე ვფიქრობდი,  
დიდი ხანია.  
ჩვენი შეხვედრა  
შემთხვევა იყო,  
არცა ლტოლვა,  
არცა მანია.  
სველ მიწას სწვავდა  
მარტის მზის შუქი,  
სხივებს ესროდა  
მდელოს ჯიქურად.  
აფარფატებულ  
ცრემლიან იას,  
თავს დაჰნათოდა,  
როგორც შუქურა.  
თავდახრილები  
ვიდექით უხმოდ,  
გაძარცულები,  
წარსულ გრძნობებით,  
სიმძიმედ გვედო,  
ჩვენი ცხოვრების,  
გადაჯაჭული  
მძიმე ხუნდები.

## გაინაცილეთ

ჰა, სიყვარული მომიცია,  
გაინაწილეთ,  
ქარო, ხეებო, კაცნო, მხეცნო,  
მტერს ნუ აცინებთ,  
ჰა, სიყვარული მომიცია,  
გაინაწილეთ.  
აზრი ჭეშმარიტი, გული მტკიცე,  
ზოგს რა აცინებს?  
დარდი, ჭირთა ძლევა, მოთმინება,  
ზოგჯერ გვადიდებს,  
ჰა, სიყვარული მომიცია,  
გაინაწილეთ.

## მონატრეპა

როცა გრძნობა მონატრების, გულს დაშანთავს,  
სულს დაიპყრობს, სევდა ფაფარაშლილი,  
ღამენათევ მტკვარს ჯიქურად გადახედავს,  
თვალს დაატკბობს, მაღლა ზეცის მანდილი.  
მაშინა ვგრძნობ სიყვარულის ძლიერ ძალას,  
რას მიქვია დაშორება, მანძილი.  
სალოცავი ჩემი ყრმობის ილიმება,  
ნელა იწვის ლოცვით სავსე კანდელი.  
ჩერო მიხმობს, მამალ ხოხბის შეყივლება,  
მზისფერ ყანის ტანის ნაზი შრიალი,  
შენ ხარ მიწავ, ჩემი გრძნობის დაღვინება,  
სიყვარულის არნახული ციალი.

## ԹԵՍԵՐԸ

միզգացար դա տան մեծեծա,  
სովորութիւնուս ալու,  
դեպքութու աղմարտութան,  
քամդյ կլճենու սալու.  
շուքը հիմքու Շեմոժրութու,  
մոմայրութեն մացա.  
մենամյալու մերանութու  
մեցեծա սանցլու.  
ամառութեն յարու գոյշրագ,  
ամեցա, քամու նամութեն.  
տյելանցենուս ցուցու նյալու  
ցյուլս ամեռութ ցամութեն.  
սաձմուն პորթու շենուազու  
սգուման, նմոնդա ձալցեն.  
շնացուրաս նածլա եարցեն  
առ մոյիանտ, տացեծու.  
յշութրութ հրճութու ցանութունու,  
ծեծուս յալտաս մացոնցեն,  
սաբուրաս անցու ჭոնցա  
օսեց լուցեն ացորցեն.  
սայցարութ դացուսցենցեն,  
մաջլսա զեգուցու սուտալսա,  
մամուն զեցցեն, ըս ձալա այցեն,  
հիմս մոնաս դա ցուտանսա.  
նաზագ մոնդա ցեամեռորու,  
մոթրուալյ ցանսա.  
դեղուս Շեմդյ ուս ցրտու,  
զոնց մոմլերուս նանսա.

## ხარაულას

კავიანის ციხე-კოშკი  
შორს გაჰყურებს ჭვანას,  
ქონგურები ინახავენ  
ციხის დიად ხანას.  
გვანცას მთიდან მზის ნასხლეტი  
იღვინთება სხივი,  
ცელქ გაზაფხულს შეუხსნია,  
ბუნებისთვის ღილი.  
ზურმუხტის და ქარვის ფერი  
შერევია ერთმანეთს,  
ჩატეხილას ცივი ჩქერი  
გულს ევლება ზედ ბარებს.  
გზად ბილიკი გაწოლილი  
ლორნალისკენ მიღოლავს,  
დახავსული გზა ცვრიანი,  
ფეხებს ურჩად მიღოკავს.  
ნაქოხვარას ისევ დადის,  
სული ძველი, წარსულის,  
ვინ მოთვალა და ვინ უნყის,  
რა დრო არის გასულ.  
სურნელება მთის და ბარის  
ერთმანეთში ირევა,  
ამ სიტურთეს ნეტავ ქვეყნად  
მითხარ ვინ შეელევა?  
კავიანის ციხე-კოშკი  
შორს გაჰყურებს ჭვანას,  
ხარაულას ნაზად უმღერს,  
დედა შვილებს ნანას.

## სუნთქვა ხარ

ჩემი სუნთქვა ხარ, დედულ-მამულო,  
ჩემ წინაპრების სულთა სავანე,  
რამდენი ღამე თეთრად ნატეხი,  
გარიშრაჟამდე ფიქრით ჩავრაზე.  
რამდენი ციხე, ჯილა ნალენი,  
კლდეთა მწვერვალზე ცრემლით მითვლია,  
მკერდზე დამირტყამს მჯილი უსასოს,  
სასონარკვეთილს დარდით მივლია.  
ქარაფზე მძიმედ წაქცეულ ჩრდილებს  
ეალერსება ორგვლივ მიდამო,  
ჩემ ჯიშში ისევ გაჰკივის სისხლი,  
მისთვის სიცოცხლე არ დაინანო.  
სიამაყე ხარ, ჩემო მამულო,  
ჩემ წინაპრების დედავ სამყაროვ,  
ქუჯთა ქალაქო, თუ ნაქალაქო,  
ჩემი ოცნების დიდო ალაგო.  
ქვაბლიანს ხმალო ცაში ნაჭექო,  
ფარო ბარალეთს გრდემლზე ნაჭედო,  
ალბულას მინავ, მინავ ბეშქენის,  
შენ წინაპრების სახელიც გშვენის,  
ჩემი სუნთქვა ხარ დედულ-მამულო,  
დიდ წინაპართა სულთა სავანე.  
შვილებს თამარის ღმერთთან ნავედრებს,  
დაე, გვწყალობდე და გვიფარავდე.

## ჯავახეთი

იქ ჯავახეთს, თრიალეთის,  
ერუშეთის მაღლა,  
როცა სხივი მზის ნასხლეტი  
კაბადონზე ავა.  
ბრიძას მოაფრქვევს, დილის ცვარი  
ქილდასა და აზმანას,  
გულში თბილად ჩაელვრება  
პტენას, ჩუნჩხას, ბალანთას.  
იქ ლამეა, მთვარე ტახტზე  
თავის მეფურ ფერებით,  
ამიტომაც ვერ გაძლები  
სილამაზის ხედებით.  
ხევში ჩქერთა ხმაურია,  
ყიუინია, დაფია,  
თვალს გაახელს გოგაშენი,  
გაიღვიძებს აფნია.  
თუმც ბარალეთს, თოკს, აგარას,  
ჩაფერფლილა ლადარი.  
მურჯიკანს და დამკალოში  
გაცოცხლდება ტაძარი.  
ისტორიის ფესვი სუნთქვს,  
კუმურდოს და ნიალას,  
მტერმა ასე ვერაგულად  
როგორ გაგატიალა.  
იქ ჯავახეთს, ველ-მინდვრები,  
სიოსა აქვს აკლული,  
დილით ლაღად გეგებება,  
ყანა მზით თავწაკრული.

## მაშინ მოვალ

მაშინ მოვალ, როცა ყანებს  
გადაფარავს ღილილო  
და ყაყაჩოს ნაზი კვირტი  
თავს მიუშვერს მზის გულებს.  
როცა მწყერი შენს კალთებში  
შემოსძახებს ქვითკიროს,  
ლაჟვარდი ცა ხელს რომ მოხვევს,  
კენჭიანის ბიბილოს,  
ცეცხლოვანმა ელვის ენამ  
თუნდ ხევებში ირბინოს,  
ან ცელქ სიომ აიწყვიტის,  
ყანა ააბიბინოს.

მაშინ მოვალ მონატრებულს  
დაგასველებ ცრემლებით,  
შენს სიცოცხლეს უფალს შევთხოვ,  
მუხლზე ჩოქვა, ვედრებით.

# პოვის

## გიორგი ხორბალაძე



### ზამთრის სიუჟეტი

ალბათ ყინულებად იქცა ბაიკალი...  
სპორტული ტერმინით - ზამთარი ფორმაშია,  
გახსოვს? - ჩემი გული ხელში ჩაიკალი  
და ეს უცაბედი ლექსი მომაშიე...  
ახლა გვიანია მკერდზე ვაბრაგუნო,  
მჯიდი, დათვისა და ლომის ტორის ტოლი,  
რადგან პირთამდეა დარდის საბარგულიც,  
დარდის ჩემოდანიც - ბრგე და ტურისტული.  
მგონი აღარც მომზონს ზამთრის სიუჟეტი,  
ქალაქს გამუდმებით ათოვს გარე ფლანგზე...  
ჩემი სიყვარულის დიდი ბიუჯეტი  
ერთი ხელის მოსმით ისე გამოფლანგე,  
მარტო ლექსისხელა დარდსლა მივაგენი  
უკვე ამოწურულ რეზერვუარებში,  
იცი, ყველა ტანჯვა არის მონაგონი  
(როცა არა მწამხარ) შენზე უარესი....  
ალბათ ყინულებად იქცა ბაიკალი,  
მე არა, თუმცალა ზამთარი ფორმაშია,  
გახსოვს? - ჩემი გული ხელში ჩაიკალი  
და ეს უცაბედი ლექსი მომაშიე!

\*\*\*

თავზე შემომადნა შუქთა ილუზია,  
ღამე სადაცაა თვალწინ დამიჯდება,  
შენზე გაგიჟება იქნებ ვირუსია?!  
იქნებ ვირუსია შენით გაგიჟება?!

ყინვამ დააკანირა სარკმელს ყველა მინა,  
ტკივილს უდრტვინველად იტანს დარაბები.  
მე დღეს ავად ვარ და მე დღეს შველა მინდა,  
შენ კი ისე ცხოვრობ - ვითომ არაფერი...

იქნებ ჩემი სენი ცოტა გადაგედოს,  
თუნდაც ნახევარი, თუნდაც მესუთედი,  
თორემ ვეღარ მშველის ლექსად ქადაგება,  
როცა შორსა ხარ და სულში მესუთები...

მოდი, გამიპრაზდი თუ არ მეფერები,  
მოდი, სიძულვილი გულში დამახალე...  
ერთი გალიმება თუკი გებევრება,  
ერთი ლიმილითაც თუკი არ მახარებ...

თავზე ჩამომექცა შუქთა ილუზია,  
დილა ფანჯარაზე როდის დამიჯდება?  
შენზე გაგიჟება მართლაც ვირუსია,  
მართლა ვირუსია შენით გაგიჟება...

\*\*\*

ფუჭი სიცოცხლის მგმობი რადაც ვარ,  
შენ კარგად უნყი ჩემო ძმობილო!  
უსაქმურობას ვარჩევ გარდაცვლას,  
როგორც ურემს სჯობს ავტომობილი!

საქმე მართალი, მუხლჩაუხრელი,  
ხოლო შედეგი საყოველთაო,  
სამშობლოსათვის ფიქრი, წუხილი  
უცვლელი გზაა - არვინ მედაოს!

სამშობლოვ ჩემო - მზევ მიწიერო,  
ამქვეყნიურო ჩემო სამოთხევ!  
მე უშენობა შორს მივწიე, რომ  
ერთ დროს შენეულ სივრცეს ჩამოვტყდე!

\*\*\*

ჯერ არც სიყვარული გამქრალა და  
ჯერ არც გულის კარი ჩარაზულა,  
ვნების ჩანავლება მერეც კმარა,  
როცა ცივი ხარ და თარაზული...

ვიდრე გარშემოა ზღვა და მიწა,  
ვიდრე ღრუბლებია ზოგჯერ ცაზე,  
ვიდრე უშენობა გადამიცდა  
ვზრუნავ გადაცდომის მორჩენაზე...

უნდა დაგინყვილდე, თქმა რად უნდა?!  
ხელი ალარ უნდა გავიშვა და  
ფიქრი ათასგვარად გადაბრუნდა,  
ლამის ოცნებებიც გამიშავდა.

არ ვარ რაინდი თუ შევალიე,  
მაგრამ ვცხოვრობ სრული შემართებით,  
ნაცვლად იმისა, რომ შემელიო  
შენდა უნებურად მემატები...

ჰოდა, მე წლები ვერ მაშინებენ  
და გული არა მწამს ჩარაზული,  
არის - რაც გრძელდება მაშინაც კი,  
როცა ცივი ხარ და თარაზული!

\*\*\*

აღარც გეხები და აღარც გეფერები,  
შორი მანძილები ჩვენი საზღვარია.  
ვგავარ დღეგამოცლილ - „ბებერ“ ეფემერიდს,  
აღარც ზრახვები მაქვს უკვე სახვალიო...

ღრუბლებს ჩამოსცვივდა ცრემლთა ნიაღვარი,  
ირგვლივ ყველაფერი მუქად ჩანაცრისფრდა,  
ცივი უშენობის სივრცეს მივეხალე,  
თითქმის თვითმკვლელობის ვდგავარ ჩანაფიქრთან.

მარტო ველოდები უკვე სასწაულსაც,  
ვხედავ, უკუღმართი ბედის მსხვერპლი ვხდები,  
ვიცი, უშენობას ვერსად ვერ წაუვალ,  
რადგან შენით ვცოცხლობ, შენ კი... ვერც კი ხვდები...

აქვე, შორიახლოს ვლანდავ აგონიას,  
წამებს დამითვლიან როგორც ეფემერიდს,  
ხელი შემაშველო რაღაც არ მგონია,  
რადგან თუ გადავრჩი - შემომეფერები...

\*\*\*

შეეშვი ამ ტვინის ჩახვეულ ლაბირინთს  
არევა აქმარე გონებას, ეყოფა,  
აბრუებს ეგ ტანი პირდაპირ ბანგივით,  
კაცები საშენო მზერასაც ვერ ვიყოფთ...

მე უკვე მიყვარხარ საზღვრამდე სიგიჟის,  
დამითმე მაგ გულის სულ ერთი კუთხე და  
გულს გარეთ არ ვეძებ ანგელოსს - შიგ მიზის,  
რომ ვხედავ შენს ღიმილს ზეციურ კურთხევად.

კრიალა ზეცაზე ვარსკვლავთა ჭორფლია...  
იქნებ მთვარის ნაცვლად თავადვე აენთო...  
ვის რაში სჭირდება უშენო მსოფლიო?  
უშენოდ რად გვინდა სამყარო საერთოდ?

საგრძნობლად გამოდი გრძნობებით კავშირზე,  
თორემ გათენებაც პრინციპში ღამეა,  
ბარემ მოექცი ღრუბლების თავში მზედ,  
მიწაზე ხომ მაინც ვნებები ბლავიან...

იქნებ მთვარის ნაცვლად თავადვე აენთო...  
კრიალა ზეცაზე ვარსკვლავთა ჭორფლია...  
უშენოდ ვის უნდა სამყარო საერთოდ?  
ვის რაში სჭირდება უშენო მსოფლიო?!

\*\*\*

სივრცეს მწვერვალებთან ნისლის ნაკვთები აქვს,  
წვიმა დაგვიხატეს თითქოს აკვარელით,  
რადგან ეს წვეთები მინებს აკვდებიან,  
შენ არ მოიწყინო, ჩემო საყვარელო...

არ ღირს დარდებად და ღიმილს ნუღარ იტკენ,  
წვიმას სიცოცხლე აქვს ბევრი მილიონი,  
თუნდაც სიუჟეტის ავტორს უღალატონ,  
თუნდაც, უკანასკნელ წვეთში მიიღიონ...

მაინც სურათია უკვე ყველა ხედი,  
და ჩვენ ამ სურათის ფსკერში ჩავილექეთ,  
გულიც სულ აქ რჩება განა ვერა ვხვდები,  
არის ცხადი, როგორც თეთრზე შავი ლაქა.

მალე გაილევა ეს დღე - სიზმარი და  
მხოლოდ მოგონება, როგორც ჰონორარი,  
მრჩება - ერთადერთი ბედი ჭეშმარიტად,  
ჩემი დასანდური წამით რომ არ არი...

სივრცეს მწვერვალებთან ნისლის ნაკვთები აქვს,  
წვიმა დაგვიხატეს თითქოს აკვარელით,  
რადგან ეს წვეთები მინებს აკვდებიან,  
შენ არ მოიწყინო, ჩემო საყვარელო...

## პარადოქსი

უდავოა, რომ ჩვენი ცხოვრება,  
პარადოქსებით არის ნაშენი,  
ღრმად ჩაგვიხვია სწრაფმა მორევმა,  
არც საჩემომ და ალარც საშენომ.

ვაჭრით მარჯვენას კარგის ამგებებს  
და არ გვახარებს მღერა უჩვენო,  
კეთილზე ხშირად, ვადგენთ ავ გეგმებს,  
გვიჭირს მოყვარეს გული ვუჩვენოთ.

მოჯადოებულ წრიდან გამოსვლა  
გვმართებს, არა ლირს მორევს ჩაყოლა,  
შევწყვითოთ უნდა ბრძოს გზის გამო სვლა,  
თვითონ მიხედავს სტუმარს ჯოყოლა.

და თითქოს ვსუნთქავთ რკინის ბადედან,  
სიცარიელით უფსკრულებს ვავსებთ,  
არ ვაკვირდებით - დავიბადეთ და  
მომავალ მკვდრებად ვიქეცით წამსვე...

გვითრევს შავი და სწრაფი მორევი,  
არც საჩემო და ალარც საშენო...  
ვართ პარადოქსი ჩვენი ცხოვრებით  
და პარადოქსებს მაინც ვაშენებთ...

## ჩვენს შორის დარჩეს...

გახსოვს, მსხვერპლი ვიყავი ერთ დროს, მაგ ინიციატივას?

დღეს ერთმანეთს ვიცავთ და ვეფარებით მკერდებით.

მე რა, რომ, ძვირფასო, ახლაც „მაგოიმებენ“

ხან „ფორმიან კანფეტით“, ხან „პლებეურ ღმერთებით“

ყველაფერი ტრიალებს წრეზე მოჯადოებულ

თანაც, არა თავიდან - უკულმა და ბოლოდან,

მაინც ვარ უფუნქციო, თითქმის მოჯართებული

და რა მოხდა ხანდხან თუკი „დამაბოლებენ“.

არაფერი შავდება და არც რამე თეთრდება,

იმას თუკი ლანძღავენ, ამას თუ სულ აქებენ,

აღარც პროტესტს გამოვთქვამ და არც ბრაზით ვენთები,

თუკი დღეგამოშვებით გამაცუცურაკებენ.

ერთ დროს, ოცნებებისთვის თეთრ ღამეებს ვათევდი,

მახსოვს მსხვერპლიც ვიყავი მაშინ სხვა ინიციატის,

თუმცა, წელი გავიდა სულ მინიმუმ ათამდე,

დღესაც ისე ვიქცევი, ვითომ „მაგოიმებენ“.

ვითომ, ვითომ, ვითომ და მეც ვთამაშობ უმეცარს,

გზაც მქონია ჯანდაბის, მაინც შორს ვართ შამქორთან...

ჩემი სული ნახევრად შეეხიზნა უკვე ცას

ბოლო წლები სხეულიც მის გარეშე დამქონდა.

თუმცა სხვა რამ მაშინებს და ვჩივი სულ სხვა რამეს,

მგონი დავჭამთ ერთმანეთს და არავინ დავრჩებით,

იქნებ მეტი გვეზომა, გადავჭრიდით სანამდე,

სანამ გარე მტრის „შტაბში“, საზარბაზნედ გვარჩევენ.

ყველას ცრუს და მართალსაც, თავგზა ერთად გვერევა,

ამ უთვალავ სიყალბეს ჩემშიც შიში შემოაქვს,

ჩალას პირში თუ ვიღლებთ, არაუშავს, მერე რა,

ვინაიდან ჰაერსაც უკვე ჩალის გემო აქვს.

# პოვის

## ლალი ახალკაცი

დაიბადა ქალაქ გორში 1982 წლის 29 სექტემბერს. დაამთავრა გორის იაკობ გოგებაშვილის სახელობის მე-9 სკოლის ჰუმანიტარული ლიცეუმი.

შემდეგ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

„შიდა ქართლის ხელოვანთა და ლიტერატორთა კავშირის“ წევრია 2012 წლიდან.



## 10 აგვისტო

ერთი წელი გავიდა, - ერთი დიდი სიზმარი და ერთი წლით დაბერდა მთვარეც, - როგორც ბებია, მოდი, ამიყოლიე, გავყვეთ ბილიკს ტაძრისკენ, სადაც ჩემი და შენი ლოცვის ადგილებია. გავირბინოთ ჭიუხი-დაბედებულ კისკისით, მკლავ-მკლავგადაჭდობილი სადაც ტყუპი სერია, გულზე ხელი დაიდე, - შენი ყველა სტრიქონი მისხალ-მისხალ ნაძერნი ჩეგნი თარიღებია... გავიხსენოთ ძველი და ვაფერადოთ ახალი, სულზე ხელი ჩამჭიდე ისე, როგორც გჩვევია და ვეხების ბაკუნით შემოსაზღვრულ გალავანს დავანახვოთ სულები ღმერთთან როგორ თბებიან... გადამხვიდე ხელი და... გავყვეთ ბილიკს ცხოვრების, თარიღებს რა გამოლევს, - ვარსკვლავებზე მეტია, სიცოცხლის და სიკვდილის მარადიულ მიჯნაზე გასავლელი ხიდები საზიარო ბედია!.. ერთი წელი გასულა, - ერთი დიდი სიზმარი, მთვარე და გორიჯვეპი წამო, ისევ გველიან...

\*\*\*

გადადგი ერთი, გადადგი ორი,-  
აჲა, მესამეც...  
მთლი ცხოვრება ვითვლით ნაბიჯებს  
განით და სიგრძით  
და როცა ფიქრი ცოდვა-მადლზე აგვიყოლიებს,  
უფლის წინაშე  
თავს მორჩილად ნეტავ თუ დავხრით?..  
კანდელის შუქზე იწრიტება ჩვენი სიცოცხლე,  
გუმბათის სიღრმე უტოლდება სინაზეს სულის  
და როცა განცდა სიყვარულზე მოჰვავს თოლიებს,  
უმისამართო ბილიკებზე აბა, რა დაგვლლის?..  
გადადგი ერთი, მერე მეორე,  
მოდის მესამეც...  
მთელი ცხოვრება ვმარცვლავთ თითზე  
ნაბიჯებს ბედის,  
როცა განგება ბოლო გზაზე გაგვიყოლიებს,  
თავს თუ მოვიდრეკთ სინანულით  
წინაშე ღმერთის?..

\*\*\*

მოწყენა იცის აბსურდების  
თითებზე დათვლამ,  
მავანთა ზურგებს შემოქცეულს  
ახატავ ღიმილს...  
სიყალბევ, იქნებ გასულიყავ  
სამყაროს გაღმა  
და წუთით მაინც შეშვებოდი  
იღბალზე ჩივილს...  
მოწყენა იცის  
gablevebul სახეთა დევნამ,  
გა--სულ--ერთებულ მონოლოგებს  
აწებებ სიცილს,-

ჩემ გვერდით, აგერ, ჩაიღიმა  
აზრების მკვლელმა  
და ხვალ დაიწყებს მტკურის აღმა სვლის  
დასკვნას და ფიცილს...  
მოწყენა იცის ყველაფერმა,  
მოწყენა იცის!..

\*\*\*

გაივლის დრო და  
ყავარჯნებით გავყვებით ბილიკს...  
აგვედევნება ამ ბილიკზე  
სიმძიმე წელთა,  
სახსრების ტკივილს დავაპრალებთ  
წუხანდელ ქარბუქს,  
მუჭებს მივუშვერთ ერთმანეთის  
ცრემლსა და სევდას.  
საღამოს ჩაით გვიმასპინძლებს  
იანვრის ბინდი,  
მოგონებებით მოვედებით  
ამ მთას და იმ მთას...  
მერე გაწყდება მოგონების ყვითელი ძაფიც  
და მიგვანებებს უძლურება მოხუცთა სიზმარს...  
გაივლის დრო და  
გახუნებულ თვალების ჩრდილში  
გაკრთება ბევრჯერ სიჭაბუქის სილაღე ფერთა,  
სიმარტოვისგან მოჭრიალე ჭიშკარის იქით  
დავეღვენთებით ერთმანეთის უხილავ სევდას.

## კახას

ვჭირდები ღამეს  
და დღეებს უფრო,  
სიკეთის მარცვალს ჩაგდებულს ხნულში  
ვამატებ ჩემი სიცოცხლის წუთებს  
და ვგრძნობ! ღმერთია ამ სიყვარულში.  
ვეყრები ლანდებს  
და ტკივილს უფრო  
პატარა ორმოს დასარგავ ხისთვის  
ვამატებ ჩემი ცხოვრების მიზანს  
და ვმადლობ უფალს ამ ყველაფრისთვის...  
ვჭირდები ყველას  
და შენ ერთს უფრო,  
იქ, ჩვენი სახლის საძირკვლის ძირში  
ვამატებ სულის ყვავილის სითბოს,  
რომ მომავალში, იმ ხვალის მწუხრში,-  
შენ იდგე ყველა ტკივილზე მაღლა,  
შენ იყო ყველა მწვერვალზე დიდი.

\*\*\*

ახლა არა მგონია, მაოცებდეს რაიმე,  
მღელვარების პულსები  
ოცდა+თხუთმეტს მინებდა,  
სულაც აღარ გავძახი - „უი დედაა,“ „ვაიმეე“,  
უმშვიდესად ვუყურებ რეალობის დინებას...  
ახლა უკვე ის დროა, ჩამოვაბა ჰამაკი,  
გვერდს მოვიდგა ფინჯანი -  
სავსე ჭრელი ფიქრებით,  
გავიხსენო, თუკი რამ გულს სიმღერად უგრძვნია,  
დავტკებ ჩემი კახუჩას სასაცილო სიზმრებით.  
ახლა რაღა მაოცებს, გაქრა ყველა დილემა,

მშვიდი თვალით ვუყურებ მლიქვნელების „პარადებს“,  
ველოდები საზღაურს-  
უფლის უწყვეტ დიდებას,  
დავიწყების ტოტებზე ვკიდებ ყველას „ლალატებს“...  
დრო სიმართლეს გარითმავს  
ყველას გულის ნაპირთან,  
დავიწყებას მიეცა - „უიმე“ და „ვაიმე“.

\*\*\*

გული გაუსკდებათ დღეს, ვიცი, ჰიპერბოლებს,  
ისარიც მეცამეტე ხაზთან გაჩერდება,  
ვენას გადაიჭრის ჩემი ისტერიკა  
და სისხლის მაგიერ ლექსი წამოსკდება...  
მთვარეს ხმა ჩაუწყდა, ველარ დამიტირებს,  
ვიცი, დავიცლები ყველა მისხალისგან...  
ცრემლი მეზიზლება, მლაშე სისაძაგლე,  
მინდა, ორგიებმა მკერდი გადამიხსნან.  
შეშლილი წუთები თითებს დამიკოცნის,  
თვალებს გავაპარებ მწველი ჭრილობიდან,-  
უნაზეს მანერებს სიგიურ გადავაქცევ-  
ფრაზებს გავიხსენებ ძველი პირობიდან  
და ყველა ქუჩაზე სიტკბოდ დავიღვრები,  
ქალაქს მომსუყდება ჩემი არესებობა,  
ჭადრებს გადავაწვენ ყოფის სარეცელზე  
და სიყვარულისთვის დროც კი შემომრჩება...  
გული გაუსკდებათ დღეს ვიცი, ჰიპერბოლებს,  
მელანქოლიები ცამდე მომბეზრდება,  
ჭინკებთან ვნებების თამაშს გავაჩალებ  
და... ოფლში გაწუნული დილაც გათენდება.

\*\*\*

ყიფჩალის მუხლებზე ავლესე ხანჯლები,  
მგლის ხახას მოჰვავდა უფსკრული შენამდე,  
მზეს გადავუგრიხე მაჯაზე სხივები  
პირველი სიოს ამორბენამდე  
და თეთრი მანდილით გავკვანდე გრძნობები,  
ქალი და სინაზე გზად დავასამარე,  
ქოჩორა ნაკადულს ავართვი შხეფები  
და მარგალიტებად ვიბწიე დალალზე...  
გამოგეცხადე ვეფხვი პირქუში,  
ანცი ტორებით დილა დავთხაჭნე,  
შემოგაფეთე ელვად თვალები  
მეგონა, თითქოს ამით დაგჯაბნე-  
თუმცალა... ზოგჯერ დნება სტრიქონი,  
რკინაც რბილდება, ტყდება ტოტებიც...  
ერთი ღიმილით დამაყრევინე  
ჩემი ხანჯლებიც, ვეფხვის ტორებიც,-  
გადაანაცვლე ნება და ვნება  
მზერა მზერაში ისე არიე,-  
ისე ჩამტიე თვალის ჭრილებში,  
რომ გაშმაგებაც კი გაპატიე...  
არის რაღაცა მარად უხსნელი,  
აპოკალიფსიც, ხანჯალიც, ტყვიაც,  
ყიფჩალის მუხლზე ალესილ ხანჯლებს  
ზოგჯერ უნაზეს მანერად თვლან...  
აღარ მოჰვავდა უფსკრულებს გზები,  
ვებრძოდით ორნი გრძნობებს შლეგიანს  
და სინაზულად გვწვდებოდა ხმაში  
შეხვედრა გვიან... სიკვდილზე გვიან!

\*\*\*

დავხატე სამყარო-ოცნების ფერებით,  
უსაზღვრო სივრცით და კამკამა წვეთებით...  
უცნაურ პოზებით, მეტამორფოზებით,  
გიუი პოეტებით, თავნება ცხოვრებით.  
დავხატე თითებით, თვალებით, ზმანებით,  
ჭრელი მაქმანებით, შფოთვით და წვალებით,  
სიტყვების ჭენებით, ფრაზების რკალებით,  
ანცი გახელებით და მაჭახელებით...  
დუღს ჩემი სამყარო - გადადის ნაპირებს,  
დავხატე ოცნების ნანატრი ფერებით,  
გელათის ფრესკებით, იყალთოს კედლებით,  
გრემის დაბერებით და ქართლის ველებით...  
დავხატე სამყარო და - მხოლოდ ჩემია  
ოცნების სახლი და მყუდრო ნაპირები,  
დავხატე სისხლით და ცრემლების ტევრებით,  
სიცოცხლის ჩქეფით და მანავის მტევნებით  
და ვხატე სიმღერით,  
როკვით, ხან სინაზით,  
ხან გულის გასკდომით,  
ხან ლოცვად დადგომით,  
უკიდეგანო გრძნობების სიუხვით,  
ხან ნაკადულებით, ხან კლდეთა ჭიუხით...  
დავხატე სამყარო - გიუმაჟი ბოჰემა  
იმედის უდერებით, ჩემეულ ტემპებით,  
უცნაურ პოზებით, მეტამორფოზებით,-  
სულის გრადაციით და ჩემი ლექსებით...  
დავხატე სამყარო - ოცნების ფერებით.

\*\*\*

ისეთი სიმდიდრის პატრონი ვარ,  
გული ყელში მაქვს მოპჯენილი სიამაყისგან...  
ისეთი ლურჯი ზღვის პატრონი ვარ,  
არ განსხვავდება მისი ტალღები იალალისგან...  
ისეთი ვაზი ღელავს ზვარში, რა შეედაროს,-  
აქ ღვინობისთვეც სხვაგვარია დასაბამიდან,  
ისეთი ჯვარის პატრონი ვარ, ისეთი რწმენის,  
ქარტეხილთაგან გამოლწეულს საუკუნიდან...  
ისეთი ქალის პატრონი ვარ, - ხმალ-აკვნიანის,  
მტერს შიშის ზარს სცემს მისი მზერაც, დალალ-დაწნულის,  
ისეთი ხვავის პატრონი ვარ, ყველა კოკიდან  
ნაკადულივით მორაკრაკებს ალადასტური...  
ისეთი ყანა ღელავს მზეზე, - ისეთი ოქრო,  
მეტი სიმდიდრე რა მქონია მამა-ღმერთისგან,  
ისეთი სისხლი მამოძრავებს, ისეთი გენი,  
გმირ წინაპრების ხსოვნისა და უკვდავებიდან...  
ისეთი ზეცის პატრონი ვარ, ისეთი მიწის,  
დილა თენდება ჩემი ტაძრის გუმბათებიდან,  
რაღა ვინატრო, დალოცვილო, ამაზე მეტი,-  
თურმე სამოთხე გიჩუქნია შენი ნებით და...  
ამდენი სიწმინდის პატრონი ვარ, ამდენი მადლის,  
გული ყელს გასცდა მოზღვავებულ სიამაყისგან,-  
მოვა, სიბნელის დამძლეველი დიდი ნათელი,  
ხარი წიქარაც დაბრუნდება იალალიდან...  
ისეთი შვილის პატრონი ვარ, ისეთი ბოკვრის,  
არ მიწერია გადაშენება, უფლის ნებითგან.

## ინტერვიუ

### არაზერია მუდმივი, გარდა საქვეყნო საქმისა

ქალბატონო ნანი–ნანი მას! - ასე მოგმართავთ დღემდე - მინდა ჩვენი საუბარი მადლობით დავიწყო. დარწმუნებული ვარ, ყველა ჩემი თანაკლასელი და თანასკოლელი შეუერთდება ამ მადლობას. თქვენ შეგვაყვარეთ ქართული ლიტერატურა, საერთოდ ლიტერატურა შეგვაყვარეთ და გვასწავლეთ, როგორ დაგვენახა ნანარმოების ხილული თუ უხილავი ხიბლი. სიტყვებს ეფერებოდით ხოლმე.

- რა უნდოდა ეთქვა მწერალს? მახსოვს, პირველ გაკვეთილზე როგორ გაგვიჭირდა ამ კითხვაზე პასუხი. პოდა, ახლა რომ ინტერაქტიულ სწავლებას უწევდებთ, ეგ მასტერკლასი მე უკვე მაშინ, ასპინძის სკოლის ბევრი მასწავლებლის და უპირველესად, თქვენს გაკვეთილზე გავიარე. თქვენ დატოვეთ კვალი ასპინძის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ცხოვრებაში და დაიმსახურეთ მათი სიყვარული. მადლობა ამისათვის.



#### რამდენიმე შეკითხვას დაგისვამთ, თუ ცოტა დროს დამითმობთ!

დრო ისე იწელება ჩემო კარგო, სიბერეში, როგორც ახალგაზრდობაში გარბის... ნეტავ შემეძლოს მისი გამოყენება. ვზივარ, ფეხები არ მემორჩილება და ვერ ვმოძრაობ. ფიქრის მეტი რა დამრჩნია... მიხარია, რომ გახსოვართ ყოფილ მოსწავლებს.

თქვენ ლამის მთელი თქვენი შეგნებული ცხოვრება ასპინძის სკოლაში მუშაობდით, შეგიძლიათ გაიხსენოთ, როგორ დაიწყო თქვენი პედაგოგიური მოლვანეობა?

წარმოშობით წალენჯიხელი ვარ. დავიბადე 1937 წელს. მამა რაიკომის მდივანი იყო ყველაზე ძნელ - 1936-1943 წლებში. შემდეგ სოხუმში გადაიყვანეს, ახლა მერია ჰქვია, მაშინ ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, ბინაც მოგვცეს მაშინვე და მეორე ქალთა სკოლაში დავიწყე სწავლა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ერთი წელი ვიმუშავე ჩემ სკოლაში - სოხუმის მეორე ქალთა სკოლაში ქართულის მასწავლებლად. გამიშვეს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე თბილისში. იქ გავიცანი ჩემი მეუღლე შალვა თარხნიშვილი-ახლობლებთან იმყოფებოდა. მერე მოხდა ასე და ასპინძაში დავმკვიდრდით. ორივე სკოლაში ვმუშაობდით. 1961 წელს ასპინძის ინტერნატში დავიწყე მუშაობა, 1962 წლიდან 2013 წლამდე კი ასპინძის სამუალო სკოლაში ვმუშაობდი - ქართულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლიდი ასპინძელ ახალგაზრდებს.

### გაგიჭირდათ ალბათ თავიდან... უცხო გარემო... უცხო კოლექტივი...

ნამდვილად უცხო გარემო დამხვდა: ბუნება, ხალხი - ყველა-ფერი განსხვავებული იყო. ცოტა სხვაგვარი განწყობაც დამხვდა კოლეგების მხრიდან. საქმე იმაშია, რომ განათლების განყოფილების გამგე ჩვენი ოჯახის ახლობელი გახლდათ, ვასილ თამაზაშვილი. სკოლაში ჩემ გარდა სამი ფილოლოგი მუშაობდა - საუკეთესო სპეციალისტები ყველა. ჩემი მისვლა მაინც პროტექტორს მიანერეს და ეს პატარა გოგო პირდაპირ მეთერთმეტე კლასში შემიშვეს აქაოდა, რაკი ასეთი ნდობა გამოუცხადეს, რომ რაიონული ცენტრის საშუალო სკოლაში მიიღეს მასწავლებლად, დაამტკიცოს კიდეც, რომ ამისი ღირსიაო. სერიოზული გამოცდის წინაშე დავდექი: ბიჭები იყვნენ იმხელა, თავზე დამცქეროდნენ. ტანად მორჩილი გახლდით და ამ 36-მა მოსწავლემ და თან „მნელმა“ კლასმა ცოტა დამაფრთხო. ტარიელ გელაძევილი, ოთარ გოგოლაძე, დები დათიაშვილები, ციური ფოცხვერაშვილი, ტრისტან ბერიძე, ნაზი მურადაშვილი, ზაურ ხუციშვილი... გონიერი ბავშვები აღმოჩნდნენ. ერთ კვირაში მითხრა ბატონმა ვასილ თამაზაშვილმა მადლობა - მასახელეო. თურმე დირექტორს - კოლია დიასამიძეს უთქვამს, ეს 36 ბავშვი გასუსული უსმენდაო... დაუყურადება. იცოდა ასე დიასამიძემ. სიტყვამ მოიტანა და ასეთი დირექტორი სკოლას არ ჰყოლია. იცოდა კოლეგის თანადგომაც, მომთხოვნი და მკაცრიც იყო, უპირველესად, საკუთარი თავის მიმართ და მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიმართაც, რათქმა უნდა. რაც მთავარია, ჰქონდა კარგი კადრის მოზიდვისა და

შენარჩუნების უნარი. მართავდა სკოლას და ყველა გვერდში ვუ-  
დექით. ნამდვილი პედაგოგი იყო...

ამ დროს სკოლაში რუსული ჯგუფიც იყო, 6 მოსწავლე სწავ-  
ლობდა - ლიზა ლუკაშოვა, ლუბა გლუხოვა, ვასილიევები, გულო  
თამაზაშვილი... მათ გერმანულსა და რუსულსაც ვასწავლიდი. პირველ წელს, ასე რომ ვთქვათ, შემიკუნინეს საათები. მერვე  
კლასის შემდეგ ეს კლასი დაიხურა. მინდა ვთქვა, რომ მე თავი-  
დანვე დავიმკვიდრე თავი კოლექტივში. პირველივე წელს მივხვდი,  
რომ სწორია გამოთქმა - „მესხი სწავლითა ქებული“. ერთი წელი  
სოხუმშიც ხომ მქონდა ნამუშევარი, ვერ შევადარებდი ბავშვებს.  
ხომ ე.წ. „ძნელ“ კლასში მოვხვდი, ისეთი გონიერები და სწავლას-  
მონურებულნი იყვნენ, რომ არ გამიჭირდა მათთან ურთიერთობა.  
მათი შემდგომი კლასი იყო მერაბ ბერიძის კლასი. არ დამავიწყ-  
დება, საწყალ ნუგზარ ბერიძესთან ერთად იჯდა. ორივე კარგად  
სწავლობდა. მერაბი მაინც დღემდე მახსოვს, არ დაკმაყოფილდე-  
ბოდა მხოლოდ ახსნილით, აუცილებლად ინტერესდებოდა. კიდევ  
რა წაეკითხა დამატებით ახსნილ საკითხზე. შეკითხვები ჰქონდა  
მუდამ და მეც ვცდილობდი მზად მქონდა პასუხი. ქალბატონ  
ნინო მაღრაძის კლასში იყო, ის იყო ქართულის მასწავლებელი,  
მაგრამ მეც მინევდა ხოლმე შესვლა მათ კლასში. პედაგოგები დიდ  
მომავალს ვუწინასწარმეტყველებდით. აქვე ვიტყვი, რომ კიდეც  
გაამართლა ჩვენი იმედები. ამას, რაც მერაბმა ამ მხარისათვის  
გააკეთა, მხოლოდ მამულიშვილი თუ შეძლებდა. უნივერსიტეტმა  
შეცვალა ჩვენი მხარის სტატუსიც, მდგომარეობაც, მნიშვნელო-  
ბაც, ეს დიდი საქმეა.

**ბევრი მოსწავლე იყო მაშინ ასპინძის სკოლაში, დღეს ნამდვილად  
სხვა სურათია...**

დიახ, თითქმის ყოველ წელს სამი პარალელური კლასი იხსნე-  
ბოდა და 30- 35-ზე ნაკლები არც ერთ კლასში არ გვყოლია. საერ-  
თოდ შემცირდა მოსწავლეთა რაოდენობა. ხიზაბავრის სკოლა  
რაიონში ერთ-ერთი გამორჩეული იყო მოსწავლეთა რაოდენობით,  
წელს 4 პირველკლასელი ჰყავდათ. ასეა სხვა სოფლებშიც. ჯერ  
ერთი შობადობის მაჩვენებელმა იკლო: სამზე ნაკლები შვილი ცო-  
ტას ჰყავდა ადრე, ახლა ცოტას ჰყავს სამი შვილი. მეორე - იმატა

ახალგაზრდების გადინებამ. ყველას ქალაქში უნდა ცხოვრება, უკეთეს პირობებს ეშურება, ძირითადად, ახალციხეში სახლ-დებიან, თბილისში მიიჩევს ახალგაზრდობის უმრავლესობა. სულ მინდა ვუთხრა მათ: მოდით, აქ შექმენით ის ფუფუნება, თუ კომ-ფორტი, რაც იქ, დიდ ქალაქებში გეგულებათ. ამოუდექით ერთმა-ნეთს გვერდში და ერთად შეიქმნით ლამაზი აწმყო და მომავალი. ძვირფასი ენერგია იხარჯება სასაცილო ურთიერთდაპირისპირე-ბებსა და კინკლაობაში. მერწმუნეთ, არაფერია მუდმივი, გარდა საქვეყნო საქმისა.

თქვენ ბევრს შეაყვარეთ მასწავლებლის პროფესია. თქვენ თვი-ოონ როგორ აირჩიეთ პროფესია? სად მიიღოთ განათლება, ვინ იყო თქვენთვის ყველაზე გამორჩეული მასწავლებელი?

როგორც ვთქვი, სოხუმის ქალთა მეორე სკოლაში უსწავლობდი. მყავდა უშესანიშნავესი ქართული ლიტერატურის მასწავლებელი-ნათელა შელეგია. მისი სიყვარულით გადავწყვიტე, რომ აუცილებ-ლად ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გამოვსუ-ლიყავი. ის ქალბატონი იყო პედაგოგის ეტალონი ჩემთვის. ძალიან ახლოს იყო თითოეულ ჩვენთაგანთან და მახსოვს, საკონტროლო წერებისათვის როგორ სერიოზულად გვამზადებდა. 1960 წელს დავამთავრე სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. ინსტიტუტშიც საუკეთესო ლექტორები მყავდა - ვახტანგ ვახანია, აკაკი მანჯგა-ლაძე - ქართული ენის საუკეთესო მცოდნე, შალვა ჩხარტიშვილი, დავით თევზაძე - თავდაცვის მინისტრი რომ იყო, მისი მამა - ჩვენი დეკანი იყო... საუკეთესო ინტელიგენცია იყო მაშინდელ სოხუმში. ბეჭითი სტუდენტი ვიყავი. სტალინურ სტიპენდიას ვიღებდი. მახსოვს, მიხარიდა - დედა 80 მანეთს იღებდა ხელფასს, ჩემი სტი-პენდია კი 120 მანეთს შეადგენდა...

თქვენი ქართულის გაკვეთილი ერთი მსახიობის თეატრს ედ-რებოდა, არ დამავიწყდება ის აღმაფრენა და ერთგვარად საზეიმო ამაღლებული საუბარი მწერლობასა და პოეტებზე, მათ ნანარმოე-ბებზე. ეს გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მაშინდელი, ცენზურა-გავლილი სახელმძღვანელოები გვთავაზობდა. ახლა მეტი მისა-წვდომობაა სასწავლო მასალაზე, როგორ ახერხებდით ამ მასალის მოძიებას?

გვიჭირდა, რა თქმა უნდა. ვიძიებდით მასალებს ძველ გაზე-თებსა, თუ უურნალებში. რაც ჩემი ლექტორებიდან მახსოვდა და შევიძინე, ის ცოდნა და ყოველდღიური გამოცდილება მეხმარებოდა, შემდეგ წლებში განათლების სფეროში სხვადასხვა თანამდებობაზე მომინია საქმიანობა და ყოველთვის მივდევდი სიახლეებს სწავლების პროცესში, სხვანაირად ვერ განვითარდება პედაგოგი და ვერც მოსწავლეს მისცემს საჭირო განათლებას.

ოთხი ქართულის მასწავლებელი ვიყავით სკოლაში: ეთერ ცერცვაძე, ნინო მალრაძე-ქემოკლიძე, კატო მელიქიძე და მე. ყველა ჩვენგანი. მაღალი პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობით ვხასიათდებოდით. სულ მეამაყებოდა, რომ ასპინძის სკოლა რეგიონის სკოლებში ყოველთვის გამოირჩეოდა. შემოქმედებითი და პროფესიული ზრდა გარდაუვალიც იყო – სულ ცოცხალი პროცესი იყო საგანმანათლებლო სისტემაში: ტარდებოდა სასკოლო ოლიმპიადები, შემოქმედებითი კონფერენციები, ყოველთვის დამყავდა მოსწავლეები, აქტიურად ვმონაწილეობდით ყველა ღონისძიებაში. არ დამავიწყდება, ერთ-ერთ რეგიონალურ ოლიმპიადაზე შენ დაწერე „ქალთა სახეები ვეფხისტყაოსანში“. ახალციხეში ტარდებოდა ტური. კოლეგებს ვატყობდი, რომ მაინცდამაინც არ გაეხარდათ ასპინძის სკოლის უპირატესობა და არ აპირებდნენ ნაშრომის მაღალ ნიშანზე შეფასებას. შემოიარა განათლების განყოფილების გამგემ - ბეგლარ ახვლედიანმა. საოცრად ობიექტური და პრინციპული ადამიანი იყო. მე მივაწოდე შენი ნაწერი, გთხოვთ, გადახედეთ მეთქი. გადაიკითხა და ეკითხება ახალციხელ პედაგოგს, წამყავან სპეციალისტს - რა მდგომარეობაა, რამდენი ხუთიანი იწერებაო. ის პასუხობს - უმაღლესი შეფასების დაწერას არც ერთ ნაშრომზე არ ვაპირებთო. ბატონი ბეგლარი კი: ერთ-ერთი ასეთი ნაწერი უკვე მე მიჭირავს ხელშით. ცაში აფრენასავით მახსოვს ეს გახარება. ამით ვცხოვრობდი - სკოლა, მოსწავლეები იყო ჩემთვის შეება იმ ძნელი ყოფისგან, რაც უფალმა მარგუნა.

ოლიმპიადა ახსენეთ და მახსოვს, თბილისში ღონისძიებებზე ნასვლა თავისთავად გულისხმობდა, რომელიმე თეატრის სპექტაკლზე დასწრებას. „ხანუმა“ გახსოვთ?, როგორ იპროლეთ ბილეთებისთვის... როცა ტელევიზიით გადმოსცეს ეს სპექტაკლი,

მამაჩემი გაოგნებული მეკითხებოდა, ასე ზუსტად როგორ მოგვიყევი, როგორ დაგამახსოვრდათ. ფეხზე ვიდექით, მახსოვს. ეს ჩემთვის პირველი სპექტაკლი იყო და დიდი შთაბეჭდილებით დავბრუნდი.

კი, მასოვს. პრემიერა იყო და თეატრის დირექციამ წყალი გადამიწურა - ბილეთები წინასწარ იყო გაყიდული. ერთი ამბავი ავტეხე - მოსწავლეები ამ სიშორიდან ჩამოვიყვანე, თბილისელები სხვა დროსაც ნახავენ ამ სპექტაკლს, მე სადღა მოვიყვან ამათ სვალ და ზეგ-მეთქი. ჯერ ძალიან გამიძალიანდნენ, შემდეგ მოვიშველიე სამცხე-ჯავახეთიდან ვარ და უარს როგორ მეუბნებით, მინდა ვაზიარო ბავშვები თეატრის სიყვარულს და როგორ ავუხსნა, რომ არ გვიშვებთ თეატრში-მეთქი. გამოიტანა ადმინისტრატორმა ე.ნ. კონტრამარკები და ამით შეგვიშვეს, იმ პირობით, რომ ფეხზე მდგომნი ვუყურებდით გალერეადან. არც ერთს არ წაგინუნენიათ, პირდაღებული უცქერდით. რა მსახიობები, როგორი დადგმა! - არც იყო გასაკვირი. მე კი თქვენს შეხედვაზე ორმაგად გახარებული ვიყავი. ასე დავესწარით „ხანუმას“ პრემიერას. სხვა დროსაც ხან ცირკში, ხან სხვადასხვა თეატრებში, მუზეუმებში მიმყავდა ხოლმე კონკურსებისა და ოლიმპიადების შემდეგ მოსწავლეები. ოპერაშიც მყავდნენ. მინდოდა შემევსო მათთვის სიცარიელე და ენახათ ის, რასაც ასპინძაში ვერ ნახავდნენ. მაშინ ბევრს უყვარდა წიგნი, თეატრი... სხვა დრო იყო, სხვა დამოკიდებულება. სხვადასხვა თეატრები ჩამოდიოდნენ კიდეც ასპინძაში, სტადიონზე მართავდნენ სპექტაკლებს, რომ ყველას შეძლებოდა მათი ნახვა. ახალციხის თეატრი ხომ ყოველთვის პრემიერით გვეწვეოდა ხოლმე.

**მოსწავლეებს ახარებდით და თქვენი ასეთი მონდომება ალბათ სათანადოდაც ფასდებოდა.**

პირველი ჯილდო, სამკერდე ნიშანი - „სახალხო განათლების წარჩინებული“ სწორედ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ინიციატივით გადმომეცა, შემდეგში მიღებული მაქვს ღირსების მედალი და ღირსების ორდენი. თუმცა ყველაზე დიდი ჯილდო ჩემთვის ჩემი მოსწავლეების წარმატებაა.

ახლა, როცა მეც კარგა ხნის სტაუი მაქვს პედაგოგად მუშაობისა, ვხვდები, რომ ესაა რთული და ამავე დროს საპატიო პროფესია, მე თქვენგან - ჩემი მასწავლებლებისა და ლექტორებისგან საგზლად გამოტანებულ სითბოს აგერ უკვე ოთხი ათეული წელია ჩემს მოსწავლეებზე გაცემ. უმეტეს შემთხვევაში ეს მიზანდება კიდეც, ყოველ შემთხვევაში მოგვიანებით მაინც. თქვენ როგორი მოსწავლეები გახსოვთ მხოლოდ ბეჯითები?

რაც მუშაობა დავიწყე, ყოველ წელს მყავდა გამოსაშვები კლასი. დაბალ კლასებში არ მიმუშავია. სწავლის პროცესი ისეთია, რომ ტაშს არასდროს ველოდებოდი, მაგრამ ბევრი მადლიერი მოსწავლე მყავს. უფრო სწორად, ისე მიხარია, მათი წარმატება, რომ ამას შრომის დაფასებად და მადლიერებადაც ვუთვლი. მორიდება და კრძალვა სულ ჰქონდათ ჩემდამი მოსწავლეებს, მაგრამ არ მაგონდება სერიოზული კონფლიქტი, ან ურთიერთობების გართულება. მახსოვს ბევრი არაბეჯითი, მაგრამ გამორჩეულად საყვარელი მოსწავლეებიც, მაგრამ გონიერებას და სწავლისადმი მისწრაფებას ვაფასებდი და ვაფასებ ყოველთვის - ბეჯითი მოსწავლეები გაცილებით ტკბილად მაგონდებიან.



## **სკოლიდან წამოსვლის შემდეგ როგორ ცხოვრობთ?**

1969 წლიდან მყავს კერძო მოსწავლეები. ბევრი წარმატებული მოსწავლე მყავს და მყოლია. იმით ვარ ამაყო, რომ არასდროს ამიღია ანაზღაურება თანამშრომლების, მეზობლების, ნათესავების შვილებისგან, ობოლ ბავშვებსაც უფასოდ ვასწავლი დღემდე. ვინც ვინმე ობოლი სწავლობდა თქვენთან, ჩემი მოსწავლე იყო. მერეც ვადევნებდი ხოლმე მათ გზას თვალს. ბევრი დასაქმდა და მიხარია.

ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად, დღემდე მყავს მოსწავლეები. ეს მიმსუბუქებს მძიმე ყოფას. შეიცვალა სწავლი-სადმი დამოკიდებულება, ზოგზე ხშირად მიფიქრია მეთერთმეტემდე როგორ მივიდა-მეთქი, მაგრამ ქართულ ლიტერატურას სხვა ძალა აქვს, თუკი გულს დაუდებენ, ხშირად მთლიანად ჩაეშვებიან ხოლმე მასში.... ჰოდა, მიხარია.

### **ორი შვილი გყავდათ...**

შვილებმა კარგად ისწავლეს. გოგონამ ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა. ვაუი გარდამეცვალა, ქალიშვილი უცხოეთშია, მყავს 3 შვილიშვილი - გვანცამ კონსერვატორია დაამთავრა და გერმანიაში აპირებს სწავლის გაგრძელებას, შალვამ ახალციხის უნივერსიტეტი დაამთავრა, ალიკმა კი ამერიკაში ისწავლა და ახლა საბერძნეთში მუშაობს. მიხარია მათი წარმატებები, მაგრამ ეს ჩემს სიმარტოვეს ვერ შველის.... შალვა მპატრონობს, გვაქვს ურთიერთობა, ახლახანს თვალის ექიმთან ვყავდი. ოპერაცია მჭირდება და ველოდებით გამოძახებას. მუშაობს და მიხარია, რომ კარგი კაცი დადგა.

**მამა თანამდებობის პირი გყავდათ, ასე ვთქვათ, განებივრებული ბავშვობა გქონდათ და უცბად შეეჯახეთ ცხოვრების სიძნელეებს,...**

ათი წელი ვიცხოვრეთ ერთად მე და ჩემმა მეუღლემ. ორი შვილი მყავდა. როცა მეუღლე გარდაიცვალა, ვაუი მეორე კლასში იყო, ქალიშვილი ჯერ არ დადიოდა სკოლაში. დაძაბული მუშაობა იყო საჭირო ორი ობლის გასაზრდელად. მერე იყო და სახლი ვაშენე, ძნელი იყო საერთო საცხოვრებელში მთელი ცხოვრების გატარება. ვიფიქრე, ერთად ვიქნებით-მეთქი და ახლობლების გვერდით შევიძინე ნაკვეთი. მერე კი იმათმა შვილებმა და ჩემებმაც საცხოვრებლად თბილისი აირჩიეს. დავრჩი მარტო ამ ეზო-კარში. ძნელი

ყოფილა სიბერე და მარტოობა. დილის ექვსი საათიდან იწყებოდა ჩემი დღე, სკოლაში წასვლამდე ეზოს და ბოსტანს მივხედავდი, შემდეგ სკოლა-დაძაბული, მაგრამ საინტერესო მუშაობა.... არასდროს მიღალატია საქმისათვის, არასდროს არ დამიყენებია ჩემი პირადი საქმე სამსახურებრივი მოვალეობის წინ. ვფიქრობდი წარმოშობით აქაური არ ვარ და მაინც თავისიანად მთვლის ეს ხალხი-მეთქი და გაცილებით მეტს ვმუშაობდი - თავიდან თვითდამკვიდრებისათვის და შემდეგ უკვე თანამოქალაქების მიმართ პატივისცემისა და თანადგომის გამო.

ჩემი ლალი ცხოვრება ბავშვობაში დარჩა... ცხოვრება რთულია, სიბერე უფრო რთული... ფიზიკურად რომ შემეძლოს, ისეთივე გულმოდგინებით ვიმუშავებდი.

**სოხუმი! ყველა ქართველის მოუშუშებელი ჭრილობა... თქვენთვის განსაკუთრებულად მძიმე მოსაგონარი იქნება...**

1993 წელს მამა გარდამეცვალა, ოქტომბერში დაიწყო ის ორომტრიალი, ასეთი ტრაგედია... არადა, როცა ერთად ვცხოვრობდით, არ იგრძნობოდა დაპირისპირება ქართველებსა და აფხაზებს შორის. სულის ბერვა უნდა ხალხთა შორის ურთიერთობებს... ძნელია ეს ყველაფერი მათთვის, ვინც იქ ყველაფერი და უპირველესად, ბავშვობის მოგონებები და მშობლიური კერა დატოვა. ჩემები ისე წამოვიდნენ სოხუმიდან, რომ არაფერი წამოულიათ, სახლი ისევ დგას თურმე, ტყვარჩელელი ოჯახია შესახლებული. ტელეფონის ნომერი იგივე დაუტოვებიათ და ერთხელ ველაპარაკე კიდევც. პირველივე მატარებელს გამოვყვები, როცა აღდგება-მეთქი მიმოსვლა - ვუთხარი. მიპასუხეს, თუ ჩამოხვალთ, ყველაფერი ისევ ისე დაგხვდებათო. არც მატარებელი გაჩნდა და მეც ვერ გადავაადგილდები, ანი რომც რამე შეიცვალოს... ასეა, ჩემო კარგო. დედა, მამა და ორი ძმა მყავს იქ დაკრძალული და საფლავები - უპატრონოდ მიტოვებული. თუმცა, როგორც ამბობენ, აღარც ღობები აქვთ საფლავებს და აღარც ქვები. გაუქმდა „ქართველების სასაფლაო“ - ასე უწოდებენ აფხაზები! იმ ადგილზე ახალ საცხოვრებულ კვარტალს აშენებენ თურმე.

**ხელახლა რომ მოგეცეთ ცხოვრების დაწყების საშუალება რა გზას აირჩივდით?**

ისევ პედაგოგობას, მე ქართული ენისა ლიტერატურის მასწავლებელი ვიქებოდი აუცილებლად. ქართული ლიტერატურა ჩემი ცხოვრებისეული აზრი და მისწრაფება იქნებოდა ყოველთვის. ახლაც, ჯანმრთელობის გაუარესების გამო სასოწარკვეთილობას რომ არ ვეძლევი, მოსწავლეების დამსახურებაა, ჯერ კიდევ საჭირო ვარ მათთვის, და მიხარია, რომ შემიძლია ისინიც „მოვწამლო“ ქართული ლიტერატურის სიყვარულით და შევაყვარო მშობლიური ენა და ლიტერატურა.

მადლობა ნანი მას, იმისათვის რომ არსებობდით ჩემს ცხოვრებაში და რომ თქვენ ამდენი იშრომეთ ასპინძელი ახალგაზრდების განათლებისა და აღზრდისათვის, ჯანმრთელობას გისურვებთ.

*ინტერვიუერი ლალი ბერიძე*

# თბილისი

## ლეონარდ თომა (Leonhard Thoma)

თანამედროვე გერმანელი ავტორი. დაბადა 1966 წელს აშაფენბურგში (ბავარია). სწავლობდა მიუხედით ლიტერატურასა და ფილოსოფიას. ამჟამად ცხოვრობს ბარსელონაში (ესპანეთი). ასწავლის გერმანულ ენას. 2005 წელს მოინახულა საქართველო, რომელმაც ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე.



## ქალლის სიზმარი

ვალდემარი კედლის საათს უყურებს. ღმერთო ჩემო! უკვე 6 საათი ხდება. მობეზრებული აქვს მთელი ეს ნაშუადლევის შეხვედრები. თავიდანვე ვერ იტანდა. ყავა და ნაცხვარი დორისთან და ჰერმანთან შეინ. ჰერბერტი და საბინაც იქ იქნებიან, რას დააკლდებიან! ბრუნო და ბეატე ხომ თავისთავად. აუ, ეს ცოლის დაქალები! რა საშინელება! ჴო, კიდევ რაიმუნდი, ცოლის პარიკმახერი. ვალდემარს სახლში დარჩენა ერჩივნა, დივანზე წამოწოლა და უბრალოდ უქმად ყოფნა. მოგვიანებით ალბათ გაისეირნებდა კიდეც ცოტას, რატომაც არა? ოღონდ დორისთან და ჰერმანთან ნუ წავიდოდა! „ხომ წამომყვები, ძვირფასო,“ უთხრა ლინდამ სამის ნახევარზე. მარტო ხომ არ გამიშვებ, თანაც დორისმა როგორი გემრიელი ტორტი იცის! ხომ ყოველთვის გსიამოვნებდა?“ ღმერთო ჩემო! ტორტი, ისევ ის ტორტი, შოკოლადის ტორტი. ბრრრ! და ზედ ტკბილი ლიქიორი. ჭერამი და უოლო. ლიქიორი ტორტზე უარესია კიდევ, ტკბილი ლიქიორი თავის დღეში არ დაულევია.

„ასეთი სახით ნუ მიყურებ, საყვარელო, ექვს საათზე ისევ სახლში ვიქნებით. მე კი შევპირდი. სულ ორი საათით, რა გახდა ასეთი?“ უთხრა ცოლმა სამის ნახევარზე. ტუჩები შეიღება და ისევ ბლომად სუნამო დაიფრქვია. გინდა ჭერამი ყოფილა და გინდა ლიქიორი, ფუჰ, ჯანდაბას! „ცოტა დაუჩქარე, ათ წუთში გავდივართ!“

მთავარი ტორტი კი არაა, ტორტს საერთოდ არ შეჭამ, მთავარი ეს ხალხია, რა სიფათები აქვთ. როგორ ლაპარაკობენ, სულ ერთი და იგივე ხალხი, ერთი და იგივე სიფათები, ერთი და იგივეს ლაპარაკი. სულ ერთი და იგივე თექმები: შვილები და შვებულება, შვებულება და შვილები. შვილები სკოლაში, ტენერიფაზე\* არ-დადაგების დროს, რაიმუნდის ახალი საცხოვრებელი მობილე, ჩვენი კლაუსი, ფორტეპიანოს გაკვეთილი, ლენა, least minute\*\*, სებას-ტიანი თავისი ზღვის ავადმყოფობით.

კარგი იყო საბერძნეთში? მშვენიერი, თანაც ძალიან სიიაფეა, ოლონდ ბრუნო გაგვიხდა ავად, ასე არაა, ბრუნო? ასეა, ბეატე. მაიორკაზე რა ხდებოდა?

იქაც კარგი იყო, ცეცხლი ეკიდა ყველაფერს. მაგრად გავირუ-ჯეთ, ხომ მართალია, ჰერბერტ? ჰო, საბინა.

და ასე გრძელდება მინიმუმ სამ საათს. და ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ფოტოების თანხლებით. ასობით ფოტო. ერთი შეხედე!

ჰო, ერთი უყურე! ააა. ვიდრე ყველაფერს არ მოყვებიან შვებუ-ლებაზე და შვილებზე. როცა ყველაფერი ითქმება, იწყება ანეკდო-ტები. ვალდემარი ისევ საათს უყურებს.

ჰო, ექვს საათზე, ჩვეულებრივ, იწყება ხოლმე ანეკდოტები. რა თქმა უნდა, სულ ერთი და იგივე ანეკდოტები. ან, დაახლოებით ერთი და იგივე. მიუხედავად ამისა, ვალდემარს ანეკდოტები მაინც ყველაფერს ურჩევნია.

მაგრამ დღეს არც ანეკდოტები იქნება. დღეს სიზმრების ჯერია. ვინ დაინყებს? ალბათ დორისი. დორისი იწყებს სიზმრის მოყოლას. ყველა მონუსხულივით უსმენს.

\* კანარის კუნძული

\*\* ბოლო წუთს

„მაშ ასე, მესიზმრა, ვითომ მოგზაურობიდან გპრუნდებოდით. არაჩვეულებრივი მოგზაურობა გვქონდა, მაგრამ რა თქმა უნდა, შინ დაბრუნება მაინც გიხარია, კარგი შავი პური გენატრება, ძველი მეგობრები, გერმანიის ტელევიზია.“ ყველა თავს უქნევს, ჰო, ჰო, აბა რა. „მივდივარ ფურნეში, მაგრამ სადაა პური? თაროები ცარიელია. ვურეკავ ჩემს მეგობრებს, მაგრამ ყურმილს არავინ იღებს, არავინაა. ვრთავ ტელევიზორს, უკანასკნელი ცნობების საყურებლად, მაგრამ სულ უცხო ხალხს ვხედავ და ერთი სიტყვაც არ მესმის.

„ვაიმეეე,“ იძახის ყველა, „რა საშინელებაა!“

„აბა, რა! და უეცრად ჰერმანი მეუბნება, თურმე ჯერ ისევ კენიაში ვართ. კიდევ ერთი თვე დაგვრჩა! მოკლედ, საშინელება იყო.“

ეს იყო დორისი. ახლა დანარჩენებიც უნდა მოყვნენ თითო სიზმარს. ჯერი ლინდაზეა. აი. ისიც, ვითომ რომელიდაც ოთახში დგას. ან მაღაზიაა, ან ბუტიკი. უეცრად, ვიღაც კაცი მასზე იწევს. ხელში მაკრატელი უჭირავს და საშიშრად გამოიყურება. აი, უკვე სულ ახლოსაა. ლინდა გაქცევას ლამობს, მაგრამ ვერ ინძრევა. პანიკაშია და კივის. კაცს ეცინება და უცბად შიში ქრება. ლინდა იცნობს მას. ეს ხომ...

რა უხერხულია, ფიქრობს ვალდემარი, ჯერ ასეთი სისულელები როგორ უნდა დაგესიზმროს და მერე როგორ უნდა მოყვე? შემდეგ ჰერმანის ჯერია. იგი ყვება რაღაცას საფეხბურთო მატჩის შესახებ. ფინალია რომელიდაც დიდ სტადიონზე. ჰერმანს სამი გოლი გააქვს. მაყურებელი ღრიალებს. აი, ჰერმანი წინ მიინევს და კიდევ ერთი გოლი! ის უკვე დიდი ვარსკვლავია. რას შვრება,? რას ბუტურობს! თან ვინ! ჰერმანი! ლიპი მაინც არ ჰქონდეს გასიებული ლუდის სმისგან.

ვალდემარი სახლში წასვლას აპირებს. მაგრამ ყველა მას მის-ჩერებია მოლოდინით ალსავსე მზერით. ისედაც საშინლად ვერ იტანს ნაშუადლევის მთელ ამ შეხვედრებს და ახლა სიზმარიც უნდა მოყვეს! თუმცა დაიცათ...

„მაშ ასე,“ იწყებს იგი და იდაყვებით მაგიდას ეყრდნობა, „რა გაეწყობა, მაგრამ გაფრთხილებთ. ეს სიზმარი არ გახლავთ, ეს კომიტეტია. ერთხელაც მესიზმრა, ვითომ ძალლი ვარ.“

„ძალლი?“ კითხულობს ყველა.

„დიახ,“ ამბობს ვალდემარი, „მშვენიერი, ჭკვიანი ძალლი ვარ და ლინდა ჩემი პატრონია. ძალიან ამაყობს ჩემით. ამიტომ სულ თან დავყავარ, სამსახურში, საყიდლებზე, პარიკმახერთან, თავის დაქალებთან. ყველა ეუბნება, რომ თვინიერი ძალლი ვარ. ლინდას ამაზე ეღიმება და ამბობს: „ვიცი“ და თავზე ხელს მისვამს, მე სულ მაგიდის ქვეშ ვწევარ და სულ ლოდინი და საშინელი ტკბილეულის ჭამა მიწევს.

ასეა ყოველდღე, უკვე მრავალი ძალლური წელია. მაგრამ ერთხელაც ყელში ამომივიდა. ასე აღარ გაგრძელდება. მორჩია.“

„კარგი ერთი,“ ამბობს ყველა, „მერე რა ხდება“

„ერთხელაც ისევ მის მეგობრებთან მივდივართ. არ მინდა წაყოლა. შინ მინდა დარჩენა, მაინც მივყვები, როგორც ყოველთვის. მაგრამ ამჯერად განსაკუთრებულად მომენტია. არც ანეკდოტებია, ყველა მარტო ლაპარაკობს და ლაპარაკობს და ლაპარაკობს. მე კი იატაკზე ვწევარ და ისევ უნდა ველოდო და ველოდო. შემდეგ მეძახიან. წესით უნდა მივიდე და კიდევ ერთი ნაჭერი ტორტი შევჭამი. იქ, მაგიდის ქვეშ. ვდგები და მაგიდისკენ მივემართები, სულ ნელა, ყველა მე შემომყურებს და ვიღაც ისევ ამბობს: „რა თვინიერი ძალლია!“ მაგრამ ამჯერად არც მაგიდის ქვეშ ვწევები და არც ნამცხვარს ვიღებ. მაგიდაზე ვხტები, თათებით ნაღებში ვეფლობი და ყეფას ვიწყებ, ხმამაღლა და გაავებით. გიჟივით ვყეფ. ფინჯან-საინი იატაკზე იყრება და იმსხვრევა.

„მე პროტესტს ვაცხადებ, ამ წყეული ტორტის წინააღმდეგ, პროტესტს ვაცხადებ ამ მოსახურებული ნაშუადლევების წინააღმდეგ, პროტესტს ვაცხადებ ყავის სუფრასთან ამ თქვენი ჭორაობის წინააღმდეგ, ჩემი პატრონის წინააღმდეგ, მისი საზიზლარი სუნამოს წინააღმდეგ, ამ კრეჭია პარიკმახერის წინააღმდეგ. მოკლედ, მე პროტესტს ვაცხადებ ამ წყეული ძალლური ცხოვრების წინააღმდეგ!“

„ვაიმეე!“ წამოიძახებს ყველა მაგიდასთან მსხდომი.

ვალდემარი წამოდგება და ძლევამოსილად გადახედავს სუფრას, ყველა მას მისჩერებია, ხმას არავინ იღებს. ყველა სრულიად გაოგნებულია. აბსოლუტური სიჩუმეა.

„რა...“ ამბობს ბოლოს ჩუმად დორისი, „რა დაემართა ეს ვალდის? მას ხომ თავის დღეში არ დაუყეფია.“

„არც მაგიდაზე ამხტარა არასოდეს,“ ჩურჩულებს პარიკმახერი, „ყოველთვის ისე თვინიერად იწვა იატაკზე.“ „აბა რა გითხრათ,“ ამბობს ლინდა, არც მე ვიცი, დღეს მთელი დღე მოუსვენრობა ეტყობოდა. იქნებ ავად გახდა. მგონი, სჯობს სახლში წავიდეთ. აფსუს, რა საინტერესო სიზმრები იყო! არა უშავს, მომავალ კვირას ისევ შევხვდებით. მოდი, ვალდი, მოდი დედიკოსთან, ჰოპ!“

## შატალოელი

ზარმა მეორედ ჩამორეკა სკოლის ეზოს თავზე. მოსწავლეთა უკმაყოფილო სახეები, შესვენება დამთავრდა, ჰანა თავის ყავის სმას მორჩა, ხედავდა, როგორ მიაწყდნენ ისევ მოსწავლეები ნაკადებად სკოლის შენობას. მათემატიკის მომდევნო წყვილი გაკვეთილი ედარდებოდა, ყოყმანობდა, აქეთ-იქით იცქირებოდა და უცაბედად გადაწყვეტილებაც მიიღო.

„უჩემოდ“, დაასკვნა მან, რაც გინდათ, ის გიქნიათ, ოლონდ უჩემოდ“. დინების სანინაალმდებოდ გარბოდა, გადაღმა ველო-სადგომისაკენ. არაფერიც არ მოხდებოდა, თუ ახლა მასწავლებელი გამოჩენდებოდა და რამეს ეტყოდა, თავი ასტკივდა და სასწრაფოდ სახლში უნდა წასულიყო. თავის ტკივილს, როცა უნდოდა მაშინ მოიგონებდა ჰანა. თვრამეტი წლის ასაკში ეს პრობლემას აღარ წარმოადგენდა. ხვალ სამდივნოში შეივლიდა, გაცდენის ფურცელს შეავსებდა და საქმეც მოკვარახჭინდებოდა.

ჰანა ველოსიპედს შემოაჯდა. ერთი კი გაიფიქრა, თინასთვის ხომ არ გაემხილა, მაგრამ თინას მაინც ვერ აიყოლებდა. ასეთი რამეებისთვის ის მეტისმეტად წესიერი გახლდათ. თინა არასოდეს იპარებოდა შატალოზე. სინდისი მქენჯნისო, ამბობდა სულ. არც გაკვეთილის გაცდენა უყვარდა. სხვა რომ არაფერი, რამდენიმე

კვირაში სიმწიფის საატესტატო გამოცდები ეწყებოდათ. ასეთი შორი ფიქრებისთვის თავის შენუხებას სულაც არ აპირებდა ჰანა. იქამდე ჯერ კიდევ საკმაო დრო იყო. მიუხედავად ამისა, თინა მაინც მის საუკეთესო მეგობრად რჩებოდა. მის გარეშე ჰანას სკოლაში აშკარად უფრო მეტი პრობლემები შეექმნებოდა. მათემატიკა საშინლად უჭირდა.

ეს ნახაზების გარჩევაო. ეს ალბათობის თეორიის ამოცანებიო, რაში სჭირდებოდა მთელი ეს სისულელე? ფრანგული, ხატვა, ისტორია, ესენი კიდევ ჰო, მაგრამ მათემატიკას ვერ იტანდა, მით უმეტეს ფრაულუცთან. ლუცს გაკვეთილი არ გაუშვია, ვინმე დაფასთან არ გამოეძახა, რთული ამოცანები არ ამოეხსნევინებინა და შემდეგ უმკაცრესი ნიშნები არ დაეწერა. ჰანას ორჯერ მოუწია გამოძახება და ორივე კატასტროფით დამთავრდა. დღესაც შეიძლება მისი რიგი დამდგარიყო. არა, ფიქრობდა ჰანა გზაში, ვერ მოგართვით. კი, მაგრამ ახლა საით? შინ აშკარად ვერ დაბრუნდებოდა. დედამისს მისი გაკვეთილების ცხრილი არ გამოეპარებოდა, შინ არც უნდოდა. საშინელი მოწყენილობა იყო. არა, ქალაქში სჯობს, კაფეში, სრულ სიმყუდროვეში. მაშ, სხვა აღარაფერი დარჩა აქედან ათესვის გარდა. ცოტა ხნის შემდეგ ჰანამ კაფე „ზაუერში“ ამოჰყო თავი, „ზაუერი“ შატალოელთა სამალავი გახლდათ. ზედმიწევნით ხელსაყრელი მდებარეობა ჰქონდა: თან სკოლასთან ახლოს, თან ძველი ქალაქის შუქაში კოტად მიმალული. ჰანა უკვე ორ-სამჯერ იყო ნამყოფი იქ, ოღონდ ნაშუადლევს, შატალოს გარეშე. „ზაუერი“ ერთი იმ კაფეთავანი გახლდათ, სადაც მარტოც მშვენივრად შეხვიდოდი, დაჯდებოდი ძველებურ მოხერხებულ დივანზე, იქვე ეწყო გაზეთებიც და ხალხის თვალიერებასაც შესანიშნავად მოახერხებდი. თუ თავისუფალ მაგიდას ვერ იშოვიდი, უბრალოდ ვინმეს მიუჯდებოდი.

ნარევი საზოგადოება დადიოდა, უფრო ახალგაზრდობა, სულ მოსწავლე-სტუდენტობა. მაგრამ ჰანას აქ ყავის დასალევად შემოსული დახვეწილი მანდილოსნებიც უნახავს და ჭადრაკის სათამაშოდ შემოსული პენსიონერი მამაკაცებიც. ხანდაზმული მამაკაცი, ხალხს რომ ემსახურებოდა, თვით ბატონი ზაუერი გახლდათ. რა კაცი იყო! ოფიციანტის ფრაკში გამოწყობილი სხვა ეპოქიდან

გადმოსულს ჰგავდა. მუდამ მომღიმარი, მუდამ თავაზიანი, ძველი სკოლა იგრძნობოდა. მისი მეუღლე დახლს მიღმა იდგა, ყავას ხარშავდა, ნამცხვარს ჭრიდა და ტკბილეულს ყიდდა. მოძველებული დინამიკებიდან საოპერო მუსიკის ხმა გამოდიოდა. არც მთლად ჰანას გემოვნების შესაფერისი, მაგრამ ამ ადგილისთვის რამდენადმე მისაღები იყო.

კაფე დღეს მხოლოდ ნახევრად იყო სავსე ხალხით. რამდენიმე მათგანს სახით იცნობდა ჰანა. სხვა გიმნაზიების მოსწავლეები იყვნენ, მაგრამ ახლა მათთან გამოლაპარაკების თავი არ ჰქონდა. ბატონ ზაუერს პატარა ჩაიდნით ჩაი შეუკვეთა, დახლიდან გაზეთი დაითრია და თავისუფალ მაგიდას მიუჯდა. კედლის საათს მოჰკრა თვალი, თერთმეტს ხუთი წუთი აკლდა. ჩაეცინა. სხვები ახლა აგერ უკვე ნახევარი საათია, ჯერ ისევ ფრაუ ლუციან ისხდნენ კლასში, ალბათობის თეორიის ამოცანებით.

„რა ალბათობაა იმისა, რომ...?“

„წარმოდგენა არ მაქვს, ფრაუ ლუც და სულ ფეხებზე მეიდია!“

ჰანა უკან გადაწვა და ფეხი ფეხზე გადაიდო. დიახ, რა ჯობდა შატალოზე ყოფნას! მარტო იმიტომ კი არა, რომ ორი გაკვეთილით ნაკლები მათემატიკა გექნებოდა. ინტერესს იწვევდა. რაღაც აკრძალულს ჩადიოდი და ეს სიამოვნებას გგვრიდა. ამას ემატებოდა, რა თქმა უნდა, ოდნავ ნიშნის მოგებაც ამ დროს კლასში მსხდომ ძვირფასი თანაკლასელების მიმართ. ისხდნენ ახლა და იზუთხონ თავიანთი გამოცდებისთვის, ამბობდა გულში ჰანა, მე კი აქ ჯდომა და მშვიდად ჩაის დალევა მირჩევნია. თინას რასაკვირველია, უკვე ეცოდინებოდა, რაც მოხდა და ვინ იცის, იქნებ ახლა გულმოსულიც იყო, რომ ჰანამ არაფერი გაუმხილა. იქნებ წამოსულიყო კიდეც. რას იზამ, უკვე გვიანაა. ფრაუ ლუციც აშკარად შეამჩნევდა, რომ დღეს ჰანა აკლდა.

მაინდამაინც დღეს!

„რა ალბათობაა იმისა, რომ დღეს გამოგიძახებთ?!“

„სასწაულად დიდი, მაგრამ სამწუხაროდ მანდ არ ვარ!“

ო, ეს ლუცი! იგი სკოლის ახალი მასწავლებელი გახლდათ, სასწაულო წლის დასაწყისში მოსული, ჯერ ისევ უმაღლესში სწავლობდა, სტაფიორი. მთლად ახალგაზრდა, ასე ოცდაათწლამდე.

არც ისეთი შეუხედავი, მაგრამ რაღაცნაირად მკაცრი, საერთოდ-დაკომპლექსებული. მათემატიკა, მათემატიკა და ისევ მათემატიკა. სხვა არაფერი. სულ საატესტაცო გამოცდებით უწყალებდათ გულს, უფრო მეტი მეცადინეობაა საჭირო, გეგონება, ცხოვრებაში სხვა არაფერი არსებობდა. ვერ იფიქრებდით, რომ ამ ქალს სხვა რამეზეც შეეძლო საუბარი და თავისუფალ დროს სხვა რამი-თაც იყო დაკავებული.

ჩაი მოიტანეს, ჰანამ მოსვა და ხელში გაზეთი აიღო. თავს მართლაც შესანიშნავად გრძნობდა. რამდენიმე სტატია გადაიკითხა დღის პოლიტიკურ მოვლენებზე, შემდეგ ფელეტონიც, ბოლოს თეატრების პროგრამასაც გადავლო თვალი. ჰო, კარგი აზრი მოუვიდა, კვირის ბოლოს ისევ თეატრში წავიდოდა.

რაღაც მომენტში საათს შეხედა. პირველის ნახევარი სრულდებოდა უკვე! რა მალე გასულა დრო! მისი საქმე რომ ყოფილიყო, აქედან ფეხს არ მოიცვლიდა. ისედაც აღარაფერი ჰქონდა ახლა სახერვიულო. თორმეტი საათიდან მაინც ყველას ითხოვდნენ. ეს ახლა შატალოდ აღარ ჩაეთვლებოდა. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ შინ სადილად დედა ელოდებოდა და თუ დააგვიანებდა, მის აუტანელ გამოკითხვებს რა გაუძლებდა. აბა, ახლა შინისაკენ!

ეს მოხდა მაშინ, როცა ჰანამ ფულის გადახდა დააპირა. კართან მდგომ ბატონ ზაუერს ანიშნა. მანაც გამოხედა და თავი დაუქნია, ახლავე მოვალ და გიანგარიშებთო. ამ დროს კარი გაიღო და კაფეში ფრაუ ლუცი იდგა, თვალებით ირგვლივ რაღაცას ეძებდა. ჰანას უნდოდა თვალი აერიდებინა, უნდოდა მაგიდის ქვეშ შემძრალიყო, უნდოდა მიწა გასკდომიდა. მაგრამ თვალი მხოლოდ თავის მასწავლებელზე გამტერებოდა. ამ დროს მათი მზერა ერთ-მანეთს შეეჩესა. თავში ერთდღოულად ათასმა რამემ გაუელვა. გაიქცეს, მაგრამ როგორ? რამე უთხრას? მაგრამ რა? ვერაფერს ახერხებდა, სულ ვერაფერს. მარტო ფრაუ ლუცის მიშტერებოდა სახეში.

„ჰანა, რა ალბათობაა იმისა, რომ ხუთშაბათ ნაშუადლევს, პირველის ნახევარზე ძველი ქალაქის ერთ კაფეში შატალოზე გამოგიჭირე?“

„არავითარი, ფრაუ ლუც, სრულიად არაფერი. ნულის ტოლია, ნული მთელი და ნული მეათედის.“ ჩანდა რაღაც მომენტში როგორ მოეღუძა მასწავლებელს სახე. თვალები მოჭუტა. ზუსტად ისე, როგორც კლასში, როცა ვინმე დაფასთან იდგა და ამოცანის ამოხსნას ჯახირობდა. მაგრამ ახლა ისინი კლასში კი არა, კაფე „ზაუერში“ იმყოფებოდნენ და ჰანას წინაშე მარტო რთული კი არა, ამოუხსნელი ამოცანა იდგა.

ფრაუ ლუცი შეტრიალდა, კაფეში შემოყოლილ მამაკაცს გვერდი უხმოდ აუარა და გარეთ გავიდა. მამაკაცმა გაოცებით გააყოლა თვალი და შეფიქრიანებული უკან გაჰყვა. მათ შემდეგ კარი ნელა მიიხურა. ჰანამ თავი ჩაჰურა. ახლა კი ყველაფერი მორჩა. კი მაგრამ როგორ შეიძლებოდა საერთოდ ეს მომხდარიყო? ერთ-ხელ კიდევ შეხედა საათს. პირველის ნახევარს ცოტადა უკლდა. ცხადია, აქ მოსასვლელად ლუცს ეს დრო სავსებით ეყოფოდა. რა სისულელე მოუვიდა, ცოტა ადრე რომ არ გავიდა.

ახლა ეს სანერვიულო გაუხდებოდა, მაგარი სანერვიულო. აშკარაა, ლუცი ახლა სასწრაფოდ დირქექტორთან დააბეზღუბდა და ისიც ჰასუხს აგებინებდა ჰანას. და ეს არ იქნებოდა პირველი შემთხვევა. თუ ბედმა გაწირა, შეიძლება სკოლიდანაც გაეგდოთ. სკოლის დამთავრებამდე ორი თვით ადრე! და მარტო იმის გამო, რომ აქედან დროზე ვერ გაეტია.

ჰანამ შინ საშინელი ნაშუადლევი გამოიარა. დედამისისთვის არაფერი უთქვამს, ტყუილად ნერვებს აუშლიდა. თინასთან სურდა ლაპარაკი, მაგრამ აქ არ ჰყავდა. ხუთშაბათობით ნაშუადლევს თინა ფორტეპიანოს გაკვეთილზე დადოოდა, საღამოს კი ფრენ-ბურთის ვარჯიშზე.

წიგნის წაკითხვა სცადა, ნებისმიერის, მაგრამ ყურადღება ვერ მოიკრიფა, რამე უნდა ელონა. რაღაც. იმასაც ფიქრობდა, ფრაუ ლუცთან ხომ არ დაერეკა, ბოდიში მოეხადა და ეთხოვა, დირქექტორთან არ დაესმინა, ეტყოდა, რომ ანი მეტს აღარ გააცდენდა და სულ ბეჯითად ისწავლიდა.

ჰანამ სატელეფონო წიგნში მისი ნომერიც კი მოძებნა და მობილურიც მოიმარჯვა, მაგრამ ის მზერა მოაგონდა კაფეში და ვეღარ

გაბედა. საწერ მაგიდას მიუჯდა და მათემატიკის წიგნები ამოალა-  
გა. იქნებ მასწავლებელს კიდევ ერთი შანსი მიეცა. მაგრამ რამდე-  
ნიმე წუთის შემდეგ რიცხვები აემალა. თავში არაფერი შედიოდა.  
წიგნები ისევ დახურა. აზრი არ ჰქონდა.

ვახმად სამზარეულოდან პური გამოიტანა და კვლავ თავის  
ოთახში შეიკეტა. მმობლებმა გაოცებით გააყოლეს თვალი, მაგრამ  
არაფერი უთქვამთ. ჰანა ადრე დაწვა, ძილი არ ეკარებოდა.

ხვალ პირველი გაკვეთილი სწორედ მათემატიკა ჰქონდათ.  
ჰანას სულ ის სცენა ედგა თვალწინ, როგორ გათათხავდა ფრაუ-  
ლუცი მთელი კლასის წინაშე და მერე დირექტორთან ჩააგ-  
ზავნიდა.

იქნებ სჯობდა თვითონ წასულიყო ახლავე დირექტორთან.  
საგონებელში ჩავარდა, რა ამბავი მოეფიქრებინა. ვითომ, მართლა  
გახდა ავად და კაფეში ასპირინი ითხოვა. კი, მაგრამ რაღაც იქ,  
ძველ უბანში? ვთქვათ, იმიტომ, რომ მანამდე ექიმთან შეიარა.  
რომელ ექიმთან? ჰანამ ეს ვერსია უარყო. ტყუილს აზრი არ  
ჰქონდა.

და თუ, ფიქრობდა ჰანა სასოწარკვეთილი, თუ ფრაუ ლუციმა  
სულაც ვერ იცნო იგი, თუ სულაც არ შეუმჩნევია და სულ სხვა  
მიზეზით გაბრუნდა უკან? ან კაფე არ მოეწონა, ან თავისუფალი  
ადგილი ვერ იპოვა? სრული აბსურდია! ფრაუ ლუციმა თვალი  
თვალში გაუყარა და მერე დატოვა კაფე, რადგან აყალ-მაყალს  
მოერიდა. სწორია, იმ კაფეში რა უნდოდა, სადაც შატალოელი  
მოსწავლე იჯდა. ასე მარტივად იყო ეს.

მეორე დილით მთლად ბოლო ჰქონდა მოლებული ჰანას. არც  
იყო გასაკვირი, მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს და ერთმა-  
ნეთზე უარესი სცენები ეხატებოდა თვალწინ.

ერთხანს იფიქრა, სულ არ წასულიყო სკოლაში. ლოგინიდან არ  
ამდგარიყო, საბანი თავზე წაეხურა და ვითომაც აქ არსებობდა.  
დედას ეგონებოდა, ავადააო. მაგრამ იციდა, ეს ვერაფერი გამო-  
სავალი იყო. საქმე უნდა მოეთავებინა. ახლავე, სულერთია რო-  
გორ. აბა, წინ, სირბილით! ადგა, ჩაიცვა, ველოსიპედი გარაჟიდან  
გამოიყვანა და გასწია. თავს ბოროტმოქმედივით გრძნობდა, სამს-  
ჯავროზე მიმავალი ბოროტმოქმედივით. ველოსიპედი სადგომზე

დააყენა. ისევე, როგორც ყოველ დილით, ამჯერადაც წაკადებად მიღიოდნენ მოსწავლეები სკოლის ჭიშკრისკენ. ჰანაც მათ მიჰყვა. ვესტიბიულში ხელებგადაჭდობილი დირექტორი იდგა. ალბათ უკვე საქმის კურსშია, გაუელვა ჰანას. ახლა დამიძახებს და კაბინეტში წამათრევს. „ერთი მითხარით, ფრაუ შოპფ, ...და შემომხედეთ, როცა გელაპარაკებით...“ არა, ფიქრობდა ჰანა, არაფერსაც არ ვეტყვი, სიტყვასაც არ დავძრავ, და არც შევხედავ, არც ერთი წამით...

მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. დირექტორს არც შეუმჩნევია იგი. ჰანამ შვებით განაგრძო გზა. აქეთ-იქით იცქირებოდა. თინა სადღაა? ჩვეულებრივ, ისინი აქ ვესტიბიულში ხვდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს და წაჭორავებასაც ასწრებდნენ. მაგრამ თინა არსად სჩანდა. ერთი სული ჰქონდა, როდის მოუყვებოდა ყველაფერს, რომ სანამ აღელვება გადაუვლიდა, სულ ცოტა ერთი თანამოაზრე მაინც ჰყოლოდა. ჰანა კიბეებს აუყვა. ბოლო კლასები მეოთხე სართულზე მდებარეობდა. საფეხურები ველარ აღია, მაღლა ერთი ღრმად ამოიხსრა და დერეფნის ნელი გავლით მძიმედ მიადგა თავის საკლასო ოთახს.

რამდენიმე თანაკლასელი კარის წინ შეჯგუფულიყო, საუბრობდა და რაღაც ხუმრობაზე ხმამაღლა იცინოდა. თინა მათ შორის არ ერია. ჰანამ გვერდი აუარა მათ და საკლასო ოთახში შეიპარა. ამ დროს დინამიკებიდან ზარის გამაყრუებული ხმა გაისმა.

ბედზე თინა სულ უკან დამჯდარიყო. ამოიხედა და ჰანას ღიმილით მიესალმა. კარგ ხასიათზეა, როგორც ყოველთვის, გაიფიქრა ჰანამ, რა გასაკვირია, მათემატიკა მისი საყვარელი საგანი იყო და ყველაფერში ერკვეოდა. თანაც ის კი არ შეჩერებია გუშინ ლუცს კაფეში. თინას მიუჯდა, ჰაერი ღრმად შეისუნთქა, რომ სხვების მოსკლამდე ამბის მოყოლა მოესწრო.

მაგრამ ვიდრე ჰანა პირს გააღებდა, ოთახში ფრაუ ლუცმა შემოაბიჯა. კათედრას წინიდან შემოუარა, ზედ თავისი მძიმე ჩანთა შემოდო და რამდენიმე წიგნი და რვეული ამოიღო. შემდეგ მოსწავლეებისკენ შემოტრიალდა. მისმა მზერამ რიგებს ჩაუარა, ჰანაზე შეჩერდა და სახე მოეღუშა. ზუსტად ისე, როგორც კაფეში.

ჰანას სუნთქვა შეეკრა. შანსი არაა, ახლა გამიძახებს. იატაკს დააშტერდა და ქარიშხალს დაელოდა.

„დღეს არავის გამოვიძახებ“, მოესმა ფრაუ ლუცის ნათქვამი, „დაფაზე ამოცანას დავწერ და ერთად გავიმეოროთ. თუ ვინმეს შეკითხვები გაუჩნდება, აქვე გავარკვიოთ. საბოლოოდ. აბა, ჩემთან ერთად წერეთ ყველამ.“ ჰანამ შვებით ამოიხედა. ახლა, ალბათ, მისი რისხვა გაკვეთილის ბოლოს დაატყდებოდა თავს და თანაც, ეტყობა, ცალკე, ისიც, თუ ბედი გაულიმებდა.

„ეეე,“ დაიჩურჩულა თინამ, „დღეს რა თავაზიანია? რა ჭირს?“

„ნარმოდგენა არ მაქვს,“ მიუგო ჰანამ ჩუმად, „კი, მაგრამ რა მოხდა გუშინ?“ თინამ გაოცებულმა გამოხედა გვერდიდან ჰანას.

„გუშინ? რა გუშინ?“

„ადამიანო“, ჩურჩულებდა ჰანა, „რას გაიოცე, ვერ დაინახე, შესვენებაზე რომ ავითესე?“

თინას უცბათ ჩაეცინა.

„აა, მივხვდი, შენ რა, გუშინ შატალოზე წასვლას აპირებდი?“

„რას ჰქვია ვაპირებდი,“ მიუგო ჰანამ გულმოსულმა,

„უბრალოდ, გაკვეთილი არ მევასებოდა და მერე...“

„ჰოდა, შატალო არც გამოგსვალია,“ გააწყვეტინა თინამ, „სწორედ მათემატიკა გაგვიცდა. მათემატიკა გაცდა. ამიტომაც.“

„რაო?“ სულ დაიბნა ჰანა, „გაცდა? როგორ თუ გაცდა?“

„იმიტომ, რომ ავად გახდა, ლუცი ავად გახდა, მეტი არაფერი“

„აგად? რა ავად“

თინამ მხრები აიჩერა.

„ლმერთო ჩემო, არ შეიძლება, ერთხელ ლუციც გახდეს ავად. ისიც ხომ ადამიანია, თუ?“

## შეტყობინება

საათს დახედა. აგვანებდა. შინ ცოლი ალბათ უკვე ელოდებოდა და გამომცდელად შემოხედავდა, სად იყავი? ცოლი დარეკვას ვერ მოახერხებდა, ქმარს მობილური არ წაულია. ქალი იმას გამოკითხავდა, რატომ დატოვა მობილური. რამე უნდა ელონა. ახლავე

უნდა დაერეკა, სასწრაფოდ და ეთქვა, რომ აგვიანდებოდა. ამით ცოლს დაამშვიდებდა. ტელეფონის ჯიხურს მოკრა თვალი. შევიდა და ნომერი აკრიფა. რეკვის დროს სათქმელს ეძებდა.

ვითომ საყიდლებზე იყო? მაგრამ რა ჰქონდა საყიდელი?

სავარჯიშოდ? მაშინ სხვანაირად უნდა ყოფილიყო გამოწყობილი. პირველ რიგში ჩანთა მაინც უნდა ჰქონდა ამოლლიავებული ვარჯიშიდან დაბრუნებულს. ცოლი ყურმილს არ იღებდა. ქმარი დაძაბული ელოდა. ზარის ყოველ გასვლაზე სულ უფრო რწმუნდებოდა, რომ ტელეფონს მალე არ უჰასუხებდნენ.

ალბათ ცოტა ხნით ისევ სუბერმარკეტში თუ ჩავიდა, ან სარას-თან გავიდა. ბოლოს ავტომობასუხე ჩაირთო. შვებით ამოისუნთქა. ცოლის თავაზიანი ხმა მოესმა მომდევნო თავაზიანი ტექსტით: შინ არ ვართ, მაგრამ შეგიძლიათ შეტყობინება დატოვოთ. ძლივს, გაიფიქრა მან, ძალიან უნდოდა, ხმის ამ ტონისთვის მარტივად დაეჯერებინა, აქამ და კარგ გუნებაზე ვარ და შენი ზარი ნამდვილად გამიხარდა. „საყვარელო, მე ვარ,“ მოესმა საკუთარი ხმა, „ჯერ ისევ გზაში ვარ, მე... მე ივოსთან შევიარე და ისევ შემოვრჩი. ხომ იცი, ხვალ რამდენიმე კვირით მიემგზავრება და ცოტა ვისაუბრეთ. ახლა თეატრში მივიყვან და მალე მოვალ. დროებით.“

ჩანგალს ჩამოჰკრა. ცოტა ხანს ყურმილი ხელიდან არ გაუშვია. უჰ, ეს წყეული შეტყობინებები. ვერც ვერავის ხედავ და არც არავის ხმა გესმის. თან ლაპარაკი უნდა იჩქარო და შენი ყოველი სიტყვა ფიქსირდება და იწერება, უსაშველოდ. მინის კედელს მიეყრდნო, ყურმილი ხელზე შემოირტყა. ივო, ივო, არც თუ ისე ცუდად გამომივიდა. ივო ორივეს კარგი მეგობარია და არც ერთი იმათგანი, ვისთანაც ცოლი მის იქ ყოფნას გადაამოწმებდა. ამას გარდა, ივო მართლაც მიემგზავრებოდა ხვალ ტურნეში. რამდენიმე კვირის განმავლობაში ისედაც ვერავინ დაუკავშირდებოდა. ქმარსაც სწორედ ეს ანყობდა. ყურმილი დაკიდა და გზა განაგრძო. მაგრად გამოუვიდა, აღარც საყიდლები სჭირდებოდა ალიბად და აღარც ფილმის გამოგონება, არაფრის. მას კარგა ნახევარი საათი დრო რჩებოდა. ივო ხომ უნდა მიეყვანა თეატრში, ბოლოს-დაბოლოს. ლუდის გადაკვრასაც მოასწრებდა, სჯობდა, რომელიმე

გაბოლილ ბარში შესულიყო ნაშუადღევის კეთილსურნელის გასა-ქარად და ნამდვილი მამაკაცური ნაშუადღევის სუნის ასაკრეფად. ცოტა ხნის შემდეგ, შინ დაბრუნებულმა, ნაშუადღევის მოვლენათა მსვლელობას კიდევ რამდენჯერმე გადაავლო თვალი. ივოსთან გადარეკვაც მოსინჯა, არავინ პასუხობდა. ესეც ძალიან კარგი. ჩამობნელდა. ცოლი არსად ჩანდა. ერთ ხანს იფიქრა, შეტყუბინება წაეშალა, იქნებ ალარც იყო საჭირო. მაგრამ დატოვა. ცოლი თუ აქვე სარასთან იჯდა, ქმრის მოსვლის დრო არ გამოეპარებოდა და საცაა შემოუსწრებდა. სამზარეულოში გავიდა, ჭიქა ღვინო დაისხა და სასტუმრო ოთახის სავარძელში ჩაეშვა. ფანჯარაში გაიხედა. ბინდბუნდი იყო. მენამულად ელვარებდა დაისი.

ამ დროს კარებში გასაღების ხმა მოესმა. შესანიშნავია, გაიფიქ-რა მან, ცოლს სახლში მოსვლა დაასწრო. ფსიქოლოგიური უპირა-ტესობა ჰქონდა. ეტყობოდა, ცოლი მართლაც სარასთან იცდიდა, ან - წუთით ესეც გათვალა - ვაითუ, ცოლი კარგა ხანია უთვალ-თვალებდა. სისულელეა, გაიფიქრა მან და სავარძელში მძიმედ იბრუნა გვერდი. დაინახა, როგორ გაიხადა ცოლმა დერეფანში უაკეტი და სარკის წინ ორივე ხელით თმები შეისწორა.

„გამარჯობა,“ უთხრა კაცმა.

ქალი მოტრიალდა.

„ღმერთო ჩემო, როგორ შემაშინე! მეგონა, შინ არავინ იყო. კი, მაგრამ შუქი რატომ არ გინთია?“

„მეც ახლა მოვედი,“ მიუგო კაცმა. ცდილობდა, რაც შეიძლება დიდხანს დარჩენილიყო სიმართლეში, „და ეს წუთია ჩამოვჯექი.“

ქალი ოთახში შემოვიდა, მისკენ დაიხარა და შუბლზე აკოცა.

„კარგია, რომ შინ დამხვდი.“

ფანჯარაში გაიხედა.

„რა დიდებული დაისია!“

ფეხსაცმელები წაიძრო და დივანზე დაეშვა.

„ღვინოს დალევ, საყვარელო?“ ჰკითხა ქმარმა.

ქალმა მაგიდაზე ქმრის ჭიქას მოკრა თვალი.

„კი, სიამოვნებით,“ მიუგო ქალმა.

კაცი წამოდგა და სამზარეულოში გავიდა.

„ხომ არ გშია?“ გასძახა ქმარს.

„არა, თუმცა ჯერ არა,“ უპასუხა კაცმა, თან ჭიქას ავსებდა.

„კეთილი,“ მიუგო ქალმა, „არც მე. მოგვიანებით პასტას მოგიმზადებ“ კაცმა ჭიქა შემოუტანა და ქალს გაუწოდა.

როგორც გინდა. არ მეჩეარება. პასტის მომზადება მეც ვიცი.“

„მე მოგიმზადებ,“ თქვა ქალმა, „მიყვარს პასტის მომზადება. ოლონდ ჯერ არა.“

„აბსოლუტურად გეთანხმები.“

ჭიქები მიჭახუნეს. მცირე ხნით თვალი თვალში გაუყარეს ერთ-მანეთს. არავითარი ეჭვი. არავითარი საყვედური. კაცი შემფოთებული გადაწვა უკან. სულ ცუდს რატომ ფიქრობს. უჰ, ეს მოჩვენებები. აგერ, ცოლი კარებში დგას გულზე ხელებდაჭდობილი. სად იყავი? ყველაფერი გასაგებია, ვიცი, მე მაგის ამბავი, ჯერ თავს შეიკავებს, მერე კი დაგაცხრება.

„დღემ როგორ ჩაიარა, ძვირფასო?“ მოესმა საკუთარი შეკითხვა. ტუჩზე იქბინა. ამით რამ დააწყებინა, იმით გათამამებულს, რომ ჯერჯერობით ყველაფერი შერჩა. მაგრამ როგორმე ხომ უნდა ეპოვნა გამოსავალი? ხელოვნურად რატომ აერიდებინა დღევანდელი დღისთვის თავი. ცოლი მისას ეტყოდა, ესეც შიგადაშიგ თავისას ჩაურთავდა, ივოს, თეატრს და საქმეც მოგვარდებოდა.

„გარეთ ვიყავი, ძველ ქალაქში,“ მიუგო ქალმა.

კაცი შემოტრიალდა და ჩაბნელებულ დერეფანს გახედა.

„კი მაგრამ, რომ არაფერი გიყიდია?“ უთხრა მან.

„ჰო, „გაულიმა ქალმა, „თავი შევიკავე. ტყუილად დავეხეტებოდი.“

„ამ სიცივეში?“

„ჰო,“ მიუგო ქალმა, „მერე ყავის დასალევად შევედი.“

„ყავის დასალევად? მარტო?“

„არა, რატომ?“ ქალი რაღაცას მალავდა.

„სარასთან ერთად, ხომ?“

ქალმა თავი გააქნია.

„სარა აქ არ არის საერთოდ. აგარაკზე წავიდნენ. სხვათაშორის, ჩვენც დაგვპატიუეს.“

„ხომ უარი უთხარი?“

„რა თქმა უნდა, შენც ასე არ გინდოდა, თუ?“

„აბა რა. არც სურვილი მქონდა და არც დრო.“

„მეც ასე ვიფიქრე.“

ერთ ხანს ჩუმად ისხდნენ.

„აბა“ ყავის დასალევად ვისთან ერთად იყავი? “ წამოიწყო ისევ ქმარმა, „ივოსთან ერთად“, მიუგო ქალმა.

„ივოსთან?“

„ჰო,“ უთხრა მან, „გზიდან გადავურეკე. მეგონა, შენც მასთან დამხვდებოდი.“

შეტყობინება! გაუელვა თავში კაცს. წყეული შეტყობინება!

„თანაც ტურნეში წასვლის წინ დამშვიდობება მინდოდა, ცოტა დრო გამონახა და ყავაზე შევთანხმდით. შენთანაც ვაპირებდით გადმორეკვას, მაგრამ კაფეში სულ გადაგვავიწყდა. ნამდვილად ვწუხვარა.“

შეტყობინება. წყეული შეტყობინება.

„ხვალ მიემგზავრება, ამ საღამოს კი სპექტაკლი აქვს.“

„ჰო“, უთხრა კაცმა, „ვიცო“.

წინ გადაიხარა და ლიყაზე ხელები მოისვა.

ქალმა დასალევად გაინია, მაგრამ მაშინვე დადგა ჭიქა.

„რა გჭირს? რა არ შეიძლება ივოსთან ერთად ყავის დასალევად წავიდე? - ხომ არ ეჭვიანობ?“

„არა,“ წარმოთქვა კაცმა წყნარად, „რა თქმა უნდა, არა“

„მეც ასე ვიფიქრე,“ მტკიცედ მიუგო ქალმა და ლვინო მოსვა. შემდეგ წამოდგა და შუქი აანთო.

„არა,“ ჩურჩულით ეუბნებოდა კაცი, „გთხოვ, არ გინდა.“

„როგორც გენებოს,“ უთხრა გაკვირვებულმა ქალმა და შუქი ისევ ჩააქრო. კაცმა წამოდგომა დააპირა, რომ როგორმე ცოლის-თვის დაესწრო ავტომობისუხესთან მისვლა, მაგრამ ქალი უკვე იქ იდგა.

„შეტყობინებებს თუ მოუსმინე?“ იკითხა მან.

კაცმა ფანჯარაში გაიხედა. ჰორიზონტზე მარტო მენამული ზოლილა მოსჩანდა, უკუნი იდგა.

„არა,“ მიუგო კაცმა, „კი,“ მგონი, „არაფერია.“

ქალი ავტომობისასუხისაკენ დაიხარა.

„კი, მაგრამ აგერ „ორიანი ანთია.“

„არაფერია“, სწრაფად მიუგო კაცმა, „ნამდვილად არაფერი.“

„არა უშავს, კიდევ ერთხელ მოვუსმინოთ, “

ქალმა ლილაქს თითი დააჭირა, კაცმა სახეზე ხელები აიფარა.

„ორი შეტყობინებაა,“ იუნიებოდა ქალის სტერილური ხმა, „შეტყობინება ნომერი 1, მიღებულია 17 საათსა და 34 წუთზე პიპ.“

„საყვარელო, მე ვარ, ჯერ ისევ გზაში ვარ,...“

კაცი მოლოდინით აღივსო, მაგრამ სრული სიჩუმე სუფევდა. ახლა მომვარდება, იწივლებს, ჭიქას იატაკზე დააფშვნის. მაგრამ არავითარი. ქალს ეს წყეული ავტომობისუხეც კი არ გამოურთავს. ქმრის უკან, სადლაც სიბნელეში იდგა და ისეთი შეგრძნება იყო, თითქოს ორივეს სუნთქვა შეეკრათ. კაცი მოტრიალებას ვერ ბედავდა. გაოგნებული გაჰყურებდა უკანასკნელ მენამულ ზოლს გარეთ. პიპ.პიპ.პიპ. მოისმა ისევ მაგნიტოფირიდან და სიჩუმე ისევ დაირღვა: „შეტყობინება ნომერი 2, მიღებულია დღეს 18 საათსა და 10 წუთზე.“ პიპ. „გამარჯვობათ, ჩემო კარგებო! ივო ვარ. უკვე შაბათი საღამოა, ექვსს გადაცილდა. სამწუხაროდ, უფრო ადრე ვერ მოვახერხე დარეკვა. დასამშვიდობებლად გირეკავდით, დილით ადრე მივემგზავრები. რომ ჩამოვალ ისევ შეგეხმიანებით, ასე თვენახევარში. ან მანამდეც. დროებით!“

**გერმანულიდან თარგმნა ნუნუ ცხოვრებაძემ**

## ანზორ თამარაშვილი

### გესხური სიმღერის პვალდაკვალ

მესხეთი IX-XII ს-ში განათლებისა და კულტურის ერთ-ერთ ძირითად ცენტრს წარმოადგენდა. IX-X ს-ში მესხეთში ფართოდ გაიშალა ჰიმნოგრაფთა მოლვანეობა. შეიქმნა საგალობელთა მნიშვნელოვანი კრებული, რომელიც შეიცავდა, როგორც ორიგინალურ, ისე თარგმნილ ჰიმნებს. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს X-ს (978-1001) მესხეთში შექმნილი ქართული ჰიმნოგრაფიის დიდიებული ძეგლი ცნობილი ჰიმნოგრაფის მიქაელ მოდრეკილის მიერ, საგალობელთა კრებულის სახელწოდებით. მასში თავმოყრილია წინა საუკუნეების ჰიმნოგრაფიული პოეზიის ნიმუშები მ.შ. გამოჩენილი ჰიმნოგრაფების: იოანე მტბევარის, იოანე მინჩხის, კურდანაის, მიქაელ მოდრეკილის და სხვა.

დიდმა კულტურულმა, ეკონომიკურმა წინსვლამ თანდათან მთელი საქართველო მოიცავა და თავის კულტურული მიაღწია. ამ პერიოდში შეიქმნა ლიტერატურის, არქიტექტურის, სახვითი, ჭედური ხელოვნების და სხვა დარგის დღემდე შემორჩენილი უნიკალური ძეგლები: ვარძია კლდეში გამოკვეთილი ქალაქი, თმოგვი, ხერთვისი, ანური და სხვა. ოქრომჭედლობის და მინანქრის უბადლო ნიმუშები. სამხრეთ საქართველოში მოლვანეობდა მთელი პლეადა გამოჩენილი მწერლებისა, მუსიკოსებისა, პოლოტიკის, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწეებისა. ოსმალეთის თითქმის სამასწლიანმა ბატონობამ დაკინებამდე და გადაგვარებამდე მიიყვანა მესხეთი. დავითყებას მიეცა საგუნდო ხელოვნება, დაიკარგა მრავალი ხალხური სიმღერა, აქა-იქ შემორჩენილი სიმღერები კი სრული განადგურების წინაშე აღმოჩნდა. XIIX საუკუნეში ეროვნული თვითგამორკვევის ჰიმნებში გაიზარდა ინტერესი საქართველოს ამ უძველესი ისტორიული კუთხის მიმართ. მ.შ. ხალხურ შემოქმედებას კერძოდ მუსიკალურ ფოლკლორს.

მესხეთში ძირითადად შემორჩენილია ერთხმიანი სიმღერები, სადაც აშკარად შეიმჩნევა აღმოსავლური მუსიკის გავლენა, მრავალხმიანობის შესახებ კი სემორჩენილია მხოლოდ ცნობები,

რომელთა მიხედვით მესხეთში არსებობდა ორხმიანი და სამხმიანი სიმღერები, მათგან ყველაზე გავრცელებული იყო „სუფრული“, „საქორწინო“, „ისტორიული“, „საფერხულო“ და „შრომის“ სიმღერები.

მესხური სიმღერების შეგროვებისა და გადარჩენის პირველი ცდები ეკუთვნის ამ კუთხის მკვიდრს ივანე გვარამაძეს (1831-1912), რომელიც ცნობილია „ვინმე მესხის“ ფსევდონიმით, იგი თავისი დროის საკმაოდ განათლებული მრავალხრივი მოღვაწე იყო.

70-იანი წლებიდან ბევრი სტატია და ნარკვევი გამოაქვეყნა ამ საკითხზე. მან ბევრი სასიმღერო ტექსტი ჩაწერა – დარბაზისეული ლექსები, რომლებიც თავისი შეხედულებისამებრ დაახარისხა და სათანადო განმარტებაც დაურთო. სამწუხაროდ ი. გარამაძე მუსიკოსი არ იყო და სიმღერის ნოტების ჩაწერა არ შეეძლო.

მესხეთში პირველი მუსიკალურ-ფოლკლორული ექსპედიცია მოეწყო 1930 წელს.

მესხეთს ეწვივნენ კომპოზიტორები: შალვა მშველიძე (ხელ-მძღვანელი), შალვა აზმაიფარაშვილი და თეორეტიკოსი ნიკო ჩიგოგიძე, რომლებმაც შეძლეს მხოლოდ ექვსი ერთხმიანი სიმღერის ჩაწერა. 1949 წელს მოეწყო მეორე ექსპედიცია თბილისის კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კაბინეტის მიერ გრ. ჩხილვაძის ხელმძღვანელობით. ვერ მოხერხდა ვერცერთი სიმღერის ჩაწერა. აღნიშნული ექსპედიციების შემდეგ კარგახნის მანძილზე აღარავინ დაინტერსებულა მესხური მუსიკალური ფოლკლორის საფუძვლიანი შესწავლით. 1961 წლიდან მთელი მონდომებით შეუდგა მუშაობას მესხეთის კვიდრი კომპოზიტორი ვალერიან მალრაძე. 1961-1980 წლებში გამოქვეყნდა კომპოზიტორის მიერ დიდძალი მასალა, რომელშიც განხილულია მესხური სიმღერები თითქმის ყველა ასპექტში. ვ. მალრაძესთან ერთად მესხური სიმღერების აღდგენა გამომზეურებაში მონაწილეობდნენ ლოტბარები: შოთა ალთუნაშვილი და ანზორ თამარაშვილი. ამ ექსპედიციის შდევგად მოიძებნა 50-მდე მოხუცი, რომლებიც უმეტესად ფრაგმენტებს გვაწვდიდნენ. საქმეს ართულებდა ისიც, რომ ბევრს აღმოსავლური სიმღერების მანერა გამოუმუშავდა, ისინი ამ მელოდიებს ამოკლებდნენ აღმოსავლური ინტონაციებით, საქცევებითა და მელიზმებით, ზოგჯერ ისე იყო

შეცვლილი, რომ არაქართული სიმღერების შთაბეჭდილებას ტოვებდა, ამიტომ საჭირო იყო ცალკეული, ჯერ კიდევ არსებული ფრაგმენტული მასალის თავმოყრა და ამ გზით საერთო სურათის აღდგენა.

ვ. მაღაძემ აღადგინა და დაამუშავა 15 მესხური სიმღერას: „მამლი მუხასა“, „ვარძიობა ძიობასა“, „ოქრო მჭედელო“, „სახლო სალხინოდ ნაშენო“, „ოთხი წყარო დის“, „მავლევო“, „საქორნინო“, „ვინ დალევს მარნულ ღვინოსა“, „დარეჯან გაგვითხოვებენ“, „მზე შინადა მზე გარეთა“, „სამნივე შევიყარენით“, „სამყრელო“. „ავთანდილ გადინადირას“ ერთ-ერთი ვარიანტი მე ჩავწერე ასპინძის რაიონში სოფელ ხიზაბავრაში, სადაც მოხუცებმა სოფელ მუსხის მოხუცებთან ერთად (ახალციხის რაიონი), რომლებიც წაყვანილი გვყავდა ხიზაბავრაში, იმდერეს ცეკვასთან ერთად. მე და შოთა ალთუნაშვილმა თითქმის ყველა სიმღერა გამოვამზეურეთ. ამჟამად ამ საქმეს უძლვება ლოტბარი ზაზა თამარაშვილი, რომელიც დიდ საქმეს აკეთებს მესხური სიმღერების პოპულარიზაციისთვის, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. გამოიცა მესხური სიმღერების კრებული და კომპაქტდისკი.

ვ. მაღრაძე მადლიერების გრძნობით მოიხსენიებდა მესს მომღერლებს: მიხა არჩილ და ალექსი ჯვარიძეებს (ჭობარეთი), ლაზარე მჭედლიშვილს, ისიდორე ასპანიძეს (სარო), მათე კოპაძეს, ვანო ასპანიძეს (ვალე), დიმიტრი ბერიძეს (ერკოტა), ალექსი ქურდაძეს, თედორე ოქრომელიძეს, იროდონ და გიგა მაისურაძეებს (მუსხი) და ყველა იმათ, რომლებმაც დღემდე შემოგვინახეს და გადმოგვცეს უნიკალური სასიმღერო მასალა.

### ცნობები მომღერლებზე

№	ადგილი	წელი	გვარი და სახელი	ასაკი
1.	მუსხი		ოქრომელიძე თედორე	73
2.	მუსხი		ქურდაძე ალექსი	69
3.	მუსხი		მაისურაძე იაკობი	68
4.	მუსხი		მელიქიძე გიორგი	55

5.	მუსხი		მაისურაძე გიგა	81
6.	ჭობარეთი		ჯვარიძე მიხა	96
7.			ჯვარიძე მოსე	
8.			ჯვარიძე ალექსი	74
9.			ზედგინიძე ეგნატე	62
10.			გვირჯიშვილი ს.	
11.			ზედგინიძე მ.	
12.			ჯვარიძე არჩილ	64
13.	ვალე		ასპანიძე ვანო	62
14.			კოპაძე მათე	82
15.			ბებნაძე სამსონ	66
16.	სარო		მჭედლიშვილი ლაზარე	
17.			მაღრაძე გიორგი	86
18.	მინაძე		მელიქიძე ირაფონ	68
19.			ზედგინიძე სერგო	74
20.			გოგოლაძე ყარამან	62
21.	ბალანთა		მელიქიძე ვასილ	65
22.	ძველი		ზედგინიძე ლაზარე	74
23.	ანდრიაწმინდა		ინასარიძე ვასილ	75
24.	ივლიტა		გიქოშვილი ეგნატე	81
25.	ხიზაბავრა		ყრუაშვილი სტეფანე	82
26.	უდე		ზაზაშვილი მარგალიტა	71
27.			გზირიშვილი სიმონ	85
28.			მამასახლისაშვილი პეტრე	85
29.			აბულაძე კატო	57
30.	ასპინძა		ბერიძე დ.პ.	85
31.			ბერიძე თედორე	78
32.	ბორჯომი		ბერიძე პავლე	75
33.	წყორძა		ზედგინიძე ლავრენტი	72

# პილატონის იური

## ზურაბ ცუცქირიძე

დაბადებიდან 78 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, კოლორიტულ პიროვნებას, შესანიშნავ კალმოსანს, პედაგოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ზურაბ ცუცქირიძეს. იგი 1941 წელს დაიბადა ხაშურში.

ბატონ ზურაბ ცუცქირიძეს თავისი ცხოვრების მანძილზე რა თანამდებობაზე არ მოუსინჯავს ძალები: 1965 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1974 წელს კი - ლენინგრადის პროფესიული განათლების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპრონატურა. სხვადასხვა

დროს მუშაობდა მე-60 პროფესიულ სასწავლებლის დირექტორის მოადგილედ, სამეცნიერო-პედაგოგიურ უურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქტორის მოადგილედ, პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რესპუბლიკური ინსტიტუტის განათლების მართვისა და ორგანიზაციის კათედრის გამგედ, გაერთიანებული სამსახური აკადემიის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის გამგედ, პედაგოგიკის ეროვნული ინსტიტუტის განყოფილების გამგედ, ილიას უნივერსიტეტის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პედაგოგიკის მიმართულების კოორდინატორად. პარალელურად კითხულობდა ლექციებს საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

1981 წელს ზურაბ ცუცქირიძემ წარმატებით დაიცვა პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. იგი 105 სამეცნიერო ნაშრომისა და 300-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორია. მისი სამეცნიერო შრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მონოგრაფიები: „განათლების თანამედროვე თეორიები“, წამყვანი ქვეყნების განათლების კონცეფციების შედარებითი ანალიზი; „ლექციების კურსი პედაგოგიკაში“ (ორ წარილად), „ლექციების კურსი სამხედრო პედაგოგიკაში“ და სხვ. მისმა სახელმძღვანელომ - „ლექციების კურსი პედაგოგიკაში“ იაკობ გოგებაშვილის პრემია დაიმსახურა.

2001 წელს ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და პუბლიცისტური საქმიანობისთვის ზურაბ ცუცქირიძე ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.



## იაკობ გოგეგაშვილის ფინანსი

„თანახმად იქსო ქრისტეს მცნებისა, მან უარყო თავი თავისი, აღიღო ჯვარი მასნავლებლობისა და შეუდგა მშობელის ერის ღვთის მსგავსებისა და ქვეყანაზე გაბატონების გზაზედ დაყენებას. ბევრი მრომა, ბევრი საყვედური, ბევრი შეურაცხყვა და ბევრი დაბრკოლება განიცადა განსვენებულმა, მაგრამ შეუდრეველად განაგრძობდა მუშაობას მშობელი ერის საკეთილდღეოდ.“

დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე  
1912 წლის 10 ივნისი

ერი თუ განვების მიერ დასაღუპავად არ არის განწირული, უკიდურესი ძნელებელობის უამას უთუოდ მოევლინება გმირი, რომელსაც სასწაულის მოხდენა ძალუძს, მადლობა ღმერთს, საქართველოს ისტორიამ არა ერთი ასეთი გმირი იცის.

XIX საუკუნე განსაკუთრებული პერიოდია საქართველოს ისტორიაში. მეომარი ერი უმრად დამარცხდა და დანებდა უცხო სახელმწიფოს. მეტიც, ამ დამარცხებით მან რაღაც შვებაც კი იგრძნო. სახელმწიფოებრიობის ორიათასწლიანი ისტორიის მქონე ქვეყანა რუსეთის იმპერიის ორ გუბერნიად იქცა და მოხდა პარადოქსული რამ: სახელმწიფოებრიობის დაკარგვა ხალხმა კატასტროფად არ აღიქვა, ამას აშკარად გამოკვეთილი მიზეზი ჰქონდა. საქმე ის არის, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში ეროვნულ სახელმწიფოებრიობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის ქართველობას ბრძოლა უხდებოდა სარწმუნეობრივად მისგან განსხვავებულ სამყაროსთან. ამ პერიანენტულმა ბრძოლამ ხალხის შეგნებაში ერთმანეთს გაუთანაბრა ეროვნული და სარწმუნეობრივი შეგნება, ამიტომ ერთმორწმუნე, მართლმადიდებლური რელიგიის მიმდევარი რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია ღვთის წყალობად ჩაითვალა. რა თქმა უნდა, ისეთებიც იყვნენ, რომლებიც ასე არ ფიქრობდნენ, მაგრამ ისინი იმდენად მცირენანილს შეადგენდნენ ერისას, რომ მათი პროტესტი რამდენიმე ათეული კაცის შეთქმულების ფარგლებს ვერ გასცდა.

რუსეთს არასრული მიწებისა და ხალხების ათვისების პოლიტიკის დიდი გამოცდილება ჰქონდა, რომელიც ერთობ წარმატებით გამოიყენა ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, რუსმა პოლიტიკოსებმა ქართულ ხასიათს სწრაფად აუღეს ალლო და სულ მოკლე ხანში რუსეთის სახელმწიფოს ქართველთა სახით ყველაზე ერთგული ქვეშევრდომი გაუჩნდა. ამის მაგალითად მარტო ისიც იკმარებს, თუ გავიხსენებთ, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ანექსის თერთმეტი წლის შემდეგ, 1812 წელს ნაპოლეონის წინააღმდეგ ოცდაოთხი ქართველი გენერალი იბრძოდა. მერე როგორი გენერლები! მარტო პეტრე ბაგრატიონი რუსეთის არმიის ნახევარ გენერალიტეტს უდრიდა.

გარეგნულმა მშვიდობიანობამ, რომელიც საქართველოში დამყარდა მოადუნა ეროვნული ენერგია და ხალხი რუსულ პოლიტიკას მინებდა. ეროვნულმა თვითშეგნებამ სწრაფად იგრძნო ხრწნა, ხალხი ბეჯითად ივიწყებდა თავის წარსულს.

ისეთი გულმამაცი მეომარი და პოეტი, როგორიც გრიგოლ ორბელიანი იყო, სერიოზულად მოძღვრავდა ახალ თაობას: „იქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას“-ი. სად იყო ან ის ოქროს ჯაჭვი?

ერი ფიზიკურად გადარჩა, მაგრამ სულიერი დალუპვის საფრთხის წინაშე დადგა. მისი გადარჩენა მახვილით აღჭურვილ გმირს აღარ შეეძლო, რადგან ვერანაირი მახვილი ვერ იხსნის სულსა და ზნეობას, საჭირო იყო ზნეობრივი გმირის გამოჩენა და ასეთი გმირები გამოჩნდნენ კიდეც: ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი...

ეროვნული აღორძინების ილია ჭავჭავაძისეულ კონფეციაში უპირველესი ადგილი უკავია ხალხის განათლებას, ეროვნული საგანმანათლებლო სისტემების შექმნის ამოცანას („დღეს ცხოვრების მოედნიდამ ბურთი მარტო მცოდნეს გააქვს“). მრავალრიცხოვნი, პოლიტიკურად თავისუფალი ერებისთვის განათლებას დთუ მხოლოდ სოციალურ-კულტურული ფუნქცია ეკისრება, საქართველოში იგი ეროვნული თვითშენახვისმიზანს ისახავდა. ჩვენში ეროვნული განათლების საქმის მსახური პირველყოვლისა პოლიტიკურ მებრძოლად უნდა ქცეულიყო. ამიტომაც იაკობ გოგებაშვილი ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდში იდგა დიდი ილიას გვერდით.

რა რეალური საგანმანათლებლო მემკვიდრეობა დახვდა ქართულ პედაგოგიკის ერთ-ერთ მესაძირკვლესა და ეროვნული სკოლის ორგანიზატორს ჩვენში? „ახლანდელი ტიპის განათლებულის ქართველობისა ძალიან მდარე არის, - წერდა იაკობ გოგებაშვილი, - მათ აკლიათ გონიერივი ძალა, ცხოველი ჭკუა, ნამდვილი ცოდნა, მტკიცე ხასიათი, მხეობა, თაოსნობა და ეხერხებათ მხოლოდ ერთადერთი საქმე: კანცელარიაში სამსახური, ოფიციალური ქალალდების წერა, მოხელეობა, ჩინოვნიკობა“. იმპერიული სახელმწიფოს საგანმანათლებლო სისტემა სწორედ ასეთი ტიპის განათლებული მოხელის აღზრდას გულისხმობს ამგვარი საგანმანათლებლო პოლიტიკა მის სახელმწიფოებრივ-მმართველობით საფუძვლებს შეესაბამება. ამიტომ დაისახა მიზნად იაკობ გოგებაშვილმა ახალი ტიპის ქართველის აღზრდა, რაც უმთავრესად ანტი-იმპერიული ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ბრძოლის ამოცანებით იყო ნაკარნახევი; ამასტან, იგი შეესაბამებოდა განათლების ზოგადსაკაცობრიო სოციალურ-კულტურულ ამოცანებს.

რა დაუდო საფუძვლად თავის პედაგოგიურ მოძღვრებას იაკობ გოგებაშვილმა, ეროვნული თუ ზოგადსაკაცობრიო ლირებულებანი? მისი სიდიადე სწორედ იმაშია, რომ მისთვის პრობლემა ამგვარად არ დასმულა. დიდ პედაგოგს კარგად ესმოდა, რომ საკაცობრიო ლირებულებებთან მისვლა მხოლოდ ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ათვისებით არის შესაძლებელი, მხოლოდ დედაენაა ის გასაღები, რომლითაც საკაცობრიო ცივლიზაციის საგანძურში შეიძლება შეუმცდარად შესვლა. ამიტომ შეუქმნა მან ქართველ ერს „დედა ენა“ - წიგნი ფარი და წიგნი მახვილი სრულიად საქართველოსი.

„საქართველოში ორი წიგნი იყო თვით არამწიგნობართათვის ნაცნობი და მახლობელი. ამ წიგნებით იზრდებოდნენ და ვაჟუაცდებოდნენ ჩვენს ქვეყანაში. ეს წიგნებია რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ნარმოადენდა როგორც საანბანო, ისე საკითხავ წიგნს, შემდეგ „დედა ენამ“ იკისრა მისი საანბანო მოვალეობა. ამიერიდან „დედა ენას“ იმიტომ სწავლობდნენ, ეომ „ვეფხისტყაოსანი“ ნაეკითხათ; „ვეფხისტყაოსანს“ იმიტომ კითხულობდნენ, რომ დედა-ენა ედიდებინათ“ (ნიკოლოზ კანდელაკი).

\*\*\*

იაკობ გოგებაშვილის ფენომენი ქართველი ხალხის ნოვატორული ბუნებიდან მომდინარეობს და ერის წარსულის კულტურულ-საგანმანათლებლო ტრადიციებს ეყრდნობა.

თვითონ იაკობი XIX საუკუნის პედაგოგიური აზროვნების ნოვატორია. ნოვატორულია მისი პედაგოგიური კონკეფცია, მის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოები, მისი დამოკიდებულება საბავშვო (თუ არასაბავშვო) მწერლობასთან და ფოლკლორთან.

სრულიად უბრალო მაგალითით შეიძლება თვალნათლივ დაინახო ნოვატორულია თუ კონსერვატული პიროვნების დამოკიდებულება საქმისადმი, გარე სამყაროსადმი, ეროვნული თუ საკაცობრიო იდეალებისადმი; სრულიად მარტივ მოქმედებაში შეიძლება ყველაზე ზუსტად შეიცნო, რას ანიჭებს პრიორიტეტს ადამიანი-შორეულ პერსპექტივას თუ კონიუნქტურის მოთხოვნებს, მეც ერთ მარტივ მაგალიტს გავიხსენებ.

ალბათ ყველას ახსოვს მშვენიერი საბავშვო ლექსი, რომელიც იაკობმა „დედა ენის“ საკითხავ წიგნში შეიტანა: „ბიჭო, ვისი ხარ მალხაზო, დაურჩი დედაშენსაო, საქმე რომ არა ქონდეს რა, ჩამოირბენდი ჩვენსაო. გადგიშლი წიგნსა პატარას, მეც მოგიჯდები გვერდსაო, გასანავლი წერა კითხვასა, არაკებს გეტყვი ბევრსაო“ (ხაზი ჩემია-ზ.ც) დაეთანხმებით, რომ ამ ლექსში ყველაფერია: პოეზიაც, მუსიკაც, დიდაქტიკაც, მხატრული სახეც და იგი ერთბაშად ქმნის შეუქცევად განწყობას ნებისმიერი ასაკის მკითხველში, არადა, ამ ლექსის ნამდვილ ავტორს აზრადაც არ მოსვლია წერა-კითხვის სწავლების პროპაგანდა. აი პირვანდელი სახე ამ ლექსისა: „ბიჭო, ვისი ხარ მალხაზო, დაურჩი დედაშენსაო, საქმე რომ არა გქონდეს რა, ჩამოირბენდი ჩემსაო. დაგიდგამ წითელ ღვინოსა; მეც მოგიჯდები გვერდსაო, დავლევ და დაგალევინებ, სიმღერას გეტყვი ძველსაო“ (ხაზი ჩემია-ზ.ც)

რა განსხვავებაა ამ ორ ლექსს შორის? ჩვეულებრივ, კრიტიკოსი იტყვის: პირველი მეორის პლაგიატიაო, ლიტერატურის-მცოდნეობის თვალსაზრისით იგი მართალი იქნება, მაგრამ არის სხვა მეცნიერულ-პედაგოგიური, ასპექტი, მეცნიერი პედაგოგი ასე

იტყვის: პირველი ლექსი მეორის პედაგოგიური ვარიანტია, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტებაც ეს არის.

ათადან-ბაბადან ცნობილია, რომ მეცნიერების შექმნა ძნელია, მაგრამ კიდევ უფრო ძნელია მისი პედაგოგიური გადამუშავება. ძნელია იმიტომ, რომ იგი მოითხოვს მეცნიერების საგნისა და შინაარსის, დებულებისა და პრინციპების ნოვატორულ გააზრებას აღქმის, ათვისების (დასწავლის), ცოდნის საერთო სისტემაში ჩართვის, აღმზრდელობითი ამოცანების რეალიზაციის თვალსაზრისით. იაკობ გოგებაშვილმა შეძლო ეს. ამიოტომ, რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, „დედა ენასა“ და „ბუნების კარში“ ენციკლოპედიური ცოდნაა აკუმულირებული ისეთი ტრანსფორმაციით, რომლებიც აბსოლუტურად შეესაბამება განმავითარებელი სწავლების გოგებაშვილისეულ კონცეფციას.

როგორც ცნობილია, საბჭოთა პერიოდში პედაგოგიკა (ისევ, როგორც მეცნიერებათა სხვა დარგები) პოლიტიზირებულ მეცნიერებად იქცა. მას საფუძვლად დაედო არა მეცნიერული კვლევის (ფილოსოფიური, ფილოლოგიური, სოციალური, სამედიცინო) შედეგები, არამედ პოლიტიკური დოქტრინები, პოლიტიკურ ლიდერთა (ბელადთა) სუბიექტური მოსაზრებანი. ამიტომ, კლასიკური პედაგოგიური მემკვიდრეობა საბჭოთა პედაგოგიკამ საკუთარ თარგზე გამოჭრა და კომენტირებულად მიაწოდა მკითხველს. ათეული წლების განმავლობაში საზოგადოებრივ მეცნიერებებს კომენტირებული ციტატებით ვსწავლობდით. მაგალითად, გვასწავლიდნენ ანგელსის „ანტიდიურინგს“ და დიურინგის ნაშრომები თვალით არავის გვენახა. ეს დამოკიდებულება სისტემად იქცა. ამ სისტემაში მოექცა, ცხადია, იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობაც.

საბჭოთა პედაგოგიკაში დიდი ხნის მანძილზე ურყოვ ჭეშმარიტებად იყო მიჩნეული ლენინის გამონათქვამი საკავშირო კომკავშირის 3 ყრილობაზე 1920 წელს: „კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდე, როცა შენს მეხსიერებას გაიმდინარებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რომლებიც კაცობრიობამ შეიმუშავა“ (ხაზი ჩემია -ზ.ც). და რადგან საბჭოთა სკოლა კომუნისტად ზრდიდა ნებისმიერ მოზარდს, ამიტომ მის ერთადერთ ფუნქციად იქცა მოსწავლეთა მეხსიერების გამდიდრება ცოდნთ. სწორედ ამიტომ

დავინუეთ ამის მტკიცება, თითქოს იაკობ გოგებაშვილი “მეხსიერების ცოდნით გამდიდრების” პოზიციაზე იდგა. სხვაგვარად იგი დისიდენტად, საბჭოთა იდიოლოგიისთვის მიურებლად უნდა გამოცხადებულიყო. ფორმალური განათლების წინააღმდეგ და რეალური განათლების სასარგებლოდ ნათქვამი სიტყვები იაკობ გოგებაშვილს მარქსისტულ-ლენინურ პოზიციაზე დგომად ჩაეთვალა. ეს ცალკეულ მეცნიერთა ბრალი არ არის, მაშინ სხვა გამოსავალი არ იყო. ისეთი კეთილსინდისიერი, ღრმად განსწავლული და ფართო ერუდიციის მეცნიერი, როგორიც გიორგი თავზიშვილი იყო, ნაშრომში „იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკა“ - წერს: „გონებრივი განათლება ჩვენ გვესმის, როგორც ცოდნის შექმნის პროცესი, პროცესი საკუთარი მეხსიერების გამდიდრებისა.“ აბარა უნდა ვთქვა, როცა წინ ედო მკაცრი ლენინური დებულება საკუთარი მეხსიერების მტელი საკაცობრიო ცოდნით გამდიდრების აუცილებლობის შესახებ.

იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური კონცეფცია მთლიანად განვითარების იდეაზეა აგებული. მას არ უთქვამს, მაგრამ თამა-მად შეეძლო, გაემეორებინა კარგა ხნის წინ ბრძნულად ნათქვამი: „ბავშვის გონება ჭურჭელი კი არ არის, რომელიც უნდა აავსო, არამედ ჩირალდანია, რომელიც უნდა აანთო“.

სპეციალურ-პედაგოგიურ ლიტერატურაში იაკობ გოგებაშვილის შეხედულებანი ბავშვის გონებრივ განვითარებაზე ახსნილია როგორც მისი დამოკიდებულება ზოგადი განათლებისადმი. საილუსტრაციოდ ასეთ მაგალითს მოვიყვან: „ახალი თაობის სწავლა აღზრდის ისტორიაში, განსაკუთრებით ალორძინების ეპოქიდან, ზოგადი და სპეციალური განათლების ურთიერთობის საკითხი ყოველთვის აქტუალური, მაგრამ სადაცო იყო. ზოგი პედაგოგი (კომენსკი, უშინსკი, დოუი და სხვა) ზოგად გონებრივ განათლებას აღიარებდა სპეციალურ განათლების წინაპირობად და მის საფუძვლად, ზოგს კი (პეტალოცი, ალცმანი, კერშენმტეინერი და სხვა) შესაძლებლად მიაჩნდა სპეციალური განათლება ზოგად-მეცნიერული განათლების გარეშე.

იაკობ გოგებაშვილი პირველთა რიგს განეკუთვნება. მისი აზრით, სპეციალური განათლება, რომელი დარგის ცოდნასაც უნდა

ეხებოდეს იგი, მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტიანი, თუ ფართო ზოგად განათლებაზე იქნება აგებული. სპეციალური განათლება უნდა მიიმართებოდეს საფუძვლიანი ზოგადი განათლების გზით“ (ამ აზრის დასამტკიცებლად ავტორს მოჰყავს შემდეგი ციტატა იაკობ გოგებაშვილის ნაშრომიდან-ზ.ც). „ახალი ყველასათვის ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ სპეციალური სწავლა უძლურია მეტნაკლებობით, თუ მას წინ არ უძღვის საზოგადო განვიტარება, რომელიც უფურჩქვნის მოსწავლეს ყოველგვარ ნიჭა და ჰყოფს მას სრულ ადამიანად“ (წიგნიდან „იაკობის სამრეკლო“, გვ. 49-50)

კლასიკური პედაგოგიკის ამგვარი გაგება ტიპობრივია საბჭოურ პედაგოგიკაში და იგი მართებული არ არის. ამ შემთხვევაში, იაკობ გოგებაშვილის ნაშრომიდან მოყვანილი ციტატა სწორედ გონებრივი განვითარების აუცილებლობაზე მეტყველებს. „საზოგადო განვითარება“ არააირად არ გულისხმობს ზოგად განათლებას, ანუ მეხსიერების გამდიდრებას ცოდნით, იგი ზოგად განვითარებას ნიშნავს, რადგან იაკობ გოგებაშვილმა კარგად იცოდა, რომ ის რაც „უფურჩქვნის მოსწავლეს ყოველგვარ ნიჭა და ჰყოფს მას სრულ ადამიანად“, არის არა „მეხსიერების გამდიდრება“ რაგინდა რა მოცულობის ცოდნით, არამედ გონებრივ ძალა და პიროვნების უნარ-შესაძლებლობათა მაქსიმალური ამოქმედება.

რაც შეეხება კომენტარის, უშინსკის, დიუსა და მათ მიმდევრებს, რომელთა რიგს იაკობ გოგებაშვილიც სავსებით სამართლიანად მიაკუთვნეს, დაწყებითი სკოლის უმთავრეს ამოცანად მიაჩნდათ არა ცოდნის გარეკვეული რაოდენობის ათვისება, არამედ გონებრივი და პიროვნული განვითარების იდეის რეალიზაცია ანუ სპეციალური სწავლის ათვის ბავშვის პიროვნული მზაობის მიღწევა.

პესტალოცი, ზალცმანი, კირშენშტერინერი და სხვები განვითარებადი კაპიტალიზმის პირობებში მოღვაწეობდნენ ევროპაში და იმდროინდელი მეურნეობის ვიწრო სპეციალობებად დანაწილების წამყვან ტენდეციას გაუწიეს ანგარიში სწავლების სფეროში. ეს იყო დროის მოთხოვნა. ამიტომ მათი დაპირისპირება კომენტარის სკოლასთან სწორი არ არის. მითუმეტეს, რომ არც პესტალოცისა და არც სხვებს არაფერი უთქვამთ გონებრივი განვითარების

იდეის წინააღმდეგ. ვერც იტყოდნენ, რადგან ვიწრო სპეციალური პროფესიონალიზმი ისევ ეყრდნობა ზოგად გონებრივ განვითარებას, როგორც ფართო პროფილის მუშაკის მომზადება. ასე ფიქრობდა იაკობ გოგებაშვილიც „სპეციალისტი მოკლებული საზოგადო განვითარებას (ხაზი ცემია ზ.ც.), მოგვაგონებს მაშინასა, რომელიც ერთ რამეს აკეთებს მექანიკურად და სხვა რისამე რიგიანად გაკეთება მისთვის შეუძლებელია. ამისთანა ვიწრო სპეციალისტი ყოველს განსხვავებულსგარემოებაში იფანტება, ვერაფერს ახერხებს თავისთავად და გაკეთების მაგივრად საქმეს ადვილად აფუჭებს“.

იაკობ გოგებაშვილი აქ იმას კი არ ამბობს, რომ ვიწრო სპეციალისტი საჭირო არ არისო, არამედ გონებრივ განვითარებას მოკლებული სპეციალისტი არ ვარგაო. თუ სპეციალისტს თავისი საქმიანობისთვის საჭირო ცოდნის მოცულობით აქვს „მეხსიერება გამდიდრებული“ და გონებრივი უნარები არ განუვითარებია, მაშინ იგი „ყოველს განსხვავებულს გარემოებაში იფანტება, ვერაფერს ახერხებს თავისთავად.“ აქ, ნათელია, ზოგად განათლებასთან როდი გვაქვს საქმე. სპეციალისტი თუ „ვერაფერს ახერხებს თავისთავად“, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი დამოუკიდებელი შემოქმედებითი საქმიანობისთვის არ არის მზად. სპეციალისტს „განსხვავებულ გარემოში“ სპეციალური საქმიანობისათვის ფართო ზოგადი ცოდნა ვერაფერს უშველის. მას სჭირდება განსხვავებულ გარემოში სპეციალური ცოდნის გამოყენების უნარი.

განმავითარებელი სწავლების იდეის ოპონენტები ხშირად განგაშს სტეხენ: არიქათ, ცოდნით მეხსიერების გამდიდრებასა და გონებრივ განვითარებას ერთმანეთს უპირისპირებენ, ვინ გაიგონა განვითარება ცოდნის ათვისების გარშემო. ზოგადად ასეთი განცხადება თითქოს სწორია; გონებრივი განვითარება სწორედ ცოდნის ათვისების პროცესში ხორციელდება. საქმე ის არის რაზეა ორიენტირებული სწავლება? ცოდნის გარკვეული მარაგის ათვისებაზე თუ გონებრივ უნარ-შესაძლებლობათა, პიროვნულ თვისებათა განვითარებაზე? იაკობ გოგებაშვილისათვის ერთი და იგივე არ იყო მეხსიერების ვარჯიში ანუ ცოდნის დაგროვება და გონებრივი განვითარება, ევროპულ და ჩვენებურ სკოლებს შორის მან

ასეთ არსებით განსხვავებას მიაქცია ყურადღება: „რასაკვირველია, დიდს ნაყოფიერებას ევროპულის სკოლისას თავისი მიზეზი აქვს. მიზეზი ეს მდგომარეობს იმაში, რომ პირველი სკოლა საღს პედაგოგიურს პრინციპებზე არის აშენებული და განწყობილი, ხოლო მეორეს ამ პრინციპებისათვის ზურგი აქვს შექცეული. ჩვენებურმა სკოლამ მონაფეთა განვითარება, ცოდნის გავრცელებაც (ხაზი ჩემია-ზ.ც.) ზნეობის გაუმჯობესებაც, სარწმუნოების დანერგვაც სავსებით ანაცვალა ერთს ფორმალურს სურვილს რუსული ენის სწავლებას, და ამ ნაწილსაც ვერ მოეწია, ვერ მოეწევა, რადგანაც, საცა მარტო მეხსიერება ვარჯიშობს და გონება კი დაჩაგრულია (ხაზი ჩემია ზ.ც.) იქ ფორმალური ცოდნაც ვერ მოიკიდებს ფეხს“ („ქართული მიმართულება“).

ჯერ ერთი, იაკობ გოგებაშვილს, როგორც ვხედავთ, მოსწავლეთა განვითარება და ცოდნის გავრცელება (ცოდნის მიცემა) სხვადასხვა ამოცანად აქვს გაგებული. მეორე და მთავარი ის არის, რომ, მისი აზრით, შეიძლება მეხსიერება ვარჯიშობდეს, გონება კი დაჩაგრული იყოს. ეს, რა თქმა უნდა, სერიოზული მეცნიერთაგან დღეს ბევრს აღარ ეეჭვება. ოთხმოცდაათი წლის წინ კი, ქართულ პედაგოგიურ აზროვნებაში სწავლისადმი ასეთი დამოკიდებულება ნოვატორული იყო.

სად, სწავლებისა და აღზრდის რომელ საფეხურზე უნდა განხორციელებულიყო ნოვატორული იდეა განვითარებისა? რა თქმა უნდა, დაწყებით სკოლის საფეხურზე. მკითხველს მეტისმეტად კატეგორიულად რომ არ მოეჩვენოს ჩემი ნათქვამი - „რა თქმა უნდა“ - აქვე მოკლე განმარტებას მოვაყოლება:

პედაგოგიკა, ასე ვთქვათ, წმინდა სახით, მხოლოდ სწავლების დაწყებითი საფეხურისთვის იქმნება. როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე პედაგოგიკის ფუნდამენტური თეორიები დაწყებით სკოლისთვის შეიქმნა. ეს არც შემთხვევითია და არც პედაგოგიკის უსასრულობაზე მეტყველებს, როგორც ზოგჯერ ეწვენებათ ხოლმე. საქმე ის არის, რომ დაწყებითი სკოლა თვისებრივად განსხვავდება განათლების საერთო სისტემის სხვა რგოლებისგან. როგორც საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი, ისე სოციალურ-კულტურული დაკვეთის თვალსაზრისით. დაწყებითი სკოლის უმთავრესი

ფუნქციაა სისტემური სწავლებისთვის მოამზადოს ბავშვი, ე.ი. ჩამოუყალიბოს მას სწავლის მოტივები, მყარი სასწავლო განწყობა, აკადემიური შრომისადმი დამოკიდებულება, აღმოუჩინოს და განუვითაროს უნარები, მიდრეკილებანი და ინტერესები. ეს არის პედაგოგიკის მეცნიერების ამოცანა. მისი უმაღლესი საფეხური კი ანბანის სწავლებაა. ცნობილმა პედაგოგმა ლ. მოძალევსკიმ ასეთი მახვილგონებრივი შეფასება მისცა კონსტანტინე უშინსკის დამსახურებას: „უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში თქვენ პატიოსნად მუშაობდით და ჩვენი ნორჩი თაობის სასარგებლოდ და თქვენს ლიტერატურულ მოღვაწეობაში ჩამოქვეითდით „ანბანამდე“, ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, ამაღლდით პედაგოგიური მეცნიერების, პედაგოგიური შემოქმედების უმაღლეს მწვერვალამდე“.

სწორედ ასევე „ჩამოქვეითდა“ იაკობ გოგებაშვილი საანბანო პერიოდამდე. იაკობ გოგებაშვილმა თავისი პირველი საანბანო სახელმძღვანელო „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის შედგენილი“ 1865 წელს გამოსცა. ეს წიგნი შემდგომში ოჯგერ (1867, 1868 წ.წ.), გამოცემულია უცვლელად. 1869 წლის გამოცემაში არსებითი ცვლილებებია შეტანილი.

როგორც იაკობ გოგებაშვილის მკვლევარები აღნიშნავენ, ანბანის სწავლების მეთოდიკაში არსებითი ცვლილებები პირველ სამ გამოცემაში არ მომხდარა. ცვლილება განუცდია მხოლოდ საკითხავ მასალას. ამ ცვლილებების მიზეზებს წიგნის ავტორი ამგვარად სწინის: „პირველად ჩვემგან გამოცემულის საკითხავი წიგნის სტატიები ყმანვილთათვის ცოტა სამძიმო გამოდგნენ მაშინვე, ანბანის შემდეგ. ამისათვის ეს წიგნი ხელახლა შევადგინეთ.“

აქედან აშკარაა, რომ ავტორი გულმოდგინედ აკვირდებოდა მის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს „მარგი ქმედების კოეფიციენტს“ და მისი გაზრდის მიზნით სრულყოფდა წიგნის შინაარსს. ამასთან, იგი ერთობ მტკიცედ მისდევდა გარკვეულ მეთოდიკურ კონცეფციას და მას ცვლიდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ახალ (განსხვავებულ) პედაგოგიურ პრინციპებს ღებულობდა საფუძვლად.

რა მეთოდიკურ პრინციპზეა აგებული იაკობ გოგებაშვილის პირველი საანბანი წიგნი? ანალიზურ პრინციპზე.

ანალიზური მეთოდით ანბანის სწავლების აგება პირველი ნოვატორული მიგნებაა ქართულ პედაგოგიკაში. ამით იაკობმა წერა-კითხვის მეთოდი კითხვა-წერის მეთოდით შეცვალა. ეს უბრალო ცვლილება არ არის. იგი ბავშვის ფსიქიკის სიღრმისეულ პროცესებს უკავშირდება და სწავლის მოტივების აღმოჩენა-განმტკიცება აქვს მიზნად დასახული.

საანბანო პერიოდში სწავლისადმი ასეთი დამოკიდებულების თეორიული საფუძვლები მეოცე საუკუნის შუა ხანების ევროპაში შეიქმნა და ამდენად, იაკობ გოგებაშვილმა დიდათ გაუსწრო დროს, რამაც ერთგვარად განაპირობა კიდეც მისი ნოვატორული მიგნების პრაქტიკაში გამოყენების ცდის ნარუმატებლობა.

„სწავლის დაწყება ასოებით ყმაწვილთათვის მავნებელია“, - წერს ი. გოგებაშვილი, რატომ არის მავნებელი? იმიტომ, რომ ასო რაიმე აზრს არ გამოხატავს და ბავშვს სწავლა თავიდანვე უაზრო საქმიანობად ეჩვენება. ასეთ პირობებში არ ყალიბდება სწავლის სოციალურად ღირებული მოტივი, რადგან თავისთავად ცოდნის ღირებულების გაცნობიერება დაწყებითი კლასების მოსწავლის პიროვნულ ძალებს აღემატება, მაგრამ ანბანის სწავლება თუ კითხვით დაიწყება, მაშინ მოსწავლეს მისთვის მახლობელი და ცნობილი სიტყვების წაკითხვა დადებით ემოციებსა და ნათელ ასოციაციებს აღუძრავს, იგი მიხვდება, რომ ცხოვრებასა და სწავლას შორის მჭიდრო კავშირია და სწავლის განწყობაც შეექმნება.

1869 წლის გამოცემაში ანბანის სწავლების თვალსაზრისით პრინციპული ცვლილებაა შეტანილი. წიგნის ამ გამოცემასი იაკობ გოგებაშვილმა უარი თქვა თავის ნოვატორულ მეთოდზე და ტრადიციულ სინთეზურ მეთოდს დაუბრუნდა ბეგრითი მეთოდის სახით. რა იყო ამის მიზეზი? „ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, რომ წინანდელ მეთოდს შეკლებშიაც კი ხეირიანად ვერა ხმარობდნენ, - წერს ი. გოგებაშვილი 1889 წლის გამოცემების წინასიტყვაობაში, - ამიტომ ანბანის მეთოდი შევცვალეთ, ე. ი. უწინდელი მეთოდი წალმა შემოვაბრუნეთ. ამ მეთოდით სწავლება ყველასთვის ადვილია“.

„მეთოდის წალმა მობრუნება“ აქ უნდა გავიგოთ როგორც იმ-დროინდელ პედაგოგთა კულტურულ-საგანმანათლებლო დონეს-თან მისიშესაბამისობაში მოყვანა, თორემ სინთეზურ მეთოდთან დაბრუნება „წალმა მობრუნებად“ ვერ ჩაითვლება. ამას თვითონ იაკობ გოგებაშვილი ამბობს იმავე „წინასიტყვაობაში“: ანალიზური მეთოდის წარუმატებლობის მიზეზი ყოფილა „შინაური ხასიათი სწავლებისა და სრული უმეცრება ჩვენი სახლების სფეროსა სწავლების ხელოვნებაში, მცირე რიცხვი შეკოლებისა, მათი მოუწყობლობა და უხეირობა მასწავლებელი პერსონალისა, რომელიც შესდგებოდა პრიჩეტნიკებიდან და მღვდლებისგან“.

მართლაც, ანალიზური მეთოდით ანბანის სწავლებას სპეციალური პროფესიული მომზადება ესაჭიროება. იგი შეიძლება მხოლოდ პროფესიონალ პედაგოგს მოეთხოვებოდეს. იმდროინდელ საქართველოში, კი სკოლების ნაკლებობის გამო, წერა-კითხვას ძირითადად ოჯახში იძნდნენ. ოჯახში კი ანბანის ანალიზური მეთოდით კი ანბანის სწავლების ტრადიციულ, ემპირიულად გამოცდილ ხერხს ეყრდნობა, რასაც არაფერი ესაქმება სწავლის მოტივების ჩამოყალიბებასა და სწავლების ინტენსიფიკაციის ამოცანებთან.

თუმცა, იაკობ გოგებაშვილი ერთ ხანს ანბანის სწავლების სინთეზურ მეთოდს (ბეგრის ასოთი გამოხატულების სწავლება, ასოთა შეერთებით სიტყვების მიღება) დაუბრუნდა, მაგრამ მას ხელი არ აუღია განმავითარებელი სწავლების იდეაზე. იგი მასწავლებლის-გან მუდამ მოითხოვდა, რომ მოსწავლეებს გააზრებული კითხვა ესწავლათ („ყოველთვის მოითხოვსოს ფრაზის ჰაზრი“).

1876 წელს იაკობ გოგებაშვილმა გამოსცა სრულიად ახალ მეთოდიკურ პრინციპებზე აგებული საანბანო სახელმძღვანელო „დედა ენა“:

„დედა ენა“ შედგენილია ანალიზურ სინთეზური მეთოდით, რაც ორი მეთოდის კომპრომისულ ერთიანობას კი არ წარმოადგენს, არამედ ზუსტად გამსაზღვრულ პედაგოგიურ კონცეფციას ეფუძნება. ეს მეთოდი სავსებით შეესაბამებოდა და შეესაბამება ჩვენი სკოლის საგანმანათლებლო ფუნქციასა და პედაგოგიური კად-

რების კულტურულ-პროფესიულ პოტენციალს. სწორედ ამან განაპირობა მისი დიდი წარმატება და პოპულარობა ქართულ პედაგოგიურ სამყაროში და მის ფარგლებს გარეთაც.

მეთოდის ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება, მეცნიერების ნების-მიერ დარგში, მისი რაციონალიზმია. „დედა ენა“ შედგენის პრინციპები სწორედ უმაღლესი რაციონალიზმის გამოხატულებაა.

იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების მკვლევარები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მის მიერ თვალსაჩინოების გამოყენების მეთოდს და მას ასეთი კომენტარებით ხსნიან: სასკოლო ასაკის დასაწყისში ბავშვს კონკრეტული ხატოვანი აზროვნება აქვს. ამიტომ, მას ჯერ ნახატის სახით ეძლევა ის საგანი, რომლის შესწავლაც სახელმძღვანელოთა გამიზნული.

ჩემი აზრით, თვალსაჩინოების გამოყენების გოგებაშვილისეული პრინციპის ამგვარი ახსნა ზუსტი არ არის. თვალსაჩინოებას „დედა ენაში“ სხვა ფუნქცია აკისრია და იგი სწორედ ბავშვის აბსტრაქტული აზროვნების განვითარებას ისახავს მიზნად, რაც სავსებით უპასუხებს სწავლების განმავითარებელი ფუნქციის ჰედაგოგიურ მოთხოვნებს. ამ ფუნქციას კი, კონკრეტულად, კითხვა-წერის მეთოდი შეესაბამება.

თვალსაჩინოება „დედა ენაში“ კითხვა-წერა მეთოდის აუცილებელი ელემენტია. სახელმძღვანელოში შეტანილი ნახატები (იხვი, ჯოხი, ხე და ა.შ.) თვით ამ საგნების გათვალსაჩინოებას კი არ ემსახურება, არამედ უანბანო კითხვისთვის არის საჭირო. ბავშვმა ჯერ ნახატი ანბანის გარეშე უნდა წაიკითხოს (კონკრეტული, ხატოვანი აზროვნების ამოქმედებით) და შემდეგ შეისწავლოს მისი ასოთი, ანბანური სიმბოლოებით გამოხატულება (აბსტრაქტული აზროვნების ამოქმედებით).

სწორედ, ამიტომ, „დედა ენაში“ გათვალსაჩინოებულია ისეთი საგნები, რომელთა შესწავლა თავისთავად შემეცნებით ღირებულებას მოკლებულია. სამაგიეროდ, საგნები ისეა შერჩეული, რომ მაქსიმალურად გაადვილდეს უანბანოდ (შემდეგ კი ანბანის გამოყენებით) წინადადების შედგენა. „დედა ენაში“ შეტანილი პირველივე წინადადება, რომელიც ნახატით არის გათვალსაჩინოებული,

თავისი სიმარტივით გენიალურ მიგნებას წარმოადგენს, არა მგონია ქართულ ენაში მოიძებნოს უფრო მარტივი წინადადება, ვიდრე არის „აი ია“. იგი მარტივია ყოველმხრივ: გამოსახვის თვალსაზრისითაც. „ა“ და „ი“ ის ბგერებია, რომელიც ყველაზე ხშირად ესმის ადამიანს. გარდა ამისა, ორი სხვადასხვა შინაარსის სიტყვა, რომელიც მხოლოდ ერთნაირი ბგერის გადაადგილებით მიიღება, სათანადო დადებით ემოციასაც იწვევს, რაც აუცილებელია სწავლისადმი დადებითი განწყობის, სწავლის მოტივთა ჩამოყალიბებისათვის.

შეიძლება ითქვას, რომ ანბანის სწავლების დაწყება ნახატით „ია“, და მისგან გამომდინარე წინადადებიტ „აი ია“, მეთოდიკაში „ბორბლის გამოგონებას“ უდრის.

სწავლების შინაარსის ნებისმიერ დონეზე ტრანსფორმაციის კლასიკური ნიმუშია იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი“. დიდი პედაგოგის ამ გამოცდილებას აქვს არა მხოლოდ ისტორიული ღირებულება. იგი აქტუალურია ჩვენთვის დღეს, როდესაც ცხოვრებამ, დღის ნესრიგში დააყენა მრავალვარიანტული, სხვადასხვა დონის სასწავლო შინაარსზე აგებული სასკოლო სისტემის შექმნის ამოცანა.

ის პედაგოგიური კონცეფცია, რომელიც „ბუნების კარს“ უდევეს საფუძვლიანად, კონკრეტულად წყვეტის სისტემური სწავლების-თვის ბავშვის მომზადების, მისი ინტერესების, უნარების და მიღრეკილებათა განვითარებისა და გამოვლენის ამოცანას. განვითარების იდეის პრინციპის შესაბამისად, „ბუნების კარი“ აგებულია სააზროვნო ამოცანათა სისტემაზე, რითაც იგი მეცნიერებათა საფუძვლებში შესასვლელ გასაღებს აძლევს მოზარდის გონებას.

გარდა ამისა, „ბუნების კარს“ „დედა ენასთან“ ერთად ეროვნული ამოცანა, მამულიშვილთა აღზრდის ფუნქციაც ეკისრება. მამულიშვილობის აღზრდა იაკობ გოგებაშვილს პედაგოგიურ ამოცანად მიაჩნდა და მას აღზრდის კატეგორიად თვლიდა. „ზოგიერთს მუცლიდანვე თან გამოაქვს მამულიშვილობაო, რადგანაც სამშობლო ქვეყნის სიყვარული ყველას ბუნებითვე თან დაჰყვება და ამიტომ ამ გრძნობის აღზრდაზე ზრუნვა რა საჭიროა. ეს რომ მართალი ყოფილიყო დედა-მინის ზურგზეც უბედურს კუთხეს

სანთელითაც ვეღარ იპოვიდით. „სწორედ ამიტომ დიდმა პედაგოგმა „ბუნების კარის“ აკადემიური მიზნის მიღწევის ამოცანა სამშობლოსმცოდნეობის შინაარსზე ააგო. ამ დიდ წიგნში საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის საკითხების კონცეფცია საკაცობრიო ღირებულებათა ეროვნული ასპექტით გათვალსაჩინოებას ემსახურება. იაკობ გოგებაშვილის, როგორც ჭეშმარიტი პედაგოგისა და დიდი მოაზროვნისათვის ეროვნული და საკაცობრიო პრობლემები ერთიან კონტექსშია წარმოდგენილი. მისთვის ერი და კაცობრიობა ერთიან „ეკოლოგიურ სისტემას“ წარმოადგენენ და ამ სისტემაში წონასწორობის დარღვევა საკაცობრიო კატასტროფას უკავშირდება. „ერის გადაგვარება და გაქრობა - წერს იგი, - მარტო მის კერძო უბედურებას როდი შეადგენს; იგი ნამდვილი დანაკლისია თვით კაცობრიობისთვისაც, რომელსაც ამით აკლდება ერთი თავისი ნაწილი, ანუ წევრი, უშრება ერთი იმ წყაროთაგანი, რომელიც ავსებენ შეერთებულად კულტურის მსოფლიოს ზღვასა“ („ბურჯი ეროვნებისა“).

„ბუნების კარი“ შესანიშნავი ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მოსწავლეთათვის განკუთვნილ საკითხავ წიგნში სწავლების ჰუმანიზაციის, საინფორმაციო, შემეცნებითი, პრობლემური შინაარსის ამოცანათა სინთეზური კონცენტრაციით მოსწავლის განვითარების ზოგად პედაგოგიკური იდეა.

იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ კონცეფციაში საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება დედაენაზე სწავლების ამოცანას. ამას მიუძღვნა მან საპროგრამო სტატია „ბურჯი ეროვნებისა“. ეს, რა თქმა უნდა, ბუნებრივია, ამას ქადაგებს პედაგოგიკის ყველა კლასიკოსი. განსაკულრებით ხაზგასმით მსჯელობენ მასზე იმ ხალხის წარმომადგენლები, რომლებიც ეროვნულ დისკრიმინაციას, სხვა, უფრო ცივილიზებული ერების კულტურულ შემოტევას განიცდიან. აქ ერის რიცხოვნობას მნიშვნელობა არა აქვს. ეს რომ ასეა, ამის მაგალითი ისიც არის, რომ მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობაზე ერთნაირად მხურვალედ ქადაგებენ როგორც მცირერიცხოვანი ერის შვილი იაკობ გოგებაშვილი, ისე მრავალრიცხოვანი ერის წარმომადგენელი კონსტანტინე უშინსკი. პედაგოგიური თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანი ის არის, თუ რა

დამოკიდებულება ჰქონდა დიდ პედაგოგს მშობლიური და უცხოური ენების ურთიერთმიმართების, მამულიშვილობის აღზრდაში უცხოური ენის ადგილისა და როლისადმი.

იაკობ გოგებაშვილი ერთ-ერთ სტატიაში იმოწმებს გოეთეს სიტყვებს: „ვინც მშობლიური ენის გარდა სხვა ენა არ იცის, მან სრულყოფილად არც მშობლიური ენა იცის. ამიტომ, იგი „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდაში საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებდა უცხოური, კერძოდ, რუსული ენის სწავლებას. ამიტომ შექმნა მან დიდებული სახელმძღვანელო „რუსკოე სლოვო“.

„რუსკოე სლოვოს“ აგების მეთოდიკური პრინციპი უცხოური ენის სახელმძღვანელოს შინაარსის განსაზღვრის კლასიკური ნიმუშია. გარდა იმისა, რომ „რუსკოე სლოვო“ ქართველი ბავშვისათვის „შინაურულ“ მასალაზეა აგებული, იგი ქართული ენის ბუნებასთანაა მისადაგებული, რაც ადვილსა და გასაგებს ხდის მას ქართველი ბავშვებისათვის. ამ თვისებებმა განსაზღვრა მისი დიდი ეფექტიანობა ქართულ ეროვნულ სკოლაში.

ეს, ასეა, მაგრამ, რაღამ განაპირობა მისი პოპულარობა საქართველოს ფარგლებს გარეთ? „რუსკოე სლოვოს“ იყენებდნენ ჩრდილო კავკასიის ხალხებიც, მას ხმარობდნენ ყაზანის გუბერნიასა და ჩუვაშურ სკოლებში. უურნალი „ფილოლოგიჩესკაია ბიბლიოტეკა“ წერდა: „რუსული ენის შესასწავლად სხვა ეროვნების პირთა მიერ შედგენილ მრავალ სახელმძღვანელოთა შორის იშვიათად შეიძლება შევხვდეთ ისეთ საუცხოო და ნიჭიერად შედგენილ სახელმძღვანელოს, როგორიც ბატონ იაკობ გოგებაშვილის შრომაა.“

დიდი შეფასება მისცა „რუსკოე სლოვოს“ აგრეთვე უურნალმა „ნაჩალნოე ობუჩენიემ“: „გამოსცა რა თავისი სასწავლო სახელმძღვანელო საქართველოსათვის, ბატონმა იაკობ გოგებაშვილმა გამოთქვა თავისი აზრი იმის შესახებ, რომ კავკასიის თითოეული ხალხისათვის ფრიად აუცილებელია ჰქონდეს რუსული ენის განსაკუთრებული სახელმძღვანელო. კავკასიელი პედაგოგის აზრი უეჭველად სწორია; მისი პრაქტიკული განხორციელება სასურველია არა მარტო კავკასიის სხვადასხვა ეროვნებათა მიმარტ არამედ, მთელი რუსეთის ყველა სხვა ტომების მიმართაც.“

„რუსკოე სლოვოს“ ასეთი პოპულარობა განაპირობა მისმა აგებამ განვითარების იდეის პრინციპზე. იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელო მოითხოვს არა უცხოური სიტყვების ზუთხვასა და ამ გზით ლექსიკური ბაზის შექმნას, არამედ, ლოგიკური ენობრივი ამოცანების გადაწყვეტას, ენის შეგნებულად, შინაარსობრივ საფუძველზე დაუფლებას. იგი ანგარიშს უწევს ბუნებას, მის სპეციფიკურ დამოკიდებულებას ენობრივ სამყაროსთან.

\*\*\*

იაკობ გოგებაშვილის ფენომენი ქართულ საგანმანათლებლო კულტურაში ჯერაც შესასწავლია ზოგადსაკაცობრიო, არაკლასობრივი პედაგოგიკის მეცნიერებისა და ქართული ეროვნული სკოლის სოციალურ-კულტურული დანიშნულების თვალსაზრისით. ჩვენი გონიერება, მამულიშვილობა და მოქალაქეობა ის იქნება, გონივრულად გამოვიყენოთ დიდი პედაგოგის მიერ დანატოვარი ულევი საგანძური.

## ციური ლაფაჩი

### ელენე დილიამიშვილის 100 წლის საიუბილეოდ

მიმდინარე წლის 25 ოქტომბერს - მესხთის სახელმწიფო თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა დიდი ქართველი პოეტი ქალბატონის - ელენე დიდიმამიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება და მისი საოცნებო წიგნის - „სუნთქვა პოეტის“, წარდგინება.

ქართველი პოეტი ქალი - ელენე დიდიმამიშვილი 1919 წლის 15 აპრილს დიიბადა ახალციხის რაბათში. პოეტის მამა - ზაქარია დიდიმამიშვილი თავისი დროის მეტად განათლებული პიროვნება გახლდათ, რომელიც თავის პროფესიასთან ერთად უურნალისტურ და საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწეოდა. ამ მიზნით მას დაუარსებია კოპერატივი „მესხეთი“, რომლის საშუალებითაც საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა. განსაკუთრებულ დახმარებას უწევდა ქართულ სკოლებსა და სახალხო ბიბლიოთეკებს, წარჩინებულ მოსწავლეებს სწავლის გასაგრძელებლად რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში აგზავნიდა. ეხმარებოდა ობოლ ბავშვთა თავშესაფარს.

პოეტის დედა - როზა კოსტანტინეს ასული გურგენიძე მოკრძალებული, კეთილშობილი და ქველმოქმედებით გამორჩეული ქალბატონი ყოფილა. ასეთ კეთილშობილურ ოჯახში გაზრდილი ელენე დიდიმამიშვილი საზოგადოებისაგან ცოტა მეტ ყურადღებას მოითხოვდა... რაც საკვირველი ნამდვილად არ არის.

ქართველ პოეტ ქალბატონს - ელენე დიდიმამიშვილს ვინც პირადად ვერა, პოეზიით, პროზით, ნოველებით, რადიოგადაცემებით და მის მიერ ტკბილ-ქართულად ამეტყველებული წიგნებით მაინც იცნობდა ამ დიდებულ ქალბატონს, დაგვეთანხმებით, რომ მის იმ ქვეყნად გადასვლის შემდეგაც მისი მშობლიური ქალაქის მცხოვრებლები ხშირად გაიხსენებენ პოეტის საქმიანობას და მის შემოქმედებით შედევრებს.

შევეხეთ რა პოეტი ქალბატონის შემოქმედებას, არ შეიძლება არ გავიხსენოთ პოეტისადმი მიძღვნილი წერილებიდან ჩვენი ძვირ-ფასი მეგობრის – სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი ბატონი სერგო მელიქიძე, რომელიც ელენე დიდიმა-მიშვილის შემოქმედებით საქმიანობით მოხიბლული წერდა:... „ელენე დიდიმამიშვილი, მესხი პოეტი ქალი საუკუნეთა სიღრმიდან გამოყოლილი ქართული სულის უკვდავება და სილამაზე, კდემა-მოსილება და შემართება, მესხეთის მთებივით დაგრაგნილი ლაპი-რინთები და ანკარა წყაროსავით მორაკრაკე ქართული სიტყვა, შენივთებული ხალხის სულიერ სამყაროოსთან, განცდა და რეა-ლობა, სიმართლე. ხილვითი მშვენიერება, ფიქრი, ოცნება, სამყა-როსავით ვრცელი და ამოუცნობი ჭვრეტა ჩვენს გარშემო არსებუ-ლისა. მწერალი ქალი, პოეტი შეჭიდებული იმავე სიტყვასთან, რო-მელზეც აიდგა ენა. მეხოტბე ბუნებისა, რომელმაც იგი გაზარდა და დაანახა ადამიანი თავისი განცდებით... რაც სიცოცხლის მან-ძილზე დაგვყვება... ვინც კარგად გვხედავს, განსჯის, აფასებს და გადმოგვცემს პროზით, პოეზიით, რაც უმეტესად სიმღერებად იქცევა ხოლმე...

მაინც რაზე წერს ავტორი? ეს არის უპირველესად მშობელი კუთხის მესხეთის ხოტბა, ამაღლებული და სულში ჩამნვდომი. მისი თემაა სიყვარული – ძლიერი, შეუვალი და აუხდენელი...

მართლაც, ძლიერი, შეუვალი და მიზანდასახული იყო ელენე დიდიმამიშვილი მაშინაც, როცა 1943 წლის პირველ თებერვლიდან, სრულიად ახალგაზრდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ახალ-ციხის მხარეთმცოდნების მუზეუმის დირექტორად დაინიშნა.

გაუგებრობა რომ თავიდან ავიცილოთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალბატონი ელენე მსგავსად თავისი მეგობრებისა, ეკონომიკური შეჭირვებული პირობების გამო იძულებული გახდა, დროებით ახალციხეში დაბრუნებულიყო, ხოლო ომის დამთავრების შემდეგ კვლავ, უნივერსიტეტში გაეგრძელებინა სწავლა. ეს, ასეც მოხდა.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მუზეუმის უფროსი მეც-ნიერ თანამშრომელი, ასოც. პროფესორი ნატო ყრუაშვილი ელენე დიდიმამიშვილის პირადი არქივის შესწავლისა და დამუშავების

დროს წააწყდა წერილს – „როცა მუზეუმი ექვსიოდე წლის იყო.“ ეს წერილი ეხება ელენე დიდიმამიშვლის მუზეუმის დირექტორად მუშაობის პერიოდს... და მანვე შთაგვაგონა წინამდებარე სტატიის მომზადებისა და გამოქვეყნების იდეა. გთავაზობთ ელენე დიდი-მამიშვილის გულწრფელად დაწერილ მოგონებას მცირედი შემოკლებით:

„ეს იყო ყველაზე ძნელი და მძიმე დრო... 1943 წელი... უჭირდა ქვეყანას, ომი მძვინვარებდა... ერთი ნიშნით სუნთქავდა ყველა. ხალხი მოუთმენლად ელოდა სიმშვიდეს, სანატრელ გამარჯვებას, რომელიც ჯერ კიდევ დიდ მსხვერპლს ითხოვდა.

ჩვენი პატარა, მაგრამ ისტორიულადვე მრავალტანჯული, თუმცა გამრჯე ქალაქი ახალციხე ამ დიდ ქარიშხლიან დღეებში იყო ჩაბმული. დილიდან გვიან საღამომდე მძიმე შრომა სამშობლოს კეთილდღეობისათვის – ეს იყო მისი ურყევი დევიზი. ზურგში დარჩენილები, როგორც ერთნი, ისე იყვნენ შეერთებულნი, შესისხლხორცებულნი.

ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი სულ ექვსიოდე წელს ითვლიდა. მე მაშინ თსუ-ს მე-3 კურსის სტუდენტი ვიყავი. მძიმე ოჯახური პირობების გამო აკადემიური შვებულება ავიღე და ახალციხეში დავბრუნდი... ჯერ გაზეთ „წითელი დროშის“ პასუხისმგებელ მდივნად, ხოლო შემდეგ მუზეუმის დირექტორად, სადაც რვა თვე დავყავი... დილით სახლიდან, რომ გამოვდიოდი გვიან ღამემდე მიხდებოდა მუშაობა. მუზეუმის საქმეები ჩავიპარე მოქალაქე ანაიდა აგაბაძიანისაგან. ეს იყო 1943 წლის თებერვალი... როგორც კი იმ დროზე ვფიქრობ, არ შემიძლია არ გავიხსენო რაიკომის მდივანი, შესანიშნავი ადამიანი – გიორგი კირვალიძე. ასევე ჩემთვის ძვირფასი მეორე მდივანი ბეგლარ ახვლედიანი, მშვენიერი მოქალაქე, რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე გიორგი სვირსკი (ჩიკვაიძე). ეს ძვირფასი სამეული, ერთ მთლიან მაღალ სინდისად გამოიყურებოდა. მუდამ გულისხმიერნი იყვნენ. მე მათგან მშობლიურ სითბოს ვგრძნობდი. როგორც მშობელი ზრუნავს საკუთარი შვილისათვის, ასე ზრუნავდნენ ისინი ჩემთვის, ყველა პატიოსანი ადამიანისათვის... გიორგი კირვალიძე იმ უშოვნელო-

ბის დროს, როცა საწერი ქალალდიც კი სჭირდა, ბლომად მაწვდიდა საწერ რვეულებს... რაიონის ხელმძღვანელები თითქმის ყოველდღე დადიოდნენ სოფლებში... ამონმებდნენ სამუშაოებს და რაც მთავარია ამხნევებდნენ, ხალისა და სიცოცხლის იმედს მატებდნენ მათ. მაღალი იყო მათი ავტორიტეტი. ისინი, როგორც ჩვეულებრივი მშრომელები ეკონომიკურად და მატერიალურადაც გასაჭირში იყვნენ... იმთავითვე ჩვენს ქალაქში დიდი ერთსულოვნება სუფევდა... მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა ისინი ზრუნავდნენ ხალხის სულიერი საზრდოსათვის... არ ივიწყებდნენ თეატრს, რომლისთვისაც სცენარებს ვწერდი... უყვარდათ ახლად-ფეხადგმული მუზეუმი. ხშირად მირეკავდნენ: რა გჭირდება, როგორ მიდის საქმეები. სხვა რომ არა, მარტო ესეც კმაროდა, რომ ფრთებშესხმული გვემუშავა.

უნდა აღვნიშნო, რომ მუზეუმში შტატით მყავდა სამი თანამშრომელი. ფონდის მცველი – უკვე მოხუცებული ნინო ბაბურთელი, მეცნიერ-მუშაკი ოტელინა ივანიძე, დამლაგებელი სოფიო დიასამიძე... რა თქმა უნდა – ომი მეტის საშუალებას არ გვაძლევდა....

მუზეუმი იმსანად ერთ საგამოფენო დარბაზისა და ორი პატარა ოთახისაგან შედგებოდა. დიდი ადგილი ეკავა სოფლის მეურნეობის კუთხეს, სადაც გამოფენილი იყო ძველი მესხური ჯიშები ხეხილისა, ყურძნისა და სხვა, მოპირდაპირე სტენდზე იყო გამოფენილი წარსულის დიდი ამაგდარის, დიდი ისტორიკოსის მიხეილ თამარაშვილის, „ვინძე-მესხის“ - ივანე გვარამაძისა და სხვათა პორტრეტები. იქვე განთავსებული იყო მათი ხელნაწერები, წიგნები, მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მდიდარი იყო მუზეუმის ფონდი – დიდებული მესხეთის – მშვენიერი განძი, რაც განსაკუთრებულად იყო დაცული.

აქვე იყო დიდი რუსთაველისა და ქართული ენის დიდი რეფორმატორის ილიას პორტრეტები... მუზეუმში იგრძნობოდა საოცარი სისუფთავე. იმ ძნელ დროში ხშირად ჩემს ულუფას ვუნანილებდი დამლაგებელ ქალბატონს.

ერთხელ განათლების კომისარიატში იორდანიშვილთან გამომი-  
ძახეს. ეს ჩემი ძალიან ახალგაზრდობისათვის, რომ გაეგო შემეძ-  
ლო თუ არა მუშაობა ერთგვარი შემონაბისათვის გაიმართა ჩვე-  
ნი შეხვედრა... გაოცებით შემომხედა, ვინაობა გამომკითხა. ჯერ  
ისტორიკოსობაზე ვისაუბრეთ, შემდეგ ზოგად განათლებაზე გადა-  
ვიდა, ბოლოს მკითხა თუ რომელი დარგი გაინტერესებთო. ვუპა-  
სუხე, რომ საოცრად მიყვარს ასტრონომია და ფიზიკური გეოგ-  
რაფია და ა. შ. და აქ ჩვენ უცებ დაგმეგობრდით.

...რაიონულ აღმასკომთან შეთანხმებით, მუზეუმისათვის შევი-  
ძინე სამხედრო პირის, თვითნასწავლი მხატვრის თეიმურაზ ამი-  
ლახვარის მიერ შესრულებული გრაფიკული ნამუშევარი: „პატარა  
კახი“ - ერეკლე მეორე.

მიუხედავად არსებული მდგომარეობისა მუზეუმმა მრავალი  
დამთვალიერებელი მოიზიდა. ვესაუბრებოდი და ვაცნობდი მათ  
მესხეთის წარსულის მესვეურებს, მათ ცხოვრებას, სამშობლო-  
სათვის თავგანწირვას. იყო საინტერესო შეკითხვებიც... აგრეთვე  
ტარდებოდა დამატებითი საუბრები ილია ჭავჭავაძეზე, ალექსანდ-  
რე პუშკინზე, გიორგი სააკაძეზე და ა.შ. პირადად მუზეუმში გავი-  
ცანი ან განსვენებული კომპოზიტორი მიხეილ ჩირინაშვილი,  
პროფ. დავით უკლება და სხვა მრავალი ადამიანი მონინავე საზო-  
გადოებიდან, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ მუზეუმით...  
მუზეუმი კი ხალისით, მონდომებითა და მტერზე გამარჯვების მო-  
ლოდინით სუნთქავდა. მუზეუმს მხარში ედგნენ ქალაქის ინტელი-  
გენტები: პავლე გურგენიძე, გიორგი ჯინჭველაძე და სხვები. მაღა-  
ლი იყო მათი პატრიოტიზმი“. ასე ამთავრებს თავის ტკბილ მოგო-  
ნებებს შემდეგში ქართველი პოეტი ქალი – ელენე დიდიმამიშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონ ელენე დიდიმამიშვილს მუ-  
ზეუმში დიდხანს არ უმუშავია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ-მის  
ასაკს, ომის მძვინვარე პერიოდს, როგორც მუზეუმის დირექტო-  
რის დაულალავ, მიზანმიმართულ საქმიანობას – შეგვიძლია და-  
ვასკვნათ, რომ თავდადებული შრომით მან დამსახურებულად  
დაიმკვიდრა თავი მუზეუმის ისტორიაში, როგორც ერთ-ერთმა  
გამორჩეულმა დირექტორმა.

ბოლოს, მიდა დავასკვნა, რომ სწორედ სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ფონდში დაცული და საარქივო მასალები გახდა შთაგონების წყარო – მუზეუმის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის, ასცირებული პროფესორის – ნატო ყრუაშვილისათვის იმ დიდი შრომისა, რომლის შედეგადაც მან მოამზადა, შეადგინა და გამოსცა კრებულები: 1. „გადასახედი“, 2. „გზა ვრცელი“, 3. „ელენე დიდიმამიშვილი“ (ცხოვრება და მოღვაწეობა), 4. „სუნთქვა პოეტის“. და ბოლოს – მინდა ალვნიშნო ისიც, რომ ნატო ყრუაშვილი ზემოთ დასახელებულ წიგნებში გულწრფელ მადლობას გამოხატავს ელენე დიდიმამიშვილის მემკვიდრისა და ძმისშვილს – შაქრო (ზაქარია) დიდიმამიშვილის მიმართ. მართლაც, ღმერთმა ამრავლოს ბატონი შაქროს გულისხმიერბის ადამიანები, რომლებიც არ ივიწყებენ ღვაწლმოსილ ახლობლებს და მზად არიან უკვდავყონ ისინი.

## სარჩევი

<b>პომიდორი</b>	
ავთანდილ ბერიძე	3
<b>პომიდორი</b>	
მერაბ დადეშარი	10
<b>იმიტრანტული პომიდორი</b>	
ანასტასია შიშინაშვილი, თურქეთი, სტამბოლი	19
<b>პროცეს</b>	
გიორგი სოსიაშვილი	40
გადამყვარებელი	
<b>პომიდორი</b>	
გორგა ნათენაძე	63
<b>პროცეს</b>	
ნათელა მელიქიძე	76
ზღაპარი სიყვარულისა	
ერთი ზამთარს	
ნატო	
ფატი კეპო	
უხუცესი	
<b>ძრიტიპი</b>	
ქეთინო გრძელიშვილი	89
ციცო გაისურაძის პოეზია	
<b>პომიდორი</b>	
ციცო მაისურაძე	93
<b>პომიდორი</b>	
გიორგი ხორბალაძე	101
<b>პომიდორი</b>	
ლალი ახალგაცი	109
<b>ინტერტის</b>	
არავერდის მულები, გარდა საძველეო საქმისა	117

<b>თბრტმბრი</b>	
<b>ლეონპარდ თომა (გეონპარდ თომა)</b>	<b>127</b>
ძაღლის სიზმარი	
შატალოვალი	
შეტყობინება	
<b>ანზორ თამარაშვილი</b>	<b>144</b>
მესხური სიმღერის კვალდაკვალ	
<b>პედაგოგიკის ისტორია</b>	
<b>ზურაბ ცუცქირიძე</b>	<b>148</b>
იაკობ გოგებაშვილის ფეონოვი	
<b>ციური ლაფაჩი</b>	<b>166</b>
ელენე აილიმაშვილის 100 წლის საიუბილეოდ	

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №113,  
ტელ.: 0(365)22-19-90, 595-94-02-26, 591-41-12-88  
ელ. ფოსტა: [jurnaliaravi@gmail.com](mailto:jurnaliaravi@gmail.com)